საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
25 ნოემბერი - 1 დეკემბერი, 2015
№43 (325)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

2 შურიკოვი სააკაშვილს: თქვენ ქართული მაფია შექმენით ოდესაში

# «პაატა ბურჭულაძე ივანიშვილ-სააკაშვილის თამაშს თამაშობს»

4



„ბიძინამ იცის, რომ მის მიერ შეკოწიწებული პარტია არჩევნებში ხმების ძალიან ცოტა პროცენტს აიღებს და სატელიტები სჭირდება, ბურჭულაძე კარგი კანდიდატია... ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლა თამაშია, ბინძური თამაში და ამ სიბინძურეში არ უნდა გაეხვიოს."

«რესპუბლიკურ პარტიას ხალხთან 2 არასდროს ჰქონია თბილი დამოკიდებულება»

გერმანელი დეპუტატი: არავითარი 3 მხარდაჭერა აშშ-ის მიერ გაჩალებულ ომებს!

ფრანგული ზონა — რისთვის სჭირდება 18 დასავლეთს ტერორიზმთან ომი

# სარაევოდან ლატაკიამდე

სირიაში მესამე მსოფლიო ომის აჩრდილი დაძრწის




7

«ეს იყო ზურგში დარტყმა. ეს ტრაგიკული მოვლენები სერიოზულ გავლენას იქონიებს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებზე»

# აშშ-ის პრორუსული პროპაგანდა საქართველოში 6



„რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, საქართველოში პროამერიკულ, გნებავთ, პროდასავლურ განწყობებს პირველად აშშ-ის პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის შემდეგ შეუდგა წყალი..."

# «ხიდაშელი და აბულაშვილი ციხეში წავლენ, ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ!»



„ყველა თანამდებობის პირი, რომელიც ზეწოლას მოახდენს ამომრჩეველზე, იქნება ეს პოლიციის უფროსი, გამგებელი, მერი თუ მინისტრი, უნდა დაისაჯოს და საარჩევნო კომისიებში, დაფინანსებისა და საეთერო დროის თვალსაზრისით, კანდიდატებს თანაბარი პირობები უნდა ჰქონდეთ." 5

# როგორ მიიღო სტალინმა კრემლში აკაკი ხორავა, მიხეილ ჯავახიშვილი და საქართველოს დელეგაციის სხვა წევრები 16



ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბერნარ კუშნერი: ძალიან ნუ იჩქარებთ, ჯერ ევროკავშირი უნდა შეიცვალოს



**„თქვენ, რა თქმა უნდა, გაქვთ რაღაც შანსი, მაგრამ ძალიან ნუ იჩქარებთ, ევროკავშირი ჯერ თვითონ უნდა შეიცვალოს“, — განაცხადა საფრანგეთის ყოფილმა საგარო საქმეთა მინისტრმა ბერნარდ კუშნერმა საქართველოს ევროპულ პერსპექტივაზე საუბრისას.** „შეხედეთ, ჩვენ, ყველამ, 28 ქვეყანამ ერთად, ვერ შევძელით საერთო პასუხი გაგვეცა იმ ლტოლვილებისთვის, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ. ჩემი რჩევა იქნება, თვითონ მოამზადოთ საკუთარი თავი საქართველოში და შემდეგ ვნახოთ. მთავარია, მზად იყოთ ამისთვის. ეს არის დიდი მანქანა, რომელიც 28 ქვეყნისგან შედგება. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით თქვენს მობრძანებას ევროკავშირში. ჯერ გარკვეული დროის განმავლობაში — კანდიდატის რანგში და შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ, რა თქმა უნდა, გახდებით ევროკავშირის წევრი“, — განაცხადა ბერნარდ კუშნერმა.




## საქართველო მსოფლიოში 71-ზე ადგილზეა ტერორიზმის საფრთხის დონის მიხედვით

**ლონდონში გამოქვეყნდა „გლობალური ტერორიზმის რეიტინგი — 2015“, რომლის მიხედვითაც საქართველოს 71-ე ადგილი უკავია მსოფლიოს ყველაზე სახიფათო, ტერორისტული საფრთხეების მქონე ქვეყნების სიაში. კვლევა ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა.**

რუსეთი 23-ე პოზიციაზეა, ხოლო აშშ — 35-ზე, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი — 93-ე ადგილზე, ხოლო სომხეთი — 166-ზე. კვლევის თანახმად, კავკასიის რეგიონში ტერორიზმის მხრივ ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა სომხეთია. საქართველოზე კი შეიძლება ითქვას, რომ ტერორიზმის კუთხით უფრო სახიფათო ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, ვიდრე უსაფრთხოს.



## ტერორისტული საქმიანობის ბრალდებით დავით ბორჩაშვილი დააკავეს

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა მოქალაქე დავით ბორჩაშვილი დააკავეს.**

ბორჩაშვილი საქართველოს სსკ-ის 328-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააპატიმრეს, რაც უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში მის დახმარებას გულისხმობს.

დავით ბორჩაშვილს 10-დან 18 წლამდე პატიმრობა ემუქრება.



# შურიკოვი სააკაშვილს: თქვენ ქართული მაფია შექმენით ოდესაში

**ოდესის საპორტო ქარხნის დირექტორის მოადგილემ ნიკოლაი შურიკოვმა ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი მაფიის შექმნაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ სააკაშვილი უკრაინის მტერია.**





„თქვენ აქ უკრაინის გასანადგურებლად ჩამოხვედით, თქვენ გამყიდველი ხართ და მტერს წარმოადგენთ ამ ქვეყნისთვის. იმას, რასაც თქვენ გააკეთებთ, ხალხი დაინახავს და ეს თქვენი პოპულიზმი თავის საქმეს გააკეთებს ეკრანებზე. თქვენ ხართ მტერი, უკრაინის მტერი, მე ამას დავამტკიცებ, დამიჯერეთ, მე მოვალ სასამართლოებზე და თქვენ არც ერთი ქვეყანა არ მიგიღებთ. თქვენ ანადგურებთ ყველაფერს, თქვენ შექმენით ქართული მაფია ოდესაში. ჩვენ დავუბრუნდებით ამ საუბარს ზუსტად ერთ თვეში, მაშინ, როცა მე წარმოვადგენ ციფრებს, როცა დავამტკიცებ, რომ ეფექტიანი მენეჯერი ვარ, 12 წელია, სახელმწიფო ორგანოებში ვმუშაობ, სადაც პატივს მცემენ. მე ვაშენებდი არხებს, გემებს და თქვენ რა ააშენეთ? თქვენ გაანადგურეთ თქვენი ავტორიტეტი საქართველოში, მიატოვეთ იქ ხალხი და თქვენზე იქ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელსაც გაურბიხართ“, — ასე მიმართა ნიკოლაი შურიკოვმა სააკაშვილს ტელეგადაცემა „შუსტერის თოკშოუში“.

„გუბერნატორის არაკომპეტენტურობა და სკანდალური ქმედებები, შესაძლოა, გახდეს ოდესის საპორტო ქარხნის პრივატიზაციისას ღირებულების შემცირებისა და საწარმოო კავშირების დარღვევის საბაბი“, — წერს უკრაინული მედია ნიკოლაი შურიკოვის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე დაყრდნობით.



## ნუკრი ქანთარია:

## რესპუბლიკური პარტია არ არის ხალხოსნური პარტია, მას ხალხთან არასდროს ჰქონია თბილი დამოკიდებულება

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ნუკრი ქანთარია ამბობს, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად იყო და კოალიციის ელექტორატს წარმოადგენდა, თუმცა შემდეგ „პატრიოტთა ალიანსი“ გაებუტა „ოცნებას“, რადგან ხელისუფლება რადიკალურად არ ჩაერია სამართლიანობის აღდგენის პროცესში.** ქანთარია ამბობს, რომ საგარეჯოს არჩევნების ასეთ შედეგს თავისი მიზეზი ჰქონდა და, ხიდაშელი მხოლოდ რესპუბლიკელების კანდიდატი რომ ყოფილიყო, აშკარა უპირატესობა ინაშვილის მხარეს იქნებოდა. „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი რესპუბლიკურ პარტიას არახალხოსნურ პარტიად მოიხსენიებს.

„რესპუბლიკური პარტია არ არის ხალხოსნური პარტია, მას ხალხთან არასდროს ჰქონია თბილი დამოკიდებულება. ის შედგება პროფესიონალებისაგან, რომლებმაც კარგად იციან მუშაობა. ჩვენი კანდიდატი ხიდაშელი ამ შემთხვევაში აბსოლუტურად გამოუცდელი იყო ხალხთან ურთიერთობებში, მას არ შეეძლო ის, რასაც აკეთებდა ინაშვილი. ამიტომ ერთი ერთზე რომ გასულიყვნენ, აშკარა უპირატესობა იქნებოდა ინაშვილის მხარეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გადაწონა კოალიციის რესურსმა და ამან გადაწყვიტა საქმე. კანონი არ დარღვეულა და, თუ დაირღვა, არის სასამართლო და ის გაარკვევს“, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ნუკრი ქანთარიამ.

## ესპანეთმა ისრაელის პრემიერის დაპატიმრების ორდერი გასცა



**გამოცემა Yerusalem Post-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ესპანეთის სასამართლოს მოსამართლემ ისრაელის პრემიერმინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუსა და ისრაელის კიდევ 7 მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსნის დაპატიმრების ორდერი გასცა 2010 წელს ჰუმანიტარულ ბადრაგ „თავისუფლების ფლოტილიაზე“ ისრაელის სპეცრაზმის თავდასხმის გამო.**

ისრაელის პრემიერსა და მთავრობის წევრებს დააპატიმრებენ, თუკი ისინი ესპანეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდებიან. დასაპატიმრებელთა სიაში ნეთანიაჰუსთან ერთად მოხვდნენ: ისრაელის ყოფილი საგარეო მინისტრი **ავიგდორ ლიბერმანი**, თავდაცვის ამჟამინდელი და ყოფილი მინისტრები — **მოშე იაალონი და ეჰუდ ბარაკი,** შსს-ს ექსხელმძღვანელი **ელი იშაი**, დაზვერვისა და ატომური ენერგიის ყოფილი მინისტრი **დონ მერიდორი**, უპორტფელო მინისტრი **ბენი ბეგინი** და სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილი სარდალი **ელიზერ მარომი.**

„თავისუფლების ფლოტილია“, რომელიც ღაზის სექტორის ბლოკადის გასარღვევად მიემართებოდა, ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ხელში ჩაიგდეს ხმელთაშუა ზღვაში 2010 წლის 31 მაისს. სპეცოპერაციამ 9 თურქი მეზღვაურის სიცოცხლე შეიწირა, ათეულობით კი დააპატიმრეს და ციხეში გამოამწყვდიეს. ამ ინციდენტმა მკვეთრად გააუარესა ისრაელისა და თურქეთის ურთიერთობა.

## საჯარო სკოლებში ზამთრის არდადეგები 30 დეკემბერს დაიწყება



**როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განაცხადეს, საჯარო სკოლებში ზამთრის არდადეგები 30 დეკემბერს დაიწყება. სასწავლო პროცესი კი 15 იანვარს განახლდება.** რაც შეეხება კერძო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, განათლების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული სასწავლო დაწესებულებები არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღებს თვითონ განსაზღვრავენ.

## აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა არ იცის, ვინ დაწერა აშშ-ის კონსტიტუცია

**აშშ-ის პრეზიდენტობის პოსტის ერთ-ერთმა კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან, ბენ კარსონმა, ამერიკულ სამთავრობო არხ C-Span-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკის კონსტიტუციის დაწერაში უდიდესი წვლილი შეიტანა თომას ჯეფერსონმა.** სინამდვილეში თომას ჯეფერსონი, რომელიც აშშ-ის ერთ-ერთ დამაარსებლად ითვლება, 1787 წელს კონსტიტუციის მომზადებაში არ მონაწილეობდა, რადგან საფრანგეთში ელჩის მოვალეობას ასრულებდა.



ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ლიტველი პროფესორი:

# ლიტვიდან გარბიან იმიტომ, რომ აქ მავთულხლართების «გულაგს» ქმნიან

**„ლიტვის მოქალაქეები მასობრივად ტოვებენ ქვეყანას და ეს ხდება არამხოლოდ ეკონომიკური ვითარების გამო! — ამბობს კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი გედიმინას მერკისი.**



ლიტვაში გრძელდება დისკუსია თემაზე „დემოგრაფიული ორმო და დემოგრაფიული კატასტროფა“, რომელშიც ქვეყანა მასობრივი ემიგრაციის შედეგად აღმოჩნდა.

„როდესაც საბჭოთა კავშირი ინგრეოდა, ლიტვაში 3,7 მლნ კაცი ცხოვრობდა, მეზობელ პოლონეთში — 36 მლნ. პოლონელებიც გარბოდნენ დასავლეთში — აშშ-ში, კანადაში, მაგრამ დღეს იქ 38 მლნ კაცი ცხოვრობს.

კვლევებმა აჩვენა, რომ ლიტვიდან წასვლის სურვილის მიზეზი ბევრია. ემიგრირების განზრახვა კორელირებულია (კორელაცია — ურთიერთკავშირი ორ შემთხვევით სიდიდესთან — რედ.) სუიციდურ მიმართულებასთან, ბედნიერების განცდის დაკარგვასთან, სამუშაოთი უკმაყოფილებასთან. მაგრამ ადამიანები ლიტვიდან არამხოლოდ მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო გარბიან, არამედ იმიტომ, რომ საერთოდ ყველაფრით არიან უკმაყოფილონი. ეს თავისებური სოციალური პროტესტია.

ლიტვა არის „უსამართლო ხელფასების“ ქვეყანა, სადაც მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის მიუხედავად, ფასები მაინც იმატებს, ხელფასები კი ძველებურად მცირეა. ლიტვაში უმავთულხლართებო „გულაგს“ ქმნიან. მავთულხლართები არ არის და ამიტომაც გარბიან ქვეყნიდან“, — განაცხადა პროფესორმა ლიტვის რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში.

**«კვლევებმა აჩვენა, რომ ლიტვიდან წასვლის სურვილის მიზეზი ბევრია. ემიგრირების განზრახვა კორელირებულია (კორელაცია — ურთიერთკავშირი ორ შემთხვევით სიდიდესთან — რედ.) სუიციდურ მიმართულებასთან, ბედნიერების განცდის დაკარგვასთან, სამუშაოთი უკმაყოფილებასთან. მაგრამ ადამიანები ლიტვიდან არამხოლოდ მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო გარბიან, არამედ იმიტომ, რომ საერთოდ ყველაფრით არიან უკმაყოფილონი. ეს თავისებური სოციალური პროტესტია»**

# Associated Press: ასადი უფრო დიდხანს იქნება პრეზიდენტის პოსტზე, ვიდრე ობამა



**სამშვიდობო მოლაპარაკების გეგმაში, რომელიც 14 ნოემბერს ვენაში შეიმუშავეს, აღნიშნულია, რომ 18 თვის განმავლობაში სირიაში არჩევნები უნდა ჩატარდეს ახალი კონსტიტუციით. ასადის მომავალზე კი ნათქვამი არაფერია. აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რომ ის კვლავ სირიის ხელისუფლების სათავეში იყოს იმ მომენტში, როცა ბარაკ ობამას პრეზიდენტობის ვადა ამოიწურება — 2017 წლის 20 იანვარს**

**პრეზიდენტის პოსტზე „ბარაკ ობამას ყოფნის ვადა, როგორც ჩანს, უფრო მალე ამოიწურება, ვიდრე ბაშარ ასადისა“, — წერს საინფორმაციო სააგენტო „ასოშეიტედ პრესის“ მიმომხილველი.**

სირიაში კონფლიქტმა ის-ის იყო იფეთქა, რომ ვაშინგტონმა განაცხადა, პრეზიდენტის პოსტზე ასადის ყოფნის დღეები დათვლილიაო და მისი სასწრაფოდ გადადგომა მოითხოვა. მას შემდეგ თეთრი სახლის პოზიცია ისეთი მკვეთრი აღარ არის, რადგან პარიზში მოწყობილი ტერაქტის შემდეგ მსოფლიოს ყურადღება „ისლამურ სახელმწიფოზეა“ მიპყრობილი.

„ასადის ჯარისკაცები, მიუხედავად სისასტიკისა, თავს არ ესხმიან ევროპის ქვეყნების დედაქალაქებს, თავს არ კვეთენ ამერიკელ ჟურნალისტებს და არ აფეთქებენ რუსეთის სამგზავრო თვითმფრინავებს. ასადს მხარს უჭერენ ძლიერი მფარველები მოსკოვსა და თეირანში, რომელთა დახმარებითაც სირიის სამთავრობო ჯარების პოზიციები მნიშვნელოვნად გამტკიცდა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით აშშ-ს ცვლილებები შეაქვს თავის სტრატეგიაში. **სამშვიდობო მოლაპარაკების გეგმაში, რომელიც 14 ნოემბერს ვენაში შეიმუშავეს, აღნიშნულია, რომ 18 თვის განმავლობაში სირიაში არჩევნები უნდა ჩატარდეს ახალი კონსტიტუციით. ასადის მომავალზე კი ნათქვამი არაფერია. აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რომ ის კვლავ სირიის ხელისუფლების სათავეში იყოს იმ მომენტში, როცა ბარაკ ობამას პრეზიდენტობის ვადა ამოიწურება — 2017 წლის 20 იანვარს“,** — წერია სააგენტოს ვებგვერდზე.

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოქალაქეები «მზარდი ტერორისტული საფრთხეების» შესახებ გააფრთხილა




**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სპეციალური რეკომენდაცია გამოაქვეყნა იმ ამერიკელებისთვის, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებიან.**

რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ ისეთი ექსტრემისტული დაჯგუფებები, როგორიცაა „ისლამური სახელმწიფო“, „ალ ქაიდა“, „ბოკო ჰარამი“ სხვადასხვა რეგიონში თავდასხმებს გეგმავენ. ამერიკელებს მოუწოდებენ, სიფრთხილე გამოიჩინონ საჯარო თავშეყრის ადგილებში, სატრანსპორტო საშუალებებში. გაფრთხილება მომავალი წლის 24 თებერვლამდე იქნება ძალაში.

ბოლოს მსგავსი გაფრთხილება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2014 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა, როდესაც ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში თავდასხმების სერია განხორციელდა.



# გერმანელი დეპუტატი: არავითარი მხარდაჭერა აშშ-ის მიერ გაჩაღებულ ომებს!

**ბუნდესტაგის (გერმანიის პარლამენტი) დეპუტატმა, ფრაქცია „მემარცხენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა სარა ვაგენკნეხტმა ევროპის ქვეყნებს მოუწოდა, შეწყვიტონ აშშ-ის მიერ მსოფლიოში გაჩაღებული ომების მხარდაჭერა.** ამას გარდა გერმანელმა პოლიტიკოსმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ დასავლეთის იმ ქვეყნების პოლიტიკის წყალობით შეიქმნა, რომლებიც აშშ-ის სამხედრო აქციებს უჭერდნენ მხარს.

„დასავლეთმა ურჩხული შექმნა. ბოლო უნდა მოეღოს თვალთმაქცურ პოლიტიკას, არავითარი მხარდაჭერა ამერიკის მიერ გაჩაღებულ ომებს!“ — დაწერა სარა ვაგენკნეხტმა სოციალურ ქსელში.

გერმანელმა დეპუტატმა თავის განცხადებებს დაურთო ინტერნეტმისამართი მასალისა, რომელიც გამოქვეყნებულია საინფორმაციო-ანალიტიკური ტელეარხის — N-TV-ს ვებგვერდზე. ამ მასალაში აღნიშნულია, რომ აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ სირიის კრიზისზე.



# კვიპროსელები კუნძულზე რუსული სამხედრო ბაზის განთავსებას ითხოვენ

**კვიპროსის მართლმადიდებლების უფლებათა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა მარიუს ფოტიუმ ქვეყნის პრეზიდენტს — ნიკოს ანასტასიადისს კუნძულზე რუსული სამხედრო ბაზების განლაგების თხოვნით მიმართა.** კვიპროსელები, რომელთა ქვეყანაც სირიასთან ახლოს არის, „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკებს“ უფრთხიან და პრეზიდენტისგან მოითხოვენ, „ნება დართოს რუსეთს, თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტსა და საჰაერო-კოსმოსური ძალების ბაზები კვიპროსზე განალაგოს“.

კვიპროსის პრეზიდენტისადმი მიმართვაში აღნიშნულია, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ნატოს ქვეყნების ბრძოლაში „საჭირო შედეგი“ არ ჩანს. „ტერორისტები სულ უფრო მეტ ქვეყანას ემუქრებიან. რისკის ზონაში, სამწუხაროდ, მოხვდა ჩვენი მშობლიური კვიპროსიც. ევროპის არც ერთი ქვეყანა ისე ახლოს არ ესაზღვრება საომარი მოქმედებების ზონას, როგორც კვიპროსი. სირიას ჩვენ 2 ასეული კილომეტრი გვაშორებს. ჩვენ იმედით შევხვდით რუსეთის გადაწყვეტილებას სირიაში ტერორისტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყების თაობაზე. მაგრამ, **ვიდრე ტერორისტებს საბოლოოდ არ გაანადგურებენ, ჩვენი ქვეყანა ყველაზე მაღალი რისკის ზონაში იქნება. ჩვენს არმიას, ავიაციასა და ფლოტს ძლიერი და მცოდნე მეგობრის დახმარება სჭირდება. რუსეთმა კი არაერთხელ დაგვანახვა, რომ იცავს თავისუფლებასა და სამართლიანობის პრინციპებს, ამიტომ გვსურს, კვიპროსიც დაფაროს რუსეთის დამცავმა „ქოლგამ“,** — ნათქვამია კვიპროსის პრეზიდენტისადმი მიმართვაში.

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„აჭარიდან ბევრია წასული „ისლამურ სახელმწიფოში“ და ისლამისტების დროშის ქვეშ იბრძვის. თურქეთი არ მალავს აჭარის მიმართ თავის ინტერესს. ეკონომიკურად უკვე დაპყრობილი აქვს ეს ტერიტორია და შორს არ არის ის დრო, როდესაც პოლიტიკურადაც საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცევს. აჭარის მაღალმთიან რაიონებში მეჩეთები უკვე მოქმედებს. საქართველო უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდება და პოლიტიკოსები, რომლებიც დასავლეთისკენ ილტვიან, ჯობია, თვითონ გადასახლდნენ იქ და ამ ქვეყანას თავი დაანებონ“.



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# პაატა ბურჭულაძე ივანიშვილ-სააკაშვილის თამაშს თამაშობს

**გასული კვირა სხვა დანარჩენი დღეებისგან იმით გამოირჩეოდა, რომ მსოფლიოს ბანმა პაატა ბურჭულაძემ ხმამაღლა განაცხადა, ძალების მოსინჯვა მსურს ქართულ პოლიტიკაშიო. ამ ფაქტს საზოგადოება სხვადასხვაგვარად შეხვდა, ზოგმა მოუწონა, ზოგმა — არა. თვითონ მომღერალი კი ამბობს, რომ ილია მეორეს ნებართვისა და დალოცვის გარეშე არაფერს აკეთებს. ამ ინფორმაციის გარდა, ხალხის ყურადღება საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის განცხადებამ მიიპყრო. მან განაცხადა, რომ ნატოს გაფართოება არ უნდა მოხდეს. არადა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი დეკემბრის ნატოს მინისტერიალს სულმოუთქმელად ელის და თვლის, რომ ნატოს ძალიან დავუახლოვდებით. საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო ჰამლეტ, მომღერალი პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში წავიდა. იყო თუ არა ამის წინაპირობა?**

— ორი წლის წინათ პაატა ბურჭულაძეს კულტურის მინისტრობა შესთავაზეს და უარი განაცხადა. უარი ასე ახსნა: ძალიან ბევრი ხელშეკრულება მაქვს დადებული და მინისტრობა ხელს შემიშლისო. მისი განცხადება მაშინვე საეჭვო იყო, **როგორც ჩანს, შეთავაზებული თანამდებობა არ იყო მისთვის საკმარისი. პაატას უარი გულწრფელი არ იყო, ქვეტექსტში იკითხებოდა, რომ ამ ნაბიჯს გადადგამდა და გადადგა კიდეც.**

გაოცებული ვარ მისი გადაწყვეტილებით. **ბურჭულაძე ჯერ კიდევ არ არის იმ ასაკში, რომ სცენა მიატოვოს.**

**— მაშ, რასთან გვაქვს საქმე?**

— ეს ქართული სიხარბეა. პაატა ბუჭულაძეს სურს, გავლენა ჰქონდეს საზოგადოებაში. ის არ კმაყოფილდება იმით, რაც გააკეთა.

**— იქნებ ბურჭულაძე ვინმეს დაკვეთას ასრულებს? იქნებ მას პარტიის შექმნა რუსეთმა დაავალა ან დასავლეთმა?**

— არა, ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. **თუ პაატა ბურჭულაძე პიროვნებაა, ამას არ იზამს.** ის არ არის დამოკიდებული არც ქართულ პოლიტიკაზე და არც ქართულ კულტურაზე. ის უცხოეთში მოღვაწეობს. პაატა ბურჭულაძეს რევერანსები არ სჭირდება, ის არავისზე დამოკიდებული არ არის.

**— ბიძინა ივანიშვილზეც ასე გვეგონა...**

— ივანიშვილი ქურდია, მან ფული ცუდი საქმეებით იშოვა. ალბათ, აღარავის სჯერა, რომ ფული კომპიუტერის ყიდვა-გაყიდვით დააგროვა. მილიარდებს ამით ვერ იშოვი. ივანიშვილი ის პიროვნებაა, რომელიც ფულის გამო ყველაფერს დათანხმდება.

**— რა არის პაატა ბურჭულაძის მიზანი?**

— **ბურჭულაძეს ამბიცია ამოძრავებს. ყელში ამოუვიდა მომღერლობა და დიდი თანამდებობა უნდა, სავარაუდოდ, პრეზიდენტობა. აბა, მინისტრთა საბჭოს ის ვერ უხელმძღვანელებს.**

**— რა გზას დაადგება, საით წავა?**

— საით წავა და სადაც 25 წელი იღვწის. პაატა ბურჭულაძე 25 წელია, ავსტრიაშია, მას მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა „ნაციონალებთან“ და სააკაშვილთან. **ვინმეს სჯერა, რომ პაატა ბურჭულაძემ „იავნანას“ ფონდი თავისით დააარსა და უსახკლაროებს ფულს უხდიდა?** ერთი ჯიხურის გახსნას ვერ შეძლებდი სააკაშვილის პერიოდში, იგივე ვითარებაა დღესაც. პაატა ბურჭულაძე „ნაცების“ პერიოდში სულ პრესისა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრში იყო, სულ მასზე წერდნენ და ლაპარაკობდნენ. არავის არასდროს შეუმოწმებია „იავნანას“ ფონდი, არავინ დაინტერესებულა მისი შემოსავლებითა და გასავლებით.

**— ვინ იქნება პაატა ბურჭულაძის ამომრჩეველი, თუ ის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს?**

— ყველა დეგენერატი. და დეგენერატები ჩვენს ქვეყანაში ოხრად არიან. პაატა ბურჭულაძეს კარგი ბეგრაუნდი აქვს, ის ღარიბ-ღატაკს ეხმარება, ტვინგამორეცხილ საზოგადებას კი მეტი რა უნდა?!

პაატა ბურჭულაძის ადგილი ქართულ პოლიტიკაში არ არის. არ მომეცემა საშუალება, პირადად დაველაპარაკო, თორემ აუცილებლად ვეტყოდი, რამ გამოგაშტერა ამხელა კაცი, რატომ იხდი საფურთხებლად თავს-მეთქი.

**— იქნებ პაატა ბურჭულაძე მსხვერპლია იმ ტექნოლოგიებისა, რომლებითაც მსოფლიოს მართავენ?**

— არავითარი ტექნოლოგიები არ არსებობს, თუ ნამდვილად პიროვნება ხარ. რას ჰქვია დაკვეთა და ტექნოლოგია! რა, ხელი წაუჭირეს? არა, ბურჭულაძეს ამბიციები გაუჩნდა. თანაც, ნახეთ რა მოხდა? **პაატა გაიქცა და პარტიის ჩამოყალიბების საკითხი ივანიშვილს შეუთანხმა, მერე ალასანიას ელაპარაკა. სავარაუდოდ, ბურჭულაძე ივანიშვილ-სააკაშვილის თამაშს თამაშობს.** ბიძინამ იცის, რომ მის მიერ შეკოწიწებული პარტია არჩევნებში ხმების ძალიან ცოტა პროცენტს აიღებს და სატელიტები სჭირდება, ბურჭულაძე კარგი კანდიდატია. **ივანიშვილი პრიმიტიულად და პროვინციულად აზროვნებს, სწორედ ისე, როგორც მას შეეფერება. ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლა თამაშია, ბინძური თამაში და ამ სიბინძურეში არ უნდა გაეხვიოს.**

ალბათ, ყველას გახსოვთ, ბურჭულაძე, როგორც კი მას სააკაშვილმა თითი დაუქნია, უკრაინაში გაიქცა კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. ეს არაფერს ნიშნავს? ბურჭულაძე აშკარად იზიარებდა სააკაშვილის პოლიტიკას.

**— ბატონო ჰამლეტ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა თქვა, რომ ნატო არ გაფართოვდება, არადა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი დეკემბერში ნატოს მინისტერიალზე სერიოზულ შედეგს ელოდება...**

— თინა ხიდაშელი სასაცილოა... სირიაში მიმდინარე პროცესებმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა. რამდენიმე დღის წინათ ვრცელი გადაცემა მიეძღვნა სირიაში რუსეთის მოქმედებებს. რუსეთმა ერთ დღეს თავისი ფრთოსანი რაკეტები კასპიის ზღვიდან გაუშვა სირიაში და ზუსტად ის წერტილები დაბომბა, რომლებიც სურდა. იმავე დღეს ჩრდილოეთის ოკეანიდან დაბომბა სირია. წარმოგიდგენიათ, რა მანძილი გაიარა რაკეტებმა? მთელ ევროპას შემოუარეს, შევიდნენ ხმელთაშუა ზღვაზე, გაჰყვნენ ზღვას და ისე შევიდნენ სირიაში, ეს ყველაფერი ზუსტად იყო ნაჩვენები და ვურჩევ ჩვენს პოლიტიკოსებს, ასეთ ინფორმაციებს გაეცნონ.

**რაღა დროს ნატო და კატოა? ბოლო ხანს ნატოს თუნდაც ერთი წამოკნავლება ვინმეს გაუგია? ნატო ჩასვრილი და გაყუჩებულია. ეს ორგანიზაცია იდიოტების ბუდეა. საფრანგეთი ნატოს წევრია, მაგრამ მას კი არ მიმართა დასახმარებლად, არამედ რუსეთს.** ნატოს წევრია თურქეთიც, რომელიც ნავთობის კოლონებს ატარებს თავის ტერიტორიაზე, ნავთობს, რომელიც მოპარულია და „ისლამური სახელმწიფო“ ყიდის უცხოეთში. მოპარული ნავთობი თურქეთის საზღვაო პორტებიდან ევროპაში გადის. მართალია, ტვირთს არ აწერია, რომ „ისლამური სახელმწიფოსია“, მაგრამ ისე იაფია, რომ ამის მიხვედრა ძნელი არ არის.

საფრანგეთიც და თურქეთიც ნატოს წევრები არიან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი კი ჩვენი ფულით, ჩვენი ბიუჯეტის ფულით უაზროდ დადის მსოფლიოში. რა მიაქვს, რა მოაქვს, რატომ არავინ ეკითხება?

**ნატოს წევრობა რას მოგვცემს, თუ არა იმას, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ლუკმა გავხდებით.** ნატოში კი არავინ მიგვიღებს — ქვეყანას, საიდანაც ისლამისტები სირიაში საბრძოლველად მიდიან, ნატოში არავინ მიიღებს. ბრიუსელს ამდენი ჭკუა აქვს.

**— თურქეთმა რუსეთის საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოაგდო. როგორ ფიქრობთ, რუსეთი ამას აპატიებს თურქეთს? შესაძლოა, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის ღია დაპირისპირება დაიწყოს?**

— თურქეთის ხელისუფლება სირიის პრეზიდენტის — ბაშარ ასადის წინააღმდეგია, რუსეთი კი მხარს უჭერს ამ ადამიანს.

თურქეთის ტერიტორიაზე არის ბაზები, სადაც „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტებს წვრთნიან, ამას თავდაპირველად ამერიკა აკეთებდა.

უკვე დადასტურდა, რომ რუსული თვითმფრინავი თურქეთის ჩამოგდებულია და ვლადიმერ პუტინის განცხადებაც მოვისმინეთ. ძალიან გაბრაზებულმა პუტინმა ხაზი გაუსვა, — ეს ზურგში დარტყმაა, თურქეთი კი მეგობარი ქვეყანა გვეგონაო. პუტინი ასეთ განცხადებებს ტყუილუბრალოდ არ ისვრის და აუცილებლად მოაყოლებს საპასუხო ზომებს. როგორც ჩანს, ვითარება დაიძაბება და რუსეთ-თურქეთის ომიც გამორიცხული არ არის.

**— თუ რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ვლადიმერ პუტინმა მომხდარზე „თვალი არ დახუჭა“, საქართველო რა მდგომარეობაში აღმოჩნდება?**

— ყველა პარამეტრით მძიმე ვითარებაში ვართ. თურქეთმა აჭარა, ფაქტობრივად, დაიპყრო. **აჭარიდან ბევრია წასული „ისლამურ სახელმწიფოში“ და ისლამისტების დროშის ქვეშ იბრძვის. თურქეთი არ მალავს აჭარის მიმართ თავის ინტერესს. ეკონომიკურად უკვე დაპყრობილი აქვს ეს ტერიტორია და შორს არ არის ის დროს, როდესაც პოლიტიკურადაც საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცევს. აჭარის მაღალმთიან რაიონებში მეჩეთები უკვე მოქმედებს.**

საქართველო უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდება და პოლიტიკოსები, რომლებიც დასავლეთისკენ ილტვიან, ჯობია, თვითონ გადასახლდნენ იქ და ამ ქვეყანას თავი დაანებონ.

საქართველოს პარლამენტში არის „ბებია ქალი“, გუგული მაღრაძე, რომელიც თვლის, რომ „ისლამური სახლმწიფო“ დიდ ქვეყნებს ებრძვის. **არადა, ჩვენი ქვეყანა ცეცხლში იმყოფება. რუსეთ-თურქეთს შორის ვითარების დაძაბვა პირდაპირ აისახება საქართველოზე.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



**აჭარიდან ბევრია წასული «ისლამურ სახელმწიფოში» და ისლამისტების დროშის ქვეშ იბრძვის. თურქეთი არ მალავს აჭარის მიმართ თავის ინტერესს. ეკონომიკურად უკვე დაპყრობილი აქვს ეს ტერიტორია და შორს არ არის ის დროს, როდესაც პოლიტიკურადაც საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცევს. აჭარის მაღალმთიან რაიონებში მეჩეთები უკვე მოქმედებს**

**«ძალიან გაბრაზებულმა პუტინმა ხაზი გაუსვა — ეს ზურგში დარტყმაა, თურქეთი კი მეგობარი ქვეყანა გვეგონაო. პუტინი ასეთ განცხადებებს ტყუილუბრალოდ არ ისვრის და აუცილებლად მოაყოლებს საპასუხო ზომებს. როგორც ჩანს, ვითარება დაიძაბება და რუსეთ-თურქეთის ომიც გამორიცხული არ არის»**

„გინახავთ თავდაცვის მინისტრი, რომელიც თავის ყოველ გამოსვლაში ოპოზიციის ლიდერს რუსს უწოდებს? რუსი მისი ქმარია, რომელიც ლავროვს საარჩევნო ფულს სთხოვდა. რუსი მისი თანაპარტიელი ლევან ბერძენიშვილია, რომელიც რუსეთის დაზვერვის თანამშრომლებთან იყო შეკრული და ეს სატელეფონო საუბარი გავრცელდა კიდეც. რუსია მისი პარტიის ხელმძღვანელობა“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ხიდაშელი და აგულაშვილი ციხეში წავლენ, ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ!»

**მესამე კვირაა, ირმა ინაშვილი და მისი მხარდამჭერები საქართველოს მთავრობის კანცელარიის წინ შიმშილობენ. პროტესტის უკიდურესი ზომის მიუხედავად, აქციის მონაწილეებს მთავრობიდან აქამდე არავინ გამოხმაურებია, მაგრამ მოშიმშილეები უკან დახევას არ აპირებენ — 21 ნოემბერს საინფორმაციო მიტინგზე მათ საზოგადოებასა და მედიას სამომავლო გეგმა გააცნეს და განაცხადეს, რომ აქტიურ მოქმედებაზე გადავლენ — გაიშლება კარვები, მოეწყობა „სირცხვილის დერეფნები“ და მოშიმშილეების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. 28 ნოემბერს კი მასშტაბური აქცია იგეგმება. მოშიმშილეების ერთ-ერთი და მთავარი მოთხოვნა თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნაა.**



**ირმა ინაშვილი:**

— შიმშილობა გრძელდება და საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩვენი პარტიის საკრებულოს წევრებიც შემოგვიერთდნენ. 28 ნოემბერს დაგეგმილია აქცია, რომელზეც კიდევ ერთხელ განვაცხადებთ ჩვენი მოთხოვნების შესახებ. არც ერთი მოთხოვნა დღის წესრიგიდან არ მოიხსნება, პირიქით, დღეიდან მოშიმშილეების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. **ადამიანს უნდა შეეძლოს არჩევანის გაკეთება თავისუფლად, მინისტრების ტერორის გარეშე. ყველა თანამდებობის პირი, რომელიც ზეწოლას მოახდენს ამომრჩეველზე, იქნება ეს პოლიციის უფროსი, გამგებელი, მერი თუ მინისტრი, უნდა დაისაჯოს და საარჩევნო კომისიებში, დაფინანსებისა და საეთერო დროის თვალსაზრისით, კანდიდატებს თანაბარი პირობები უნდა ჰქონდეთ.** შესაბამისი კანონონის სამუშაო ვარიატი უკვე გვაქვს და მზად ვართ მის განსახილველად. უნდა ვიცოდეთ, რას აპირებს ხელისუფლება 2016 წელს, ცვლის თუ არა საარჩევნო გარემოს. **შიმშილობა შეწყდება, თუ ხელისუფლება საჯაროდ განაცხადებს, რომ საარჩევნო კანონში ცვლილებებს განახორციელებს.**

ჯერჯერობით კი შიმშილობის აქცია გრძელდება, ვინაიდან ხელისუფლებას არ გაწუცხადებია, მზად არის თუ არა, ქვეყანაში საარჩევნო გარემო შეიცვალოს. ჩვენ აღარ ვიქნებით ჩუმად. აქამდე იყო მშვიდი აქციები, ახლა მივმართავთ იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებსაც სააკაშვილის დროს მივმართავდით. რა თქმა უნდა, ეს იქნება მშვიდობიანი ფორმები, მაგრამ ხმაურიანი.

**— ამბობთ, რომ აქტიურ მოქმედებაზე გადადიხართ. აქამდე იმედი გქონდათ, რომ შიმშილობის აქციით მიზანს მიაღწევდით?**

— არაფრის იმედი არ მქონდა, ილუზიები ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ ჩემი ვალია, ვიმოქმედო და არ მოვხსნა დღის წესრიგიდან ეს მოთხოვნები, მაგრამ ხელისუფლება გვიპასუხებს თუ არა, ეს უკვე მისი პრობლემაა და არა ჩემი. ჩვენ ვამბობთ, რომ ხელისუფლება არ არის მზად საარჩევნო გარემოს ცვლილებისთვის და მეტიც, 2016 წლის არჩევნების გაყალბებასაც აპირებს. მე ჯერ არ ვარ ხელისუფლებაში. **ხელისუფლებაში რომ ვიქნები, ხიდაშელი და აგულაშვილი ციხეში წავლენ, ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ.**

**— თქვენს ერთ-ერთ მოთხოვნად კვლავ რჩება თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის — გიგლა აგულაშვილის თანამდებობიდან გადადგომა?**

— ჩვენ არ ვშიმშილობთ მხოლოდ ხიდაშელისა და აგულაშვილის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით. ხიდაშელისთვის ნამდვილად დიდი პატივი იქნება, რომ მის გამო ვიშიმშილოთ. უბრალოდ, სხვა მოთხოვნებთან ერთად, ეს მოთხოვნაც გვაქვს. დღეს ეს ადამიანები მხოლოდ საარჩევნო გარემოს შეცვლის მოთხოვნით შიმშილობენ და არა ქვეყნის დირექტორის, თინა ხიდაშელის, გამო.

**— ცოტა ხნის წინათ თინა ხიდაშელი მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს შეადარეთ და მას „მიშა 2“ უწოდეთ. მეტიც, თავდაცვის მინისტრი დაადანაშაულეთ, რომ ის ქართულ ჯარს გიპირისპირებთ...**

— არ არის ხიდაშელი სააკაშვილი? გინახავთ, რომელიმე ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ოქმებს ითვლიდეს? **გინახავთ თავდაცვის მინისტრი, რომელიც თავის ყოველ გამოსვლაში ოპოზიციის ლიდერს რუსს უწოდებს? რუსი მისი ქმარია, რომელიც ლავროვს საარჩევნო ფულს სთხოვდა. რუსი მისი თანაპარტიელი ლევან ბერძენიშვილია, რომელიც რუსეთის დაზვერვის თანამშრომლებთან იყო შეკრული და ეს სატელეფონო საუბარი გავრცელდა კიდეც.** რუსია მისი პარტიის ხელმძღვანელობა. ჩემი პარტიის არც ერთი წევრი რუსეთის დაზვერვას არ ესაუბრება. რუსეთის აგენტები თავიანთ რიგებში მოიკითხონ! ჩვენ ქართული ძალა ვართ, საქართველოს სამსახურში ვართ და მუდამ ვიქნებით, მაგრამ ამას რესპუბლიკური პარტია ვერ გაიგებს, რადგან ამ პარტიის ლიდერები აშშ-ის სადაზვერვო სამმართველოს აგენტებიც არიან.

**— ორი კვირაა, შიმშილობთ, დიპლომატიური კორპუსიდან თუ გამოგეხმაურათ ვინმე?**

— ორიოდე დღის წინათ შევხვდით დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს და დეტალური ინფორმაცია მივაწოდეთ. ასე რომ, უკვე საქმის კურსში არიან.

**— საქართველოს საპატრიარქო თუ შეგეხმიანათ?**

— არ შეგვხმიანებია. ძალიან კარგი და თბილი ურთიერთობა მაქვს პატრიარქთან, მაგრამ არ მინდა, საპატრიარქო და პატრიარქი შევაწუხო.

**ირმა ინაშვილს მხარს უჭერს პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული კოდორის ხეობაში — ემზარ კვიციანი.**

**— ორკვირიანმა შიმშილობის აქციამ შედეგი არ გამოიღო. რას აპირებთ? როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა?**

— ვერ ვიტყვი, რომ შედეგი არ გამოიღო. ორკვირიანი შიმშილობის შემდეგ, მთელი დიპლომატიური კორპუსი მოვიდა, ელჩებმა ნახეს, რა სიტუაციაცაა. იკადრა და ჩვენი უფლებადამცველი უჩა ნანუაშვილიც მოვიდა. ესეც ხომ მიღწევაა.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, ჩვენს ნაცვლად „ნაციონალებს“ ან სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს რომ ეშიმშილათ, ელჩები ერთმანეთს მოასწრებდნენ კანცელარიასთან მორბენასო. როგორ ფიქრობთ, რატომ დასჭირდა ორი კვირა დიპლომატიურ კორპუსს, რომ თქვენი აქციით დაინტერესებულიყო და ყურადღება მოექცია თქვენთვის?**

— ლგბტ-ს წარმომადგენელს რომ ჩაეფიქრებინა საპროტესტო აქცია, ვიდრე ის აქციის ადგილამდე მივიდოდა, დიპლომატიური კორპუსი უკვე იქ დახვდებოდა. ეს იმიტომ ხდება, რომ მსოფლიოს გარყვნა მიმდინარეობს. განსაკუთრებით საქართველოს გარყვნას ცდილობენ. ალან დალესის დოქტრინა ხომ გაქვთ წაკითხული? მათი მიზანია ადამიანების, განსაკუთრებით — მართლმადიდებლების, გარყვნა. ვხედავთ, საიდან მოდის ეს უბედურება ჩვენს ქვეყანაში და მაინც სწორედ იქით მივიწევთ...

**— კარგა ხანია, რაც მთავრობის კანცელარიის წინ შიმშილობთ, რატომ არავინ გამოგეხმაურათ ხელისუფლებიდან?**

— იმიტომ, რომ ხელისუფლებას არანაირი უფლება არ აქვს. ესენი ცოდოები არიან. ჩვენ ახლა სწორედ ხელისუფლებაზე ვზრუნავთ, რომ ამ უბედურებისგან გავათავისუფლოთ. **საქართველო კოლონიაა და გვინდა, სწორედ ამ კოლონიალიზმისგან გავათავისუფლოთ.**

**— ვისი კოლონიაა საქართველო?**

— მისი, ვინც ყველაფერს წყვეტს საქართველოში. **ყველა ქართველ მინისტრს ამერიკელი მრჩეველი რომ ჰყავს, ეს არ ნიშნავს, რომ კოლონია ხარ?! აბა, რა ხარ?!** სწორედ ის მრჩევლები ეუბნებიან ხელისუფლებას, ფეხი არ მიადგათ მაგათ აქციაზეო და ამიტომაც არავინ მოსულა. როდესაც ციხიდან გავთავისუფლდი, ერთ-ერთ მაღალჩინოსანს შევხვდი, ორ საათში დაიბარეს ამერიკელებმა და უთხრეს, რატომ შეხვდი კვიციანსო. არ მინდა, ეს ადამიანი, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო ჩემ გამო და იმის შემდეგ თავს ვარიდებ, საერთოდ აღარ ვხვდები. **ეს არის ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ზვიად გამსახურდიამ ჩაგვაბარა? 24 წელი გავიდა და ქვეყანა ისევ გასათავისუფლებელია.**

**— აქციებს განაგრძობთ. მეტიც, აქტიურ ზომებს მივმართავთო, — განაცხადეთ. რას აპირებთ?**

— როდესაც მხედართმთავარი სუვოროვი საომრად მიდიოდა, ამბობდა, არანირი გეგმა არ მაქვს, როცა შევხვდები მტერს, შემდეგ ჩამესახება გეგმაც და ისე მოვიქცევი, როგორც საქმისთვის იქნება მომგებიანიო. ჩვენც ასე ვართ, ხვალინდელი დღე რასაც მოითხოვს, იმას გავაკეთებთ. უფალი მოგვცემს ძალას.

**ირმა ინაშვილის მხარდასაჭერად საგარეჯოდან საგანგებოდ ჩამოვიდა და მოშიმშილეებს შეუერთდა ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მსოფლიოს ხუთგზისა (ერთხელ — სამბოში) და ევროპის სამგზის ჩემპიონი ლევან თედიაშვილი.**

**— „პატრიოტთა ალიანსი“ უკმაყოფილოა მთავრობის რეაქციით. როგორ ფიქრობთ, რატომ არავინ აქცევს სათანადო ყურადღებას მოშიმშილეების მოთხოვნებს?**

— შეიძლება, შიმშილობა გამოსავალი არ არის, მაგრამ შიმშილობის გარდა სხვა რა გზა დარჩენია „პატრიოტთა ალიანსს“? **თავად ვნახე, როგორ ჩატარდა საგარეჯოში არჩევნები და როგორ დაატრიალეს საარჩევნო „კარუსელი“, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე აქ მოსვლა და ამ ხალხის გვერდით დგომა.**

ყველა ოპოზიციურ პარტიას სჯერა, რომ 2016 წელს დამოუკიდებლად მოიგებს არჩევნებს, მაგრამ მოიგებს კი? ჩვენც გვეგონა, მოვიგებდით, მაგრამ ამაოდ. ყველგან მოაწყობენ საარჩევნო „კარუსელს“, სახელმწიფოს მეტი რესურსი აქვს და გამოცდილები არიან ამ საქმეში. ძალიან სერიოზული მოწინააღმდეგე გვყავს, ნუ დაგვავიწყდება, ხელისუფლებაში მეორე პირია დავით უსუფაშვილი.

ასეთი ახირებული საქციელი, რომ არ მოდიან მოშიმშილეებთან, არ გვკადრულობენ, ზემოდან გვიყურებენ, 2016 წლის არჩევნებში ბუმერანგივით უკან დაუბრუნდებათ.

დღეს სინდის-ნამუსის დეფიციტია და, თუ არ აქვთ, წავიდნენ, მეზობელს მაინც ესესხონ.

**მოამზადა შორენა ციქარაშვილმა**

## «თბილისის ბიუჯეტი მიზერული და სამარცხვინოა»



**თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი სოსო მანჯავიძე მიიჩნევს, რომ თბილისის 2016 წლის ბიუჯეტი მიზერული და სამარცხვინოა.**

„ისეთი მეგაპოლისისთვის, როგორიც თბილისია, ეს ბიუჯეტი მიზერული და სამარცხვინოა. ეს საშუალო დონის ინგლისური საფეხბურთო კლუბის ბიუჯეტია. მთავარი პრობლემა სწორედ სახსრების უქონლობაა. ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ დამატებითი შემოსავლების მიღებაზე, ანუ ბიზნესის წახალისებასა და გადამხდელთა გამრავლებაზე. მესმის, რომ არსებული პრობლემები განვითარების პროგრამებში რეზერვების გადასროლის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა მოვახერხოთ, რომ მომავალში ანალოგიური პრობლემების წინაშე არ ვიდგეთ. ხარჯვით ნაწილს რაც შეეხება, ადმინისტრაციული და სხვა სახის ხარჯები უნდა შემცირდეს“, — განაცხადა სოსო მანჯავიძემ.

თბილისის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც 810 140 000 ლარით განისაზღვრა, საკრებულოს წევრებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში აშშ-ის მიერ დაფინანსებულმა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა (ასოებმა) ისტერიკა დაიმართეს — ეს ყველაფერი რუსული პროპაგანდის შედეგიაო და აშშ-მა თავის „ასოებს“ 10 მილიონი დოლარი გამოუყო კონტრპროპაგანდისთვის (?)**

# აშშ-ის პრორუსული პროპაგანდა საქართველოში

**თავიდანვე ვიტყვი, რომ წინამდებარე წერილის მთავარი მუზა ბატონი ემზარ კვიციანია, რომელმაც მედიაკავშირ „ობიექტივისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომ იტყვიან, „მაგრად მოარტყა“, როცა (ციტატის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ) განაცხადა, რომ:**

„პატრიოტთა ალიანსის“ რამდენიმე ათეული წევრი და მათი მხარდამჭერი ადამიანები 8 ნოემბრის შემდეგ, უკვე მერამდენე დღეა, კანცელარიის წინ პროტესტის ნიშნად ვშიმშილობთ და საქართველოში აკრედიტებული დიპ-კორპუსიდან არავინ მოსულა, არავის უკითხავს, რატომ და რისთვის ვაგდივართ ამ წვიმასა თუ ქარყინვაში ან, უბრალოდ, დაინტერესებულიყვნენ მაინც მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობით?! აბა, ერთი ლგბტ-პედერასტები შიმშილობდნენ საკუთარი უკანალების უფლებების დასაცავად, აშშ-ის ელჩის თამადობით ევროკავშირის ელჩები არა მხოლოდ მივიდოდნენ, არამედ მთელი „დემოკრატიული დასავლეთი“ ერთ ვაი-უშველებელს ატეხდა, არიქა, საქართველოში „ქათმების კრიახის“ უფლებები ირღვევა"...

ჩემი მხრიდან დავძენ, რომ **ევროსაბჭოს დელეგაცია მოსანახულებლად ეწვია „ლოგინად ჩავარდნილ“ ავადმყოფ ჩიორა თაქთაქიშვილს, რომელსაც ცხვირი ჰქონდა გატეხილი...**

**ყველამ იცის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საგარეჯოს არჩევნები სააკაშვილის რეჟიმის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით გააყალბა რესპუბლიკელი ბუდარიხას სასარგებლოდ და გამარჯვებული ირმა ინაშვილი დამარცხებულად გამოაცხადა.**

ამიტომაც უწოდა „დამარცხებულმა“ ირმა ინაშვილმა დღევანდელ ხელისუფლებას „მიშა-2“ და კანცელარიის წინ უვადო შიმშილობა დაიწყო, თუმცა, „პატრიოტთა ალიანსი“ ამაზე შორს ჯერჯერობით ვერ თუ არ წავიდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

მანამდე კი, წერილის სათაურიდან გამომდინარე, ერთ რიტორიკულ კითხვას დავსვამ — **იმ ფონზე, როდესაც „რუსთავი 2“-ის საკითხზე ევროპარლამენტი თუ ევროკავშირი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მაგარ რეზოლუციას „გამოაცხობდა“ საქართველოში „თავისუფალი მედიის“ დასაცავად, რაც ქართველმა საზოგადოებამ ეროვნულ შეურაცხყოფად (განსაკუთრებით — აშშ-ის ელჩის უგვანო განცხადება) აღიქვა, საქართველოში აკრედიტებული დასავლეთის ქვეყნების დიპკორპუსის, პირველ რიგში, აშშ-ის საელჩოს მიერ ზემოხსენებული პროტესტის უკიდურესი ფორმის სრული იგნორირება (მოშიმშილეთა მონახულებას ვინღა დაეძებს) არის თუ არა საქართველოში პრორუსული განწყობების მატების კიდევ ერთი მოტივაცია?**

დიახ, კიდევ ერთი და ახლა მცირე ისტორიული ექსკურსი საქართველოს უახლეს ისტორიაში, რათა გავიხსენოთ ამ „კიდევ ერთს“ რამდენი მსგავსი რამ უძღოდა წინ...

*** გასული საუკუნის 90-ანების დასაწყისში ამერიკის პრეზიდენტმა მამა-ბუშმა ზვიად გამსახურდიას დინების საწინააღმდეგოდ ცურვა დაუწუნა?!**



**იმ ფონზე, როდესაც «რუსთავი 2»-ის საკითხზე ევროპარლამენტი თუ ევროკავშირი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მაგარ რეზოლუციას «გამოაცხობდა» საქართველოში «თავისუფალი მედიის» დასაცავად, რაც ქართველმა საზოგადოებამ ეროვნულ შეურაცხყოფად აღიქვა, საქართველოში აკრედიტებული დასავლეთის ქვეყნების დიპკორპუსის, პირველ რიგში, აშშ-ის საელჩოს მიერ ზემოხსენებული პროტესტის უკიდურესი ფორმის სრული იგნორირება არის თუ არა საქართველოში პრორუსული განწყობების მატების კიდევ ერთი მოტივაცია?**

თუმცა ამერიკის პრეზიდენტის წუნიაობამ ბევრი ვერაფერი დააკლო საქართველოში პროამერიკულ განწყობებს, რადგან იმ შავბნელ პერიოდში ქართველი საზოგადოების აზრი გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიმართ ორ ნაწილად იყო გაყოფილი — ეს ერთი, და მეორეც — ჯერ კიდევ სსრკ-ის შემადგენლობაში მყოფი საქართველო, საბჭოეთის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით (მათ შორის ბალტიის ქვეყნებთანაც), ყველაზე უფრო პროამერიკულად განწყობილი რესპუბლიკა იყო!

ეს განწყობები ინერციით არც შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში შესუსტებულა, პერიოდში, რომელსაც თამამად შეიძლება, ბრეჟნევის მმართველობის მსგავსი უძრაობის („ზასტოის“) პერიოდი ვუწოდოთ...

*** რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, საქართველოში პროამერიკულ, გნებავთ, პროდასავლურ განწყობებს პირველად აშშ-ის პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის შემდეგ შეუდგა წყალი...**

პრემიერი ჟვანია ახალი მოკლული იყო, მაგრამ შვილმა ბუშმა სააკაშვილის რეჟიმს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა(?!).




ჰოდა, მაშინ აიშვა დემოკრატიის შუქურის ვარსკვლავბიჭუნა მიშიკომ — დაიწყო „ვულური ქართველების“ მორჯულების პროცესი მასობრივი დაპატიმრებების მეშვეობით... **ბუტა რობაქიძისა** და **სანდრო გირგვლიანის** მკვლელობა, ე.წ. ციხის ბუნტის სისხლიანი ჩახშობა და ა.შ. რომელი ერთი გავიხსენოთ იმ დანაშაულებიდან, რომლებმაც ლოგიკურად მიიყვანა სააკაშვილის რეჟიმი 2007 წლის 7 ნოემბრამდე.

*** ტელეკომპანია „იმედის“ დარბევისას აშშ-ის ადმინისტრაციის ისეთი მძაფრი რეაქცია არ გვინახავს, როგორიც ახლა ჰქონდათ „რუსთავი 2“-ს სიცრუის პროპაგანდის მანქანის მიმართ...**

*** ბადრი პატარკაციშვილის ბურუსით მოცული გარდაცვალება (წაიკითხე — მკვლელობა) და ამ ყველაფერზე აშშ-ის დუმილით ავადმყოფი სააკაშვილის კიდევ უფრო წახალისება!**

ჰოდა, მიშამაც წაიხალისა და 2008 წელს ომი გააჩაღა; ამავე პერიოდიდან იწყება ციხეებში პატიმართა თუ ციხეებს გარეთ მოქალაქეთა წამება-გაუპატიურების მასობრივი კამპანია; ასობით ახალგაზრდის ქუჩებში დახვრეტა;

*** 26 მაისის სისხლიანი ღამე, რომელიც ამერიკის იმჟამინდელი ელჩის, ჯონ ბასის, სინდისზეა.**

*** დასასრულ, ბიძინა ივანიშვილის „მოულოდნელი“ გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში — დიახ, მოულოდნელი ბრჭყალებში, რადგან დღეს საქართველოში თითქმის აღარავის სჯერა, რომ ბიძინამ ავი სიზმარი ნახა და გამოღვიძებული მიხვდა, არიქა, სამშობლო მეღუპებაო?!**

სიზმრით იყო განპირობებული თუ სხვა რამით, სამების აღმშენებელი ქართულ პოლიტიკაში მოვიდა და 2012 წლის 1 ოქტომბერი მოგვიტანა, რომელსაც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ქართველი ხალხისთვის საძულველი ნაცბანდის პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობა და ქართველთა სისხლში ამოსვრილი ბობოლა ნაცების საკადრისად დასჯა, ანუ სამართლიანობის აღდგენა, რაც უპირველესი დაპირება იყო „ქართული ოცნებისა“...

ამის ნაცვლად რა მივიღეთ? — **ჯერ 40% დაუწერეს ამერიკელებმა ქართველთა მწამებელ ნაცებს, შემდეგ კი კოჰაბიტაცია მოგვახვიეს თავს და ნაცბანდა მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოგვიცხადეს.**

სწორედ აქედან დაიწყო საქართველოში პროამერიკული განწყობების კლების შეუქცევადი პროცესი რუსეთის სასარგებლოდ და დღეს ამ პროცესმა ამერიკისთვის ისეთ საგანგაშო ნიშნულს მიაღწია, რომ თვით ამერიკული ენ-დი-აიც კი იძულებული შეიქნა, საქართველოში ევრაზიული კავშირის მომხრეებად გამოკითხულთა 31% ეღიარებინა.

ამის გამო **საქართველოში აშშ-ის მიერ დაფინანსებულმა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა (ასოებმა) ისტერიკა დაიმართეს — ეს ყველაფერი რუსული პროპაგანდის შედეგიაო და აშშ-მა თავის „ასოებს“ 10 მილიონი დოლარი გამოუყო კონტრპროპაგანდისთვის (?).**

**აშშ და, საზოგადოდ, აგრესიული ნეოლიბერალიზმი, რომელიც მართავს დასავლეთს და მათ სატელიტ ქვეყნებს, რომელთა შორისაც, სამწუხაროდ, საქართველოც განიხილება, არაფრის დიდებით არ დაუშვებს საქართველოში ეროვნული ხელისუფლების მოსვლას!**

ამას დაუმატეთ ისიც, რომ აშშ იქცა ლგბტ-ქათმების ლიდერად და ამ „სიკეთის“ დამკვიდრებას სრულიად მსოფლიოში, პირველ რიგში, სატელიტ ქვეყნებში აპირებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოში პრორუსული განწყობის მატება აშშ-ის ქმედება-უმოქმედობის შედეგია და არა მითოსური რუსული პროპაგანდისა, რომელიც, სამწუხაროდ, ბუნებაში არ არსებობს.

დიახ, სამწუხაროდ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ, რუსეთი ქართულ პოლიტიკაში ფულს რომ დებდეს, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ლავირების, ბალანსირების საშუალება ექნებოდა და აღარ შეეშინდებოდა ნეოლიბერალების (ნაცების, რესპების, ალასანიას პარტიის და ა.შ.) მიერ პრორუსული იარლიყების მიწებებისა, რადგანაც საქართველოს პოლიტიკაში რუსეთის ღიად ჩართვის შემთხვევაში პროამერიკელობა აღარ ჩაითვლებოდა (თუ ამერიკელები თეთრი სახლის „ობკომის“ — აშშ-ის საელჩოს მეშვეობით მართავენ საქართველოს, რუსეთს რატომ არ აქვს მართვის თუ არა ჩართვის უფლება მაინც, თანაც ერთმორწმუნე საქართველოს პოლიტიკაში?) აპრიორი პატრიოტობად და პირიქით — პრორუსულობა აპრიორი მოღალატეობად.

ზემოთ თქმული პარტიის ლიდერებმაც იციან, მაგრამ პრორუსული იარლიყის მიწებების შიშით ჯერჯერობით ყველაფერს თავის სახელს ვერ არქმევენ. მაგალითად, იმას, რომ ყველაფერი, რაც საქართველოში ნეგატიური ხდებოდა და ხდება, დასავლეთის ორმაგი სტანდარტების, მათი უნამუსო პოლიტიკის შედეგია!

სწორედ იარლიყების მიწებების შიშის გამო აქვთ სწორება მხოლოდ დასავლეთზე (ყოველ შემთხვევაში დეკლარირებული), რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ თავიანთ ქმედებებს ახლა მიმდინარე საპროტესტო შიმშილობაზე დასავლეთის აზრის გათვალისწინებით წარმართავენ, ანუ, მხოლოდ ბრიუსელსა და ვაშინგტონში ეძებენ პოლიტიკურ მოკავშირეებს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, სადავოა, რადგან **ამა წლის 30 სექტემბრიდან, როდესაც რუსეთმა “ისლამური სახელმწიფოს” პოზიციების დაბომბვა ისე დაიწყო, რომ ამერიკისგან ნებართვა არ აუღია, მსოფლიო აღარ არის ერთპოლუსიანი, უფრო მეტიც — გეოპოლიტიკური თამაშის ახალ წესებს მსოფლიოს უკვე რუსეთი კარნახობს საკუთარი სამხედრო ძლიერების ხაზგასმული დემონსტრირებით.**

ამ მედალს მეორე მხარეც აქვს — რუსეთს დღეს საქართველოსთვის სწორედ სირიის გამო არ სცალია, თუმცა, რომც ეცალოს, იქნებ მაშინაც არ დაინტერესდეს ჩვენით, რადგან სააკაშვილის წყალობით რუსეთმა საქართველოსგან, რაც სჭირდებოდა, ყველაფერი მიიღო.

აქედან გამომდინარე, იქნებ გამართლებულიც ▶



**თურქეთი, ნატოს წევრი ქვეყანა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თურქეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, F-16-ის პილოტი ვერ გაერკვია, ვისთან ჰქონდა საქმე, ანერვიულდა და ესროლა ბომბდამშენს, რომელსაც თავის დაცვა არც კი უცდია.**

ხვალ იყო ომი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სარაევოდან ლატაკიამდე — სირიაში მესამე მსოფლიო ომის აჩრდილი დაძრწის

◀ იყოს „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერის სიფრთხილე დასავლეთის მიმართ, ანუ რის უფლებასაც საკუთარ თავს ვაძლევ პუბლიცისტი დავით მხეიძე, იმავე უფლებას ვერ მისცემს საკუთარ თავს პოლიტიკოსი **დავით თარხან-მოურავი** იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პოლიტიკაში ყველაფერს თავისი დრო აქვს და ის დრო იქნებ ჯერ მართლაც არ დამდგარა?!

მაგრამ ის დრო ნამდვილად დადგა, რომ ხმამაღლა ვთქვათ:

*** ივანიშვილმა ცალი ხელით თუ სამება აგვიშენა, მეორეთი საყდრისი აგვიფეთქა;**

*** თუ საგარეჯოს არჩევნები გაყალბდა, მთავარი გამყალბებელი სოლოლაკის შუშის სასახლეში ზის;**

*** ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის მთავარი ამოცანა ქართველთა საძულველი რესპუბლიკელებისთვის ხელისუფლების ჩაბარება იყო;**

*** იმჟამინდელი წინააღმდეგობის მოძრაობის, დღეს „პატრიოტთა ალიანსის" მიერ მოპოვებული ციხის კადრების გარეშე „ქართული ოცნება" უმრავლესობით ვერ მოვიდოდა ხელისუფლებაში.**

საგარეჯოს არჩევნებსაც ორი მხარე აქვს და, აქედან გამომდინარე, დავსვამ კითხვას — **რა სჯობდა, მომხდარიყო სასწაული და ირმა ინაშვილი ეცნოთ გამარჯვებულად, თუ ის, რაც მოხდა, ანუ დამარცხება, რომელიც გამარჯვების ტოლფასია?**

პირველ შემთხვევაში აუცილებლად დაიწყებდნენ სისინს, „პატრიოტთა ალიანსი" „ქართულ ოცნებასთან" ფარულად არის შეკრულიო.

მეორეში, ანუ, რაც რეალურად მოხდა, აღინიშნა უპრეცედენტო რამ:

**თუ ადრე ხელისუფლების კანდიდატი გამაფარჩაკებელი სხვაობით უგებდა ოპოზიციის კანდიდატს, საგარეჯოში ისე აშკარა იყო ირმა ინაშვილის უპირატესობა რესპუბლიკელ ბუდარიხასთან შედარებით, რომ სახელისუფლებო მანქანამ, რომელიც ირმას წინააღმდეგ მოქმედებდა, მხოლოდ 3%-იანი სხვაობით მოაგებინა რესპუბლიკელების კანდიდატს?!**

ეს კი იმას ნიშნავს, რომ იდეოლოგიურ ჭიდილში, ოღონდ არა ნატოს მომხრე თუ მოწინააღმდეგეთა შორის (ჰო, აბა, რა — იორმუღანლოელი აზერბაიჯანლები, რომელთა ხმებითაც გააყალბეს არჩევნები, სულ იმას ფიქრობენ, როდის შევა საქართველო ნატოში!), როგორც უნდათ, წარმოგვიდგინონ რესპებმა, არამედ **ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალებს, გნებავთ, ერთნაირსქესიანთა ქორწინების მომხრე-მოწინააღმდეგეთა შორის, ირმა ინაშვილმა ბეჭებზე გააკრა ბუდარიხა თამარ ხიდაშელი.**

აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისედაც პოლიტიკურ საფლავში მწოლ რესპებს, „პატრიოტთა ალიანსმა" მიწა მიაყარა და მომავალში ამ ნეოლიბერალ ხლისტებს, ივანიშვილი კი არა, ილია ჭავჭავაძე რომ ადგეს საფლავიდან, ისიც ვერ უშველის.

**დავით მხეიძე**

**24 ნოემბერს სირიის ტერიტორიაზე, თურქეთის საზღვართან, თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა რუსეთის ფედერაციის თვითმფრინავი Су-24 ჩამოაგდეს. თურქეთის გენერალური შტაბის განცხადებით, რუსული თვითმფრინავი უსანქციოდ შევიდა თურქეთის საჰაერო სივრცეში. თვითმფრინავი 10-ჯერ გააფრთხილეს, რომ დაარღვია საზღვარი, რის შედეგადაც ის ორმა გამანადგურებელმა F-16-მა ჩამოაგდო. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით კი, Су-24-ს თურქეთის საზღვარი არ დაურღვევია, სირიის ტერიტორიის თავზე, 6000 კმ-ის სიმაღლეზე ფრენდა და მიუწვდომელი იყო გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსისთვის.**



## თურქეთის ხელისუფლების რეაქცია

თურქეთის პრემიერმინისტრი **ახმეტ დავითოღლუ** სასწრაფოდ შეხვდა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრ **მევლუთ ჩავუშოღლუსა** და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელ **ჰულუს აკარს.** პრემიერმა საგარეო უწყების ხელმძღვანელს დაავალა, მომხდარზე კონსულტაციები გაემართა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და გაეროს წარმომადგენლებთან.

სირიაში რუსეთის თვითმფრინავის ჩამოგდების გამო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, თურქეთის თხოვნით, საგანგებო თათბირს გამართავს.

**ეს ინციდენტი ძალიან გაართულებს ურთიერთობას რუსეთსა და თურქეთს შორის, რადგან რუსეთი აუცილებლად უპასუხებს თურქეთს და ეს პასუხი ძალიან მკაცრი იქნება. რუსი სამხედრო ექსპერტების აზრით, თურქეთმა დიდი სისულელე ჩაიდინა და, თუ ფიქრობს, რომ მას ნატო და აშშ დაეხმარება, ცდება.**

რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ **თურქეთი, ნატოს წევრი ქვეყანა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თურქეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, F-16-ის პილოტი ვერ გაერკვია, ვისთან ჰქონდა საქმე, ანერვიულდა და ესროლა ბომბდამშენს, რომელსაც თავის დაცვა არც კი უცდია.**

თუ თურქეთი ნატოს საბჭოს თათბირზე, სადაც სირიაში მომხდარ ინციდენტს განიხილავენ, დაამტკიცებს, რომ Су-24-მა მისი საზღვარი დაარღვია და არ პასუხობდა მის სიგნალებს, ნატოს შეუძლია განაცხადოს, რომ თურქეთი მართალია და მისი დასჯის საბაბი არ არსებობს.

თუმცა ეს ყველაფერი მაინც რუსეთის რეაქციაზე იქნება დამოკიდებული. რუსეთის რეაქცია კი ძალიან მწვავე და დაუნდობელი იქნება, თუკი თურქეთისგან მხარდაჭერილი სირიელი თურქმენები მათ ხელში ჩავარდნილ რუს პილოტს მძევლად გამოიყენებენ ან სულაც მოკლავენ. ამ შემთხვევაში პილოტის სიკვდილზე პასუხისმგებლობა თურქეთს დააწვება მხრებზე.

ეს ინციდენტი თურქეთისთვის არამხოლოდ ეკონომიკურ დანაკარგებს გამოიწვევს, არამედ დიპლომატიური კავშირის გაწყვეტასა და მის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყებასაც კი გახდის შესაძლებელს.

ალსანიშნავია ისიც, რომ **თურქეთის (და არამხოლოდ) ეკონომიკური დანაკარგები საკმაოდ დიდი იქნება, რადგან სწორედ ლატაკიას, სირიასა და თურქეთის საზღვარზე გადის სანავთობე და არქეოლოგიური არტეფაქტების კონტრაბანდის გზა, თურქეთიდან კი „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებს იარაღით ამარაგებენ. ეს მრავალმილიარდიანი ბიზნესია და მის განადგურებას თურქეთს არავინ აპატიებს.**

## ვის უჭერენ მხარს სირიელი თურქმენები, რომლებმაც СУ-24-ის პილოტი ტყვედ აიყვანეს

ჩამოგდებული Су-24-ის ორივე პილოტმა კატაპულტირება მოახერხა. ერთ-ერთი მათგანი, თურქულ გაზეთ Hurryet Daily News-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სირიელმა თურქმენებმა დაატყვევეს, მეორე კი დაიღუპა. სირიელი თურქმენები რაოდენობის მიხედვით მესამე ხალხია სირიაში. მათი ენა ჰგავს აზერბაიჯანულს. ეს ხალხი სამოქალაქო ომში ისლამისტების მხარდამხარ იბრძვის სირიის პრეზიდენტ ასადის წინააღმდეგ. ამით სარგებლობს თურქეთი და თავისი მიზნებისთვის იყენებს სირიელ თურქმენებს. ისინი ოფიციალურმა ანკარამ შეაიარაღა. სირიელი თურქმენების სამხედრო ძალები შედგება 12 დაჯგუფებისგან, რომლებსაც **„თურქმენეთის მთის ბრიგადას"** უწოდებენ, სწორედ მათი მეშვეობით ცდილობს თურქეთი სირიის ქალაქ რაკას („ისლამური სახელმწიფოს" ე. წ. დედაქალაქი) ხელში ჩაგდებას, სანამ ამას სირიის სამთავრობო ძალები მოახერხებენ.

## ვლადიმერ პუტინი:

## ეს იყო ზურგში დარტყმა. ეს ტრაგიკული მოვლენები სერიოზულ გავლენას იქონიებს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებზე




## რუსეთის პრეზიდენტის რეაქცია

რფ-ის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სირიაში რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებაზე კომენტარი იორდანიის მეფე აბდალა II შეხვედრისას გააკეთა. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, რუსული თვითმფრინავი Су-24 „ჰაერი-ჰაერის" ტიპის რაკეტით ჩამოაგდო თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ორმა გამანადგურებელმა — F-16-მა. Су-24 კი თურქეთის საზღვრიდან 1 კმ-ით იყო დაშორებული და სირიის საჰაერო სივრცეში ფრენდა.

**„რუსული СУ-24-ის ჩამოგდება სცდება ტერორიზმთან ბრძოლის ჩარჩოებს. ეს არის ტერორიზმის მხარდამჭერთა მიერ ზურგში დარტყმა. დღევანდელი ტრაგიკული მოვლენები სერიოზულ გავლენას იქონიებს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებზე",** — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ თურქეთმა მას შემდეგ, რაც რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდო, მიმართა არა რუსეთს, არამედ თავის ნატოელ პარტნიორებს. **„თითქოს ჩვენ ჩამოვაგდეთ მათი თვითმფრინავი და არა — მათ ჩვენი. მათ რა, სურთ, ნატო „ისლამური სახელმწიფოს" სამსახურში ჩააყენონ?!"** — გაკვირვებას ვერ მალავდა პუტინი.

„დიდი ხანია, ვიცით, რომ თურქეთის ტერიტორიაზე შედის „ისლამური სახელმწიფოს" მიერ მიტაცებული ნავთობპროდუქტები. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ ამ ბანდას დიდძალი ფული აქვს. ახლა კიდევ ზურგში დარტყმა ჩვენს თვითმფრინავებზე, რომლებიც ტერორიზმს ებრძვიან. თანაც, ეს ხდება მაშინ, როდესაც ამერიკის პარტნიორებთან ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ჰაერში ინციდენტების თავიდან ასაცილებლად; თურქეთი კი, როგორც ცნობილია, მათ რიგებშია, ვინც თითქოს ტერორიზმს ებრძვის.

თუ „ისლამურ სახელმწიფოს" აქვს ამდენი ფული (როგორც დაიანგარიშეს, ასობით მილიონი, შეიძლება, მილიარდობით დოლარიც კი — ნავთობით ვაჭრობიდან), პლუს მთელი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისგან დაცვა, მაშინ გასაგებია, რატომ იქცევიან ისინი ასე თავხედურად, რატომ ხოცავენ ადამიანებს სასტიკი მეთოდებით, რატომ აწყობენ ტერორისტულ აქტებს მსოფლიოში, მათ შორის ევროპის გულში", — დასძინა რუსეთის პრეზიდენტმა.

## სარაევოდან ლატაკიამდე

28 ივნისი სერბეთში ეროვნული გლოვის დღეა. 1389 წლის 28 ივნისს კოსოვოს ველზე ბრძოლაში სერბთა ლაშქარი თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა. სწორედ ამიტომ ჩათვალეს სერბებმა გამიზნულ პროვოკაციად ავსტრია-უნგრეთის ერცჰერცოგის — **ფრანც ფერდინანდის** ჩასვლა ავსტრია-უნგრეთის მიერ ანექსირებულ ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში და საიმპერიო ჯარის ალლუმზე დასწრება.

სერბულმა იატაკქვეშა ორგანიზაცია „შავმა ხელმა" გადაწყვიტა, თავს დასხმოდა ერცჰერცოგს. 1914 წლის 28 ივნისს 18 წლის სერბმა **გავრილო პრინციპმა** რამდენიმე ტყვია ესროლა ფრანც ფერდინანდსა და მის მეუღლეს, რომლებიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალნენ. ამის შემდეგ ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ სერბეთის სამეფოს ომი გამოუცხადა, რასაც პირველი მსოფლიო ომის დაწყება მოჰყვა.

ანალოგიური სიტუაციაა ახლაც, **პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან 101 წლის შემდეგ — ნატოსა და აშშ-ის შეგულიანებული თურქეთის მიერ ერთი რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებამ მესამე მსოფლიო ომის დაწყება შეიძლება გამოიწვიოს.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განა უსაქმურია, განა მოცლილია ქალაქის მერი, არა, ბატონო! ივნისში თბილისს უბედურება რომ დაატყდა, გვახსოვს, რა გაწამაწიაში იყო ნარმანია, მაგრამ ხელქვეითები ხომ ჰყავს, იმათ რატომ არ ავალებს, მამაცხონებული, სხვადასხვა საკითხის მოგვარებას?! გამოგზავნოს, მაგალითად, ალექსანდრეს ბაღში რამდენიმე კაცი, ერთი ხელის კვრა უნდა საპირფარეშოდ ქცეულ თეატრის შენობას და მერე აშენეთ იქ, რაც გინდათ .**

# ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

## «რუსთავი 2»-ის 22 ნოემბრის «აქცენტების» გამო

**პირამყრალებულმა დედაკაცმა ანტიჰუმანურობის, ცილისწამებისა და შანტაჟის ყუთიდან თავისი „აქცენტების“ პანდორას მსგავსი ყუთი გახსნა და სრულიად საქართველოს ამცნო ბოროტმოქმედებანი „უხილავი ადამიანისა“, რომელმაც, აგერ უკვე 30 წელია, თურმე წელში გატეხა საქართველოს ეკონომიკა და მორალური სიმტკიცე...**




თქვენ, ბატონო ბიძინა, ხალხი გსაყვედურობთ, რომ **ქვეყნიდან ვერ ამოძირკვეთ შავი ჭირი — „ნაციონალური მოძრაობა“; რომ „ნაციონალების“ მიერ დაყაჩაღებულ და გაძარცვულ საქართველოსა და მის მოქალაქეებს ვერ დაუბრუნეთ წართმეული ქონება, რომელიც მენშევიკების მსგავსად გაიტაცეს „ნაციონალური მოძრაობის“ ქვეყნიდან გაქცეულმა „უთავო თავკაცებმა“; რომ საპყრობილეში (და არა მხოლოდ) პატივაყრილ ადამიანებს ვერ გაუმართლეთ ნდობა და დღეს საქართველოს სიტყვითა თუ საქმით კვლავ აუპატიურებს სინდისის ძარღვგაწყვეტილი „წასული“ ხელისუფლება.**

მე, თქვენი დუმილით ნერვებაშლილი და საქართველოს დაშლის მოლოდინით გულშეწუხებული, ხშირად საჯაროდ გაკრიტიკებთ, ჩემს სათქმელს ვამბობ პრესითა თუ ტელევიზიით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ უნდა გაგსრისონ და ქვეყანას ისევ ხელუკულმართი ხელისუფლება დაუბრუნდეს.

ბატონო ბიძინა, შეისმინეთ ხალხის, თქვენ ხომ ხალხმა აგირჩიათ?! დღეს საქართველოს გარე თუ შიგა მტრებს სურთ თქვენი განადგურება. მერწმუნეთ, ვერც რუსეთი გადაგარჩენთ და ვერც ამერიკა — ან მგელი შეგჭამთ და ან მგლისფერი ძაღლი, თუ ქართველ ხალხთან არ იქნებით!

თქვენი გადარჩენა დღეს მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია! ხალხს ჯერ კიდევ ახსოვს თქვენი წვლილი სამების მშენებლობაში, რუსთაველისა და ოპერისა და ბალეტის თეატრების აღდგენაში, თქვენ მიერ შიმშილით სიკვდილს გადარჩენილი ქართველი ინტელიგენცია და სხვა უამრავი კეთილი საქმე, რომელიც რამდენიმე მილიარდს მოიცავს.




ხალხში ჯერ კიდევ არის თქვენდამი მადლიერების განცდა და გამოიყენეთ იგი!

თქვენს თავზე შავი ღრუბელი ტრიალებს, რაც საქართველოს უბედურებასაც მოასწავებს.

**მიაფურთხეთ ეშმაკს, რესპუბლიკელებს, ამერიკელებს, რუსეთს, მიენდეთ მშობელ ხალხს, პატრიარქთან ერთად აღიღეთ ხელში ჯვარი ქრისტესი და შეკარით ერთ მუშტად სრულიად საქართველო. მხოლოდ ასე იქნებით გამარჯვებული, მდიდარიც და დაცულიც.**

თქვენ ახლა აკეთებთ იმას, რაც არ გინდათ, ლაპარაკობთ იმას, რასაც არ ფიქრობთ. გჯერათ, დუმილით იცავთ თქვენს უსაფრთხოებას, არადა, სახლი და ქვეყანა თავზე გენგრევათ.

**მე, უკვე ასაკოვან კაცს, არაფერი მჭირდება თქვენგან და თქვენი ხელისუფლებისგან.**

**არ მინდა მხოლოდ ის, რომ „ბოროტმა სძლიოს კეთილს“!**

**კეთილი სურვილებით,**

**გრიშა ონიანი**

### უქმე დღეების ჩანაწერები

# ძალიანაც «ნარმალნია», თუკი უშვებთ ნარმანიას!

**აბა, „წყალშეყენებულ“ კაცს ქვა აღმართში რავა უნდა დააწიო, მაგრამ მეც ბარე ორჯერ დავრჩი ნაწყენი დედაქალაქის მერის მოქმედებით (უმოქმედობით) და ყოველივე ახლა გამახსენდა: ხან საკრებულოში რომ ლანძღავენ, ხან — ქუჩაში და ხან — ტელევიზორში...**



რატომ ვარ ნაწყენი ბატონ დავით ნარმანიაზე? — საზოგადო საქმის გამო, თორემ პირადულისთვის ღმერთმა ნუ დამაჭირვოს იგი.

შარშან პრესაში კიდევ ერთხელ შევეხე რუსთაველზე მდებარე ალექსანდრეს ბაღის უსუფთაობის თემას. ამ ბაღში ერთ დროს ცნობილ რეჟისორს — **სანდრო მრევლიშვილს**, ხის კოხტა შენობაში თეატრი ჰქონდა გამართული. მერე მრევლიშვილი იქიდან წავიდა, დარჩა შენობა უპატრონოდ და თანდათან გადაიქცა საპირფარეშოდ, რამაც, მეტადრე ზაფხულობით, იქაურობაააქოთა, ნიავის წამობერვის შემდეგ, ბაღში დასვენება კი არა, გავლაც შეუძლებელია (უცხოელები მიმოდიან ხშირად). რამდენიმეჯერ დავწერე და დავბეჭდე უგულავას თავკაცობის პერიოდში, რომ აეღოთ ეს ხის შენობა, მაგრამ უგულავამ, რომ იტყვიან, ფეხებზე დაიკიდა ეს საკითხი... აირჩიეს ქალაქის მერად ნარმანია და იმედი მომეცა (იმ უბანში ვცხოვრობ), იქნებ ეშველოს-მეთქი ბაღს... არაფერი გეტკინოთ!.. როგორც გითხარით, დავბეჭდე შარშან ერთხელ, მეორედ... **„ნოლ ვნიმანიე“ მერიისგან! ახლაც ისე დგას კარ-ფანჯრებჩამოღებული თეატრის შენობა-საპირფარეშო... ის კია, რომ ამ სიცივეში „კლიენტმა“ იკლო და უსიამოვნო სუნიც ცოტა განელდა ბაღში...**

ახლა **მეორე წყენა** ნარმანიასგან:

ჩემი შვილიშვილი ანანიკო რუსთაველზე მდებარე თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობს და მიწევს ხოლმე იქ მისვლა. **გიმნაზიის ეზოში ხშირადაა ნაგავი, ცარიელი პლასტმასის ბოთლები და ეს გიმნაზიის მეთვალყურეს, მრავალი თაობის გამცილებელ ქალბატონ ნელი ჩხეტიას რომ ვუთხარი, — ასუფთავებენ ბატონო, ასუფთავებენ, მაგრამ ქვეყნის ლოთი და უსაქმური შემოდის და ანაგვიანებს აქაუროებასო... ქუჩაა, ბატონო, ქუჩაა ეს!..** ჩახვეოდა იმ დღეს ერთმანეთს გამზირიდან შემოსული ქალ-ვაჟი და პირდაღებული მისჩერებოდნენ უმცროსკლასელები... გუშინ **მიადგა კედელს ერთი გალეშილი და მიაშარდა, პირველი სართულის ფანჯრიდან კი მოსწავლეები უყურებდნენ სიცილ-კისკისით...**

რუსთაველის გამზირის ნაწილადაა ქცეული აქაურობა... ზოგი კონცერტს მართავს, ზოგი — აქციას... ჩამოჯდებიან ილიასა და აკაკი ძეგლის პოდსტამენტზე და არის რია-რია!.. **ერთი სიტყვით, ქალაქის მერიამ კარგად, ლამაზად უნდა შემოღობოს და აქაურობას გიმნაზიის ეზოს სახელი უნდა დაერქვას!..**

დირექცია თანახმაა!..

ავდექი და ეს ყოველივე დავბეჭდე პრესაში. არავითარი ყურადღება მერიისგან.

**მესამედ,** აგერ, ცოტა ხნის წინათ მეწყინა ნარმანიასგან:

მთელმა თბილისმა იცის, თუ რა „განძი“ იპოვა უგულავამ პუშკინის ქუჩაზე, როგორ გადაათხრევინა მუშებსა და არქეოლოგებს იქაურობა, როგორ დავიწროვდა ქუჩა და რა შიშით, ხელოვნების მუზეუმის



კედელს აკრულნი მიმოდიან თბილისელები მოპირდაპირე მხარის უტროტუარო გზაწვრილზე. იმ დღეს საკუთარი თვალით ვნახე, კინაღამ ბავშვი გაიტანა მანქანამ...

დავწერე და დავბეჭდე ეს ყოველივე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ — არავითარი რეაქცია მერიისგან!

**ეტყობა, მერის პრესსამსახურის „გოგოშკები“ სპეციალურად უმალავენ პრესას თავიანთ უფროსს, რათა თბილისზე ჯავრით ნამეტანი არ მოუვიდეს ამ კაცს.**

არა, განა უსაქმურია, განა მოცლილია ქალაქის მერი, არა, ბატონო! ივნისში თბილისს უბედურება რომ დაატყდა, გვახსოვს, რა გაწამაწიაში იყო ნარმანია, მაგრამ ხელქვეითები ხომ ჰყავს, იმათ რატომ არ ავალებს, მამაცხონებული, სხვადასხვა საკითხის მოგვარებას?! გამოგზავნოს, მაგალითად, ალექსანდრეს ბაღში რამდენიმე კაცი, ერთი ხელის კვრა უნდა საპირფარეშოდ ქცეულ თეატრის შენობას და მერე აშენეთ იქ, რაც გინდათ (მგონი, ამირან შალიკაშვილს დაჰპირდნენ მარიონეტების თეატრის აშენებას).

ჰოდა, არ უნდა მომეყოლა ეს ამბები, როცა დავით ნარმანიას ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას?! იქნებ, უკეთესი მოვიდეს ვინმე?! ამიტომ ველარ შევიკავე თავი, თანაც, რითმაც შემოგოგმანდა ქართულ-რუსულად: „ნარმანია — „ნარმალნია“... და სათაურში გავიტანე... მგონი, არ უნდა დამძრახოთ!..

> **ეტყობა, მერის პრესსამსახურის «გოგოშკები» სპეციალურად უმალავენ პრესას თავიანთ უფროსს, რათა თბილისზე ჯავრით ნამეტანი არ მოუვიდეს ამ კაცს**

### ცხელი გვინდა ღომი!..

**მსოფლიოში ავად მიმდინარე პროცესების შესახებ საუბრობენ პოლიტოლოგები. ტელეეკრანზე წარწერაა: „ცივი ომი“. არ გვიკვირს, სხვებმა იკითხონ, თორემ საქართველოში, აგერ, მეოთხედი საუკუნეა, „ცივი“ ომია გაჩაღებული...**

ერთმანეთის ლანძღვა, თათხვა, გინება... გგონიათ, სხვადასხვა ერსა და ქვეყნებს შორის არის ეს გაუთავებელი გაუგებრობა?.. არა, ბატონებო!.. ერთმანეთს ებრძვიან, ერთმანეთს ქიშპობენ ერთი მუჭა ქართველები. ამაშიც „ჩემპიონები“ ვართ!

რა ექნა ამის შემხედვარე **ტარიელ ჭანტურიას?** დაწერა, ვითომ სახალისოდ, მაგრამ მაინც თავისებურად, ირონიულად:

**ჩვენ არ გვინდა „ცივი“ ომი
და არც „ცხელი“ ომი,
ცივი გვინდა საცივი და
ცხელი გვინდა ღომი!..**

ეეეე... ჩვენო ძვირფასო, ბატონო ტარიელ! ინდაურის საცივსა და ცხელ ღომს, ერთ-ორ ჭიქა ადესასაც თუ მიაყოლებს კაცი, მართლაც, რა სჯობს, მაგრამ ამ უბედურ ქვეყანაში, ზოგს რომ მაინც „ცივი“ ომი, ანუ ერთმანეთის „ჩანისკარტება“ ურჩევნია, ეგაა უბედურება!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**„ამერიკა ჩვენს სულიერებას ანადგურებს. ყველაფერი გაიხრწნა, რას ჰგავს ჩვენი ტელევიზიები — პედერასტებით არის სავსე. წელს შოთა რუსთაველის წელიწადია და საზოგადოებრივ მაუწყებელზე ერთი სიუჟეტიც არ გასულა“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ელიზბარ ჯაველიძე:

# გუგული რის გუგული იქნებოდა, «ნაცების» ბუდეში რომ დარჩენილიყო?!

**„მცოდნე ადამიანი საჯარო სამსახურში 2000 ლარად არ გაჩერდება“, „მე დავიმსახურე ჯიპით სიარული“, „სახელმწიფო ვალდებული არ არის, ადამიანების დასაქმებაზე იზრუნოს, საბჭოთა წყობა ხომ არ არის?!“ „ხალხის მუქარის არავის ეშინია“ — ეს ფრაზები პარლამენტარ გუგული მაღრაძეს ეკუთვნის, რომელიც სწორედ ასეთი გამონათქვამებით ახსენებს თავს ამომრჩეველს. შევეცადეთ, პარლამენტარი გუგული მაღრაძისთვის სხვა რაკურსით შეგვეხედა და გაგვერკვია, რით დაიმსახურა მან „ჯიპით სიარული“, პარლამენტარობა და ხალხისთვის ჭკუის დარიგება. ამ თემაზე სასაუბროდ აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ვესტუმრეთ.**

**— ორი დღეა, ქართველი საზოგადოება პარლამენტარ გუგული მაღრაძის „საინტერესო“ გამონათქვამებს ისმენს. „ხალხის მუქარის არავის ეშინია“, „რა ვალდებულია სახელმწიფო, რომ ხალხს სამუშაო ადგილები მისცეს“ და ა.შ. რას ეტყვით გუგული მაღრაძეს, რა დამსახურებისთვის უნდა იაროს ჯიპით?**

— გუგული მაღრაძის ანატომია შესწავლილი და გაშიშვლებული მაქვს. ის არასერიოზული ქალბატონია. სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები დღეს ხელისუფლებაში არიან. მათ არ ადარდებთ ქვეყნისა და მოსახლეობის ბედი. გუგული მაღრაძე საკუთარი კეთილდღეობისთვის სამშობლოს გაწირავს.

მაღრაძე არანაირი მეცნიერი არ არის, სამი დიპლომი აქვს და ვერც ერთი მეცნიერება საფუძვლიანად ვერ შეისწავლა.

სანუხაროა, რომ დღეს ამგვარი „მოღვაწეები“ უფრო მომრავლდნენ, ვიდრე ღირსეული, ერის ბედზე მჭმუნვარე მამულიშვილები. **ეს ფარისეველნი, თავი მსოფლიოსა და კაცობრიობის ქომაგებად რომ მოაქვთ, არ ვიცი — სამშობლოს სიძულვილის, არ ვიცი — ხელმოცარულობის, უნიჭობისა და თუ შურის, არ ვიცი — უცხოელ „მეცენატთა“ დავალებისა და საკუთარი კარიერის გამო, ენებს ასარსალებენ, აკადემიისა და აკადემიკოსების დამცრობა სურთ და ჩასაფრებულნი — ორღობიდან, ტელეეკრანიდან, სამინისტროსა თუ პარლამენტის ტრიბუნიდან — ტალახს ესვრიან ღვაწლმოსილ ადამიანებს.**

ფარისეველთა არმიას ბოლო დღეებში შეემატა „ბალზაკის ასაკს“ გვარიანად გადაცილებული, „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ქარს“ გამოყოლილი ქალბატონი **გუგული მაღრაძე, რომელიც მოულოდნელად გამოხტა, როგორც კედლის საათიდან გუგული და დროების შესაბამისად შემოგვძახა — გუ-გუ თუ კუ-კუ! რამდენიმე წლის წინათ კი ადამიანური ენით გვაუწყებდა, აკადემიის სისტემა საბჭოთა გადმონაშთია, თქვენ მისი ნარჩენები ხართ და დროა, კუთხეში მიიყუჟოთო...** ამის გამგონე აკადემიის წევრთა უმეტესობას გაახსენდებოდა ანდაზა: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველიდესო“. ზოგიერთს კი უფრო შესატყვისი ხალხური სიბრძნე გაუელვებდა თავში — „არამკითხე მოამბეო მიტყიპეს და მიაგდესო“...

მაგრამ, თუ ქალბატონი გუგულის მასას და მის ქალურ სინარნარეს გავითვალისწინებთ, ასე იოლი მისატყეპი და მისაგდები არ არის.

თუ ქალბატონი გუგულის ცხოვრების გზას თვალს გადავავლებთ, მისი ფსიქო-სოციალური ტიპის დადგენა გაძნელდება... ეს სიძნელე გამოწვეულია არა იმდენად მისი ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური აზროვნების სიღრმით, რამდენადაც დაუდევარი და მერყევი ხასიათითა და ქცევით, რომელიც ასევე მისი მოსახელე ფრინველის ბუნებას გვაგონებს — სხვის ბუდეში კვერცხს რომ დებს, ბედის ანაბარა მიატოვებს და მერე სხვა, უფრო თბილ ბუდეში მოკალათდება კვერცხის დასადებად. **სწორედ „გუგულის ქცევას“ გვაგონებს ქალბატონი გუგული მაღრაძის მრავალი ასოციაციის ასოცირებული წევრობისა და სხვადასხვა ორგანიზაციის პრეზიდენტობის დაუოკებელი ჟინი.** რომელი ერთი ჩამოვთვალო? — გამოყენებითი ფსიქოლოგიის მსოფლიო ასოციაცია, პოლიტიკური ფსიქოლოგიის მსოფლიო ასოციაცია, საქართველოს ფსიქოლოგიის საზოგადოება, სამეცნიერო და სასწავლო პროგრამების მონაწილეთა ასოციაცია, საერთაშორისო ცენტრი „განათლება მშვიდობისთვის“, საქველმოქმედო ასოციაცია „მეგზური პრომეთე“ და სხვ. დანამდვილებით ვერ გეტყვით, რა სიკეთეს თესავდა ქალბატონი გუგული ამ ასოციაციათა ასოცირებული წევრობის დროს, მაგრამ ერთი კი მწამს, ლობე-ყორეს მოდებით ნამდვილი საქმე და ჭეშმარიტი აზრი არ გამოდნება, ეს ცხადია.

ისიც გავიხსენოთ, როგორ ადიოდა ის პოლიტიკის ციცაბო ბილიკზე: ჯერ იყო მტკიცე ლენინელი და კომუნისტური რწმენის თავდადებული დამცველი, შემდეგ — ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აქტივისტი და კავშირის პრესსამსახურის უფროსი (1992-1998 წწ.); შემდეგ მიშიკოს დედიკოს — **გიული ალასანიას** ხელდასხმით, „ნაციონალური მოძრაობის“ სიით მოხვდა პარლამენტში. მაგრამ **გუგული რის გუგული იქნებოდა, „ნაცების“ ბუდეში რომ დარჩენილიყო?! ახალი სიოს დაბერვისთანავე „ნაციონალებს“ ზურგი შეაქცია და დააფუძნა ქალთა პარტია „სამართლიანობისა და თანასწორობისათვის“ (2008 წ.), მაგრამ დამოუკიდებლად წარმატებას ვერ მიაღწია, გააუქმა პარტია და „ქართული ოცნების“ ბუდეში ჩათბუნდა. ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის წყალობით, აუხდენელი ოცნება აისრულა და პარლამენტის წევრი და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გახდა.** მოკლედ, როგორც გუგულს არ ესირცხვილება ბუდეების ცვლა, მისი სინდრომით დაავადებულ გუგული მაღრაძესაც არად მიაჩნია პარტიების ცვლა, მეგობრის ღალატი და მათი მოსროლა ნახმარი კოლჰოტივით. ეს მით უმეტეს გასაკვირია იმ ადამიანისგან, რომელმაც ახალი საბჭოთა ადამიანის მორალის ჩამოყალიბებას შეალია თავისი ახალგაზრდობა.

გადავავლოთ თვალი სწავლა-განათლების სფეროში გუგული მაღრაძის გარჯასაც. ბუნებრივია, აქაც გუგულის სინდრომი იჩენს თავს. საგულისხმოა, რომ მან ერთიმეორის მიყოლებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი ფაკულტეტი — ფილოსოფია-ფსიქოლოგიის (1968 წ.), დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის (1974 წ.) და სამართალმცოდნეობის (1997 წ.).

**გუგული, როგორც ფსიქოლოგიის „ღრმა“ მცოდნეს, პროფესორს, ადამიანის მორალურ აღზრდასა და გენდერულ პრობლემებზე ფიქრით გათეთრებულს, მინდა, რამდენიმე კითხვა დაგისვათ:**

* პირველი — **რას ფიქრობთ იმის თაობაზე, რომ, ლიბერასტ-ფსიქოლოგთა აზრით, ოჯახში აღზრდილ ნაშიერს მხოლოდ 14 წლის შესრულების შემდეგ უნდა ვკითხოთ, რა სურს მას — ასულობა თუ ძეობა და ამის მიხედვით განვსაზღვროთ მისი სქესი?**

* მეორე — **დემოკრატიის სიმბოლოდ მიჩნეულ აშშ-ის ერთ-ერთ შტატში მასწავლებლებს ეკრძალებათ მოწაფეებს მიმართონ სქესის განმასხვავებელი სახელით, სხვაგვარად, ვაჟს ვაჟი უწოდონ და ასულს — ასული. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ?**

* მესამეც — **სკანდინავიის ერთ-ერთ ქვეყანაში ქალისა და კაცის გენდერული თანასწორობის დარღვევით შეშფოთებულმა უფლებადამცველებმა თხოვნით მიმართეს პარლამენტის წევრებს: რადგანაც, მაპატიეთ კადნიერება, ქალები ჩაცუცქული შარდავენ, ხოლო მამაკაცები — ფეხზე დგომით, ქალებმა თავი დაჩაგრულად რომ არ იგრძნონ, მიიღეთ გადაწყვეტილება, კაცებმაც ჩაცუცქული მოშარდონო.**

მორალზე მოფიქრალო ქალბატონო, **როგორ მოვიქცეთ: კაცებმა ჩავიცუცქოთ თუ ქალები წამოვაყენოთ ფეხზე? აი, ამაზე გმართებთ დაფიქრება და იმის გარკვევა, რომელი პოზა უფრო მორალურია.**

ახლა მკითხველმა განსაზღვროს, აქვს თუ არა მას მორალური უფლება პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან მოგვიწოდოს და ჭკუა დაგვარიგოს.

პარლამენტში მარტო გუგული მაღრაძე არ არის ასეთი. ვიღაც გაუგებარ დედაკაცს, **ნანა ყეინიშვილს,** რომელიც, როგორც ამბობენ, დასაჭერად იყო გამზადებული, მაგრამ ვირის აბანოს ნაცვლად პარლამენტში მოხვდა და რომლის სიტყვაც არავის სმენია, უცბად რაღაცამ უკბინა და წამოუყრანტალებია: მეცნიერების ნანგრევები უნდა გადავხვეტოთო.

მართლაც, **ფურთხის ღირსია ის პარლამენეტი, რომელსაც ამკობს ადამიანთა მოდგმის ჯერაც ამოუცნობი ეს ამება, სინდის და ნამუსწარხოცილი ბრიყვი.**

უფალო, იხსენ ჩვენი სამშობლო უმეცრების ჭირის გამავრცელებელი ვირთაგვებისგან!

**უმეცრების პრობლემა მხოლოდ პარლამენტში არ დგას. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, პარლამენტში მხოლოდ ის უნდა შევიდეს, ვინც ინგლისურს ფლობსო. ეს ანტისახელმწიფოებრივი განცხადებაა, ჩვენ რომ სახელმწიფო ვიყოთ, ამ განცხადების გამო, თეა წულუკიანი უნდა გადადგეს.**

**პარლამენტში ის ადამიანი უნდა იყოს, რომელმაც ქართული კარგად იცის და სახელმწიფოებრივად აზროვნებს და არა გუგული მაღრაძე, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ჩასუქებული დუნდულები ჯიპში როგორ ჩადოს.**

სააკაშვილი ჩვენი ქვეყნისთვის გაცხადებული მტერი იყო, დღევანდელ პარლამენტსა და მთავრობაში კი არიან ადამიანები, რომლებსაც ვერაფერს გაუგებ. ესენი უფრო საშიშები არიან.

**— ამ ყველაფერს რომ წაიკითხავს ადამიანი, იტყვის, — ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგასო...**

— დიდი ხანია, ვამბობ, რომ ერის გადარჩენის პრობლემის წინაშე ვდგავართ. ყველა მხრიდან მხოლოდ იმას ცდილობენ, როგორმე გადაგვაგვარონ, გაგვანადგურონ. საშინელი ვითარებაა დემოგრაფიული თვალსაზრისით. ცოტა ხანში ამ მიწაზე უფრო მეტი უცხოელი იქნება, ვიდრე ქართველი.

**გვიბილწავენ ხატებს, გვირყევენ რწმენას. უპირატესობა ენიჭებათ ლგბტ-ებს. აღარ გვაქვს კულტურა. კულტურის მინისტრი ჯაზზე საუბრობს, ჯაზმენია. მულტიკულტურის დამკვიდრება სურთ. მწერალთა კავშირის შენობის კედლებიდან ილიასა და აკაკის სურათები ჩამოხსნეს. არადა, წლების წინათ, როდესაც მათი სურათები ჩამოხსნეს, სტალინმა უკან დააბრუნებინა.**

მონღოლები რომ შემოგვესივნენ და ტყეში გავედით, ძალა აღარ გვქონდა, სულიერებამ გვიხსნა და გადაგვარჩინა. **ამერიკა ჩვენს სულიერებას ანადგურებს. ყველაფერი გაიხრწნა, რას ჰგავს ჩვენი ტელევიზიები — პედერასტებით არის სავსე. წელს შოთა რუსთაველის წელიწადია და საზოგადოებრივ მაუწყებელზე ერთი სიუჟეტიც არ გასულა.**

**— ერთი წელიც არ რჩება საპარლამენტო არჩევნებამდე. რა უნდა ქნას ხალხმა?**

— უმადური კაცი არ ვარ, ვაფასებ იმას, რაც გააკეთა ივანიშვილმა — კალიგულა მოგვაშორა, მაგრამ დასავლეთისა და ამერიკის წნეხისგან მაინც ვერ გავთავისუფლდით.

არჩევნები მოდის და არ შემიძლია, საგარეჯოში მომხდარი არ ვახსენო, მომავალი არჩევნების ბედი საეჭვოა. თინა ხიდაშელმა რაც გააკეთა, ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს. ხელისუფლებამ დიდი შეცდომა დაუშვა და უშვებს ახლაც. ქუჩაში უამრავი ადამიანი შიმშილობს და არავინ იკითხა, რა სურთ. ზვიად გამსახურდია რომ შიმშილობდა, მის შვილებზე მეტად ცეკას მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი განიცდიდა...

ვეჭვობ, მომავალი არჩევნები სამართლიანი არ იქნება. საქართველოს ბედი საქართველოშივე უნდა გადაწყდეს. სისტემა თუ არ დავანგრიეთ, ხელისუფლების ცვლილება არაფერს მოგვცემს. ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არსებულ სისტემას დაანგრევენ, გარისკავენ, თავს გაწირავენ...

**ჩემთვის რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, პოლიტიკა მისაღებია, მან ამერიკას ცხვირში ამოსცხო!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



**«ფურთხის ღირსია ის პარლამენტი, რომელსაც ამკობს ადამიანთა მოდგმის ჯერაც ამოუცნობი ეს ამება, სინდის და ნამუსწარხოცილი ბრიყვი... უფალო, იხსენ ჩვენი სამშობლო უმეცრების ჭირის გამავრცელებელი ვირთაგვებისგან!»**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ეს ბიჭები სულაც ეთიკის ყველა ნორმის დაცვით რომ მოქცეოდნენ მგზავრებს და მათთვის ფეხები დაეთბილათ საკუთარი ხელით, სამგზავრო თვითმფრინავში შევარდნა და მისი ეკიპაჟისთვის მარშრუტის შეცვლის მოთხოვნა მაინც არის ტერორისტული აქტი.**

# «თვითმფრინავის ბიჭები» «ჯინსების თაობიდან», ანუ ჩვენი «ლეგენდარული» ტერორისტები...

**ჩემთვის ძალიან სამწუხაროდ, მიწევს, დავწერო იმ საშინელი ფაქტის შესახებ, რომელიც 1983 წლის 18 ნოემბერს მოხდა საქართველოს საჰაერო სივრცეში. მომხდარი სწორედაც ორმაგად სამწუხაროა და აი რატომ: პირველი იმიტომ, რომ თვითონ ფაქტია სამწუხარო და მეორეც, რომ 32 წელიწადია, ჩვენი საზოგადოების ტვინუკუღმართი ნაწილი აქტიურად განიხილავს თემას — არის თუ არა სამოქალაქო მგზავრებით სავსე თვითმფრინავის გატაცება ტერორისტული აქტი. თუმცა არის კიდევ მესამე სამწუხარო მომენტი, რომელიც პიროვნულად მე მეხება და აქედან დავიწყებ.**

1983 წლის 19 ნოემბერს, მე, 7 წლის მეორეკლასელი ბიჭუნა, ვზივარ მერხთან და ჩემს ბავშვურ, ფაქიზ ფსიქიკაში სამუდამოდ და მკვეთრად იბეჭდება, როგორც შავ-თეთრი ფილმის კადრები:

ჩემგან ოდნავ წინ და მარცხნივ, თავის მერხთან ზის მუდამ ხალისიანი, მხიარულთვალებიანი შავგვრემანი გოგონა. ამ დღეს ის ძალიან მოწყენილი და დაბნეულია. ეს უჩვეულოა ჩემთვის. კიდევ უფრო უჩვეულოა ის, რომ მთელი სკოლა, სხვა კლასების მოსწავლეები, მასწავლებლები, დამლაგებლები, მებუფეტე — ყველა რიგრიგობით შემოდის ჩვენს კლასში, უყურებენ ამ გოგონას, მიდიან მასთან, თავზე ხელს უსვამენ, ეფერებიან...

„გადარჩა, ხო?" — უკვე მერამდენედ მესმის ეს კითხვა.

„კი, გადარჩა! მაგრამ განახევრებულია კაციო,— ამბობენ. თურმე ერთ საათში გაჭაღარავებულა. რომ მოუცილებიათ სახლში, შვილმა ვერც იცნოო. დილით მხიარული, ახალგაზრდა, შავტუხა მამა გააცილა და ღამით ერთიანად მობერებული, ჭაღარა და სახეშეცვლილი მოუყვანეს სახლში", — მერამდენედ მესმის ეს პასუხიც...

მაშინ, 32 წლის წინათ, ბოლომდე არც მესმოდა, რა ხდებოდა. მხოლოდ იმას ვხვდებოდი, რომ ამ გოგონას მამას რაღაც ძალიან ცუდი დაემართა, მაგრამ ცოცხალი გადარჩა...

მხოლოდ მოგვიანებით, უკვე, ალბათ, სკოლის დამთავრებისას, მივხვდი, რომ ჩემი კლასელი გოგონა თბილისი-ბათუმი-ლენინგრადის სამგზავრო თვითმფრინავის იმ საბედისწერო რეისის გმირის, ნამდვილი გმირის, ეკიპაჟის მეთაურის — **ახმადგერ გარდაფხაძის** შვილი იყო.

**„ზუსტად 32 წლის წინათ, ამ დღეს, 18 ნოემბერს, მამაჩემი ახმადგერ გარდაფხაძე ასრულებდა რეისს თბილისი-ბათუმი-ლენინგრადი. მერე რაც მოხდა, ყველამ იცით. მე მიმაჩნია, რომ მას იმ დღეს ღმერთმა მეორედ აჩუქა სიცოცხლე და ის მეორედ დაიბადა! მამაჩემის ორი მეგობრისა და კოლეგის უდანაშაულო სიცოცხლე შეეწირა იმ საბედისწერო დღეს ეგრეთ წოდებულ ჯინსების თაობას!"** — დაწერა თავის „ფესიბუქ-კედელზე" ჩემმა კლასელმა ნინო გარდაფხაძემ და აქვე დაასრულა კამათი და გაწი-გამოწი ნებისმიერთან, ვინც...

**ვინც ცდილობს საზოგადოებაში დაამკვიდროს აზრი, რომ ეს ტერორისტული აქტი კი არა „რომანტიკოსი ახალგაზრდების გალაშქრება იყო საბჭოთა წყობის წინააღმდეგ"...**

თუმცა, რატომღაც გვერდს უვლიან იმ ფაქტს, რომ **ნებისმიერი ტერორისტი რაღაცის წინააღმდეგ იბრძვის.**

„ტერორიზმი" სწორედაც რომ რაიმე, თუნდაც სამართლიანი, მიზნისთვის უსამართლო და მიუღებელი მეთოდით ბრძოლაა და სხვა არაფერი.

კი მაგრამ, რით გავარჩიოთ ბრძოლის მეთოდი მისაღებია თუ მიუღებელი? — იკითხავს გაუთვითცნობიერებელი ადამიანი და ეს განსაკუთრებით არასრულწლოვან, ე.წ. თინეიჯერების თაობას ეხება, რომლებიც სწორედ ახლა ცდილობს, სწორად შეიმეცნოს გარემომცველი სამყარო...

მარტივია — მიუღებელია ბრძოლის ყველა ის მეთოდი, რომელიც საფრთხეს უქმნის უიარაღო მოსახლეობას, სამოქალაქო პირებს. **თბილისი-ბათუმი-ლენინგრადის იმ ცნობილ რეისს კი, მოგეხსენებათ, სამგზავრო თვითმფრინავი ასრულებდა და მასში სრულიად უდანაშაულო სამოქალაქო პირები ისხდნენ.**

აქ მივადექით კიდევ ერთ სულელურ და დემაგოგიურ „არგუმენტს", რომელსაც „თვითმფრინავის ბიჭების" „გულუბრყვილო რომანტიკოსებად" გასაღების მოსურნენი იყენებენ ხოლმე — **„თვითმფრინავის მგზავრები და ეკიპაჟის წევრები იმ ბიჭებს არ დაუხოცავთ! მათ გარედან სპეცრაზმის მიერ ნასროლი ტყვიები მოხვდათ!"**

ეკიპაჟის მეთაურ გარდაფხაძისა და კიდევ არაერთი მოწმის ჩვენებით, თვითმფრინავის აეროპორტში დაჯდომამდე, უკვე სამი მოკლული ადამიანი იყო და ჰაერში მათ სპეცრაზმი ვერ დახოცავდა და მეორეც — **ეს ბიჭები სულაც ეთიკის ყველა ნორმის დაცვით რომ მოქცეოდნენ მგზავრებს და მათთვის ფეხები დაეთბილათ საკუთარი ხელით, სამგზავრო თვითმფრინავში შევარდნა და მისი ეკიპაჟისთვის მარშრუტის შეცვლის მოთხოვნა მაინც არის ტერორისტული აქტი!**

**საზოგადოებას, რომლის თუნდაც 10 და 15 პროცენტი მაინც გაცხარებული კამათობს აქსიომაზე — არის თუ არა სამგზავრო თვითმფრინავის გატაცება ტერორისტული აქტი, ნამდვილად არაფერი ეშველება. აი, პასუხი ბოლო 25 წლის განმავლობაში ყველაზე აქტუალურ კითხვაზე: გვეშველება რამე?**




კიდევ ერთი, რაზეც ყურადღებას ამახვილებენ „გმირთა" დამცველნი, არის ის, რომ ეს ბიჭები საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ...

საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ორი ცნობილი შეიარაღებული დაჯგუფების მაგალითი — **„ჰამასი" (პალესტინა)** და **„ჰეზბოლა" (ლიბანი).**

ორივე მათგანს მიზანი ერთი და იგივე აქვს — მათ სამშობლოში შექმნილი მეზობელი სახელმწიფოს, ისრაელის, წინააღმდეგ ბრძოლა.

მიუხედავად ამისა, „ჰამასი" მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს, ასევე ევროკავშირის, მიერ აღიარებულია ტერორისტულ ორგანიზაციად. „ჰეზბოლას" კი ტერორისტულ ორგანიზაციას მხოლოდ ისრაელი და მისი უახლოესი მოკავშირეები — ამერიკა და კანადა უწოდებენ. ევროკავშირის ქვეყნებმა, ისრაელ-ამერიკის წარმოუდგენელი ზეწოლის მიუხედავად, „ჰეზბოლა" არ აღიარეს ტერორისტულ ორგანიზაციად და მას მხოლოდ უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის სტატუსი აქვს...

მიზეზი? ისევ და ისევ უმარტივესი — „ჰამასი" თავს ესხმის მაღაზიებს, მეტროპოლიტენის სადგურებს, საქალაქო ტრანსპორტს, სამგზავრო თვითმფრინავებს... მოკლედ, აზიანებს, ანადგურებს და ემუქრება სამოქალაქო ობიექტებს, სამოქალაქო პირებს.

„ჰეზბოლა" კი თავდასხმებს ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ობიექტებზე, ბაზებზე, მძიმე ტექნიკაზე, სამხედრო ჯგუფებზე, სამხედრო ავიაციაზე. არც ერთი მათი სამხედრო ოპერაცია არ იყო მიმართული სამოქალაქო პირების წინააღმდეგ.

მგონი, საკმარისია იმის გასააზრებლად, რომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს არც მოქმედების მიზანს და არც იმას, გამოიყენეს თუ არა იარაღი ე.წ. თვითმფრინავის ბიჭებმა. **სამოქალაქო თვითმფრინავის გატაცება, თუნდაც მხოლოდ მუქარა — ეს არის ტერორისტული აქტი ყოველთვის, ყველგან და ნებისმიერ ვითარებაში...**

თუმცა **ჩვენ ვართ ის საზოგადოება, რომლის არა მხოლოდ, დავუშვათ, გაუნათლებელი ნაწილი, არამედ მწერლები და იურისტებიც კი, ზოგჯერ იმისთანა სისულელეებს წამოროშავენ, ნორმალურ ადამიანს შეიძლება გული გაგიჩერდეს.**

არასოდეს დამავიწყდება ცნობილი ადვოკატის, **ზვიად კორძაძის**, წარმოუდგენლად სულელური ფრაზა ტელეკომპანია „იმედის" ეთერში, როდესაც მას დაუსვეს კითხვა — სამოქალაქო თვითმფრინავის გატაცება არის თუ არა ტერორისტული აქტი?

ამ სახელმოხვეჭილმა იურისტმა, წარბიც არ შეტოკებია, ისე უპასუხა: **„გააჩნია, საიდან გაიტაცებენ ამ თვითმფრინავს, მაგალითად, თუ ჩრდილოეთ კორეიდან ან სხვა რომელიმე არადემოკრატიული ქვეყნიდან გაიტაცებენ მას, მაშინ ეს არ არის ტერორისტული აქტი".**

პირდაპირ ვიტყვი — **ეს იურისტის კი არა, მართლაც გარკვეული პროპაგანდისგან ტვინდაცემენტებული „ეპოქის შვილის" პასუხია და, მსგავსი სიტუტუცე რომ მოვასმენინოთ ჩრდილოეთ კორეის ან რომელიმე იმ ქვეყნის ხელისუფლებას, რომლებსაც ზვიად კორძაძე „არადემოკრატიულად" მიიჩნევს, სერიოზულ საერთაშორისო დიპლომატიურ სკანდალსაც გამოვკრავთ ხელს.**

ისე, მართლა საინტერესოა, ბატონი იურისტი ზვიადი, ჩრდილოეთ კორეის გარდა, კიდევ რომელი ქვეყნებიდან მიიჩნევს დასაშვებად სამოქალაქო თვითმფრინავის გატაცებას?! იქნებ გაგვეგზავნა იმ ქვეყნებში „გმირობას" მოწყურებული ჩვენი ახალგაზრდები...

სწორედ ახალგაზრდებზე მოქმედებს ყველაზე „ეფექტურად" მსგავსი სისულელეები და წელან იურისტების გვერდით მწერლებიც უმიზეზოდ არ მიხსენებია.

**„ჯინსების თაობა"** — ეს ის წიგნია, რომელმაც მართლაც დააავადა საქართველოს ახალგაზრდობა, განსაკუთრებით — არასრულწლოვანები, რომელთა განკურნება ამ დაავადებისგან მე, პირადად, ყველაზე დიდ საქმედ მიმაჩნია.

სწორედ ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა, გავიმეორო: **მიუხედავად იმისა, რას აპროტესტებ, მიუხედავად იმისა, ვინ დახოცა ადამიანები, მიუხედავად იმისა, საბჭოთა სასამართლო მკაცრად მოიქცა თუ ლმობიერად, მიუხედავად იმისა, შეიძლებოდა თუ არა ამ ბიჭების დახვრეტის განაჩენის თავიდან აცილება... მიუხედავად ყველაფრისა, ეს იყო ტერორისტული აქტი და არავითარ შემთხვევაში — „რომანტიზმი" და მით უფრო — „გმირობა"!**

სამწუხაროდ, საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ტერორიზმს ჯერ ლიტერატურული ნაწარმოები, შემდეგ სპექტაკლიც კი მიუძღვნა.

ყველაზე სავალალო ის არის, რომ ერთიც და მეორეც გარკვეული პოპულარობით სარგებლობს ჩვენს საზოგადოებაში. და **საზოგადოებას, რომლის თუნდაც 10 და 15 პროცენტი მაინც გაცხარებული კამათობს აქსიომაზე — არის თუ არა სამგზავრო თვითმფრინავის გატაცება ტერორისტული აქტი, ნამდვილად არაფერი ეშველება.**

აი, პასუხი ბოლო 25 წლის განმავლობაში ყველაზე აქტუალურ კითხვაზე — გვეშველება რამე?

ვიცი, აქაც გამოვარდებიან მატრაკვეცები და იკითხავენ, — „თვითმფრინავის ბიჭების" საქმე რაღა შუაშია იმასთან, გვეშველება რამე თუ არაო.

ჭკვიანისთვის კი იოლად მისახვედრია — საზოგადოების ზოგადი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება სწორედ ასეთი დეტალებით იწყება და, თუკი საზოგადოების მეხუთედს მაინც მახინჯი მსოფლმხედველობა აქვს და ვერ ხვდება აქსიომებს, იმ საზოგადოებას, წარმოუდგენელია, რამე ეშველოს!

რაც შეეხება უმთავრეს მიზანს — არ მოიწამლოს ახალგაზრდობა, ამას მე შეძლებისდაგვარად ვასრულებ და საილუსტრაციოდ აქვე გთავაზობთ „სქრინ-შოტებს" იმ მადლიერი მშობლებისგან, რომელთა „თინეიჯერმა" შვილებმა ჩემი სტატუსები წაიკითხეს სოციალურ ქსელებში და ცოტა დაფიქრდნენ...

მადლიერი, რომ მსგავსი „სქრინები" ჩემს „არქივში" მხოლოდ ერთი და ორი არ არის...

**კიდევ ერთი, რამაც ყურადღება მიიქცია, არის თინა-სპასალარის ფრაზა — „ასე გაგრძელდება ბოლომდე“. გავკადნიერდები და ვიკითხავ — სანამდე ბოლომდე? ანუ ბოლომდე — სანამ ყველაფერს არ დავკარგავთ, სანამ კიდევ უფრო მეტ ტერიტორიებს არ წაგვართმევენ და საბოლოოდ არ გავქრებით, როგორც სახელმწიფო?**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასავლეთის კარის დარაჯნი და მეციხოვნე ოლანდი

**დაახლოებით ასეთ ზღაპარს მოუყვებიან, ალბათ, მშობლები ბავშვებს ასი წლის შემდეგ. ეს ზღაპარი შეეხება იმას, თუ როგორ ცდილობდნენ ველური და ბნელი ქართველები დასავლეთის კარის შელეწვას და ევროპაში შეჯლიგინებას, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ ბნელ და გამოუსვლელ ველურ ქართველებს ჰყოლიათ გამოსული, განათლებული და შეგნებული შვილებიც და სწორედ მათ იხსნეს მათივე ხალხისგან ნათელი, წინწასული, კეთილი ევროპა.**




თქვენც გსმენიათ, ალბათ, მშობლებისა თუ ბებია-ბაბუისაგან ზღაპრები იმაზე, როგორ იხსნა კეთილმა დევმა თავისივე თანამოძმე ბოროტი დევებისგან ადამიანები. დაახლოებით ასეა ქართველებისა და ევროპის საქმეც. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს რამდენიმე განცხადება, რომლებიც გასულ კვირაში გამოქვეყნდა.

**„ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების მსურველ ქვეყნებს აუცილებლად უარი უნდა ეთქვათ!“** — მკაცრად განაცხადა საფრანგეთის „მამამ“, **ფრანსუა ოლანდმა,** და, ალბათ, დასავლეთისკენ იმედით მომზირალ არაერთ ადამიანს დაწყვიტა გული.

თუმცა „ლუდოვიკოებისგან“ მსგავსი განცხადებები საქართველოს მიმართ უკვე საუკუნეებია, წესით, აღარც უნდა გვიკვირდეს, რომ არა ჩვენივე თავდაცვის მინისტრის კიდევ უფრო გამაოგნებელი განცხადება.

ოლანდის მიერ ამ ფრაზის წარმოთქმიდან 24 საათიც არ იყო გასული, რომ **თინა ხიდაშელმა** ამაყად განაცხადა: **„ჩვენ კატეგორიულ უარს ვაცხადებთ აბსოლუტურად ყველაფერზე, რასაც მშვიდობის სანაცვლოდ გვთავაზობს რუსეთი! ჩვენ განუხრელად ვადგავართ გზას ნატოსა და ევროკავშირისკენ და ეს ასე გაგრძელდება ბოლომდე!“**

აქ რამდენიმე ნიუანსია საყურადღებო:

**1. გვთავაზობს როო?** რუსეთმა მშვიდობის სანაცვლოდ ოფიციალურად შემოგვთავაზა რამე? მე მსგავსი არაფერი მსმენია. როგორც ჩანს, თინას სთავაზობს ჩუმ-ჩუმად რაღაცებს შეშინებული პუტინი. ამას წინათ ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა ისიც კი განაცხადა, — პუტინს ჩემი ეშინიაო! რამე კონკრეტული ამბავი რომ არ მომხდარიყო, ჭკუათმყოფელი ადამიანი ამ სისულელეს ასე გაბედულად ვერ იტყოდა... როგორც ჩანს, რაღაც მართლა ხდება. პუტინს თინას ფოტოების დანახვაზეც კი ელეთმელეთი მოსდის და რაღაცებს სთავაზობს მას, მაგრამ ჩვენი მედგარი თინა კატეგორიულ უარს ეუბნება.

**2.** მაპატიეთ, მაგრამ **ნატოსა და ევროკავშირის გზას ვადგავართ ისევ? ამას წინათ ზედ კარზე არ ვუბრახუნებდით?** თუმცა ეს კარი ხომ ყოველთვის ღია იყო და რაღაზე ვუბრახუნებდით?! ახლა კიდევ აგერ — გზას ვადგავართო... მოკლედ... რას გავუგებთ ჩვენ, ბნელი ქართველები, ამ ძალიან წინ წასულ დასავლურ ცივილიზაციას!

**3.** კიდევ ერთი, რამაც ყურადღება მიიქცია, არის თინასპასალარის ფრაზა — **„ასე გაგრძელდება ბოლომდე“.** გავკადნიერდები და ვიკითხავ — სანამდე ბოლომდე? **ანუ ბოლომდე, სანამ ყველაფერს არ დავკარგავთ, სანამ კიდევ უფრო მეტ ტერიტორიებს არ წაგვართმევენ და საბოლოოდ არ გავქრებით, როგორც სახელმწიფო?**

ჰო, ალბათ, ასეა! **ისე, ჩვენში დარჩეს, რა თავში ვიხლით მშვიდობას? ომი, ჟანდაბა და უბედურება არ ჯობია? მით უმეტეს, რაში გვჭირდება რუსების მოტანილი მშვიდობა? სოხუმი რომ დაგვიბრუნონ კი არა, კისლოვოდსკიც რომ გვაჩუქონ, მაინც არ გვინდა მაგათი მშვიდობა ნატოსა და ევროკავშირის გარეშე.**

ჩვენ ხომ ის საზოგადოება ვართ, რომელმაც 90 პროცენტით აირჩია ხელისუფლებად ის ხალხი, რომელიც ღიად და ხმამაღლა აცხადებდა, შევარდნაძის დაბრუნებული აფხაზეთი არ გვჭირდებაო.

ტრადიციები წარმატებით გრძელდება და, როგორც გავრცელდა ინფორმაცია, თურმე „დასავლეთის კართან“ დარაჯებად თვით **დავით ბაქრაძე** და **გიორგი კანდელაკი** დამდგარან: **„ჩვენ მოვუწოდებთ ევროპელ ლიდერებს, რომ ვიდრე საქართველოს სათავეში არის ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმი, საქართველოს არ მისცენ არც ვიზალიბერალიზაცია და არც რაიმე სხვა ევროპულ სტრუქტურაში მიიღონ.“** საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ასეთი ყოფილა ამ „დიად ქართველთა“ პოზიცია ევროსტრუქტურებში და ისინი თურმე ერთგულ დარაჯად უდგანან „დასავლეთის კარს“.

საბოლოოდ ეს სიტუაცია მართლაც გვაგონებს ცნობილ სკაბრეზულ გამოთქმას — „ვისი ვისაშია“?

**„მეციხოვნე“ ოლანდი ღიად აცხადებს, რომ „სანატრელ ევროპულ ციხესიმაგრეში“ არ შეგვიშვებს.**

**თინა ხიდაშელი მაინც ძალუმად მიიწევს ამ „ციხესიმაგრისკენ“.**

**ციხესიმაგრის დარაჯებად კი დგანან დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი, რომლებიც არც ოლანდს დაუყენებია იქ და „მეციხოვნეთაგან“ არც ვინმე სხვას უთხოვია მათთვის დახმარება...**

მთელი ამ „ზღაპრის“ ბოლო კეთილი იქნება თუ არა, ანდა გადაიქცევა თუ არა ეს „ზღაპარი“ ჩვენთვის უკვე ასე ჩვეულ ტრაგიკომიკურ ფარსად, როგორც ყოველთვის, მომავალი გვიჩვენებს და, სამწუხაროდ, სწორედ მაშინ, როდესაც უკვე ძალიან გვიანი იქნება.

**ბეჩა ბაბაია**

**ბევრმა გაუთვითცნობიერებელმა „ობივატელმა“ სასაცილოდ აიგდო თბილისის მერის, დავით ნარმანიას, უცნაური განცხადება — „ოპოზიციამ საერთოდ რა იცის, რა არის ბიუჯეტი“. დგანან და დასცინიან ამ „ჯიგარაუწონელ“ კაცს და არ იციან, რომ ამით, ცეცხლს არადა, მთელ გალაქტიკას ეთამაშებიან.**

# ბიუჯეტი — მითი თუ რეალობა?

აბა, ერთი მორჩით ცოტა ხანს ყბის მოქცევას და გამეცით პასუხი — რა არის ბიუჯეტი? დიახ, დიახ!

**ბიუჯეტი — ეს ის ამოუცნობი ფენომენია, რომელიც ზოგისთვის არის და მაინც არ არის, ხოლო ზოგისთვის არ არის და მაინც არის.**

გააჩნია, რომელი მხრიდან შევხედავთ — ოპოზიციურიდან თუ სამთავრობოდან.

ყოველთვის და ყველა ვითარებაში **მთავრობა** ამტკიცებს, რომ ბიუჯეტი არის! და, როდესაც საჭიროა რაიმეს დაფინანსება, უცებ აღმოჩნდება, რომ არ არის!

ხოლო ყველა დროის **ოპოზიცია** გამუდმებით ამტკიცებს, რომ ბიუჯეტი არ არის! და, როდესაც საჭიროა მათი პარტიისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული მილიონების გადარიცხვა, აღმოჩნდება ხოლმე რომ არის!

ჰოდა, აბა, დადექით ახლა და მიპასუხეთ — რა არის ბიუჯეტი?

ჰა, წაგიხდათ დედაქალაქის მერის დაცინვის ხალისი?

ამიტომ დაწყნარდით ახლა და ყურადღებით მომისმინეთ.

ჩვენმა ძალით სპეციალურმა კორესპონდენტმა სრული სერიოზულობით შეხედა ამ თემას და გაარკვია კიდეც ბევრი რამ, კერძოდ ის, რომ დავით ნარმანია სულაც არ ტყუის, როდესაც ამბობს, ოპოზიციამ რა იცის, რა არის ბიუჯეტიო. დიახ, ეს სრული სიმართლეა!

**ოპოზიციამ კი არა, არც ხელისუფლებამ იცის, რა არის ბიუჯეტი და არც თვითონ დავით ნარმანიამ.**

როგორც სანდო და, წყალი რომ არ გუავა, ისეთი წყაროები გვატყობინებენ, საერთოდაც, ბიუჯეტი ყოფილა მითიური სიტყვა და მისი არსებობა რეალურად ეჭვქვეშ დგას. არსებობს თუ არა ბიუჯეტი, ამაზე, დიდი ხანია, ბჭობენ მეცნიერები და ჯერაც ვერ მისულან საბოლოო დასკვნამდე.

ზოგი ფიქრობს, რომ ბიუჯეტი არის უცხოპლანეტური წარმოშობის მოვლენა, რომელიც ჩვენს პლანეტაზე უცხო ცივილიზაციებმა ჩვენი მოთმინების, გამძლეობისა და ნებისყოფის შესამოწმებლად გამოგზავნეს და სწორედ მასზეა დამოკიდებული, გვცნობენ თუ არა ჩვენზე ბევრად განვითარებული სხვა ცივილიზაციები ამ გალაქტიკაში დარჩენის ღირსად თუ საბოლოოდ გაგვანადგურებენ.



აკი, ყველამ კარგად ვიცით, რომ ყოველ წელს, 25 წლის განმავლობაში, ყველა ოპოზიცია ყველა მთავრობას ემუქრება ბიუჯეტის ჩაგდებით, მაგრამ რეალურად და საბოლოოდ ჩაგდებული ბიუჯეტი არავის უნახავს.

სინამდვილეში ბიუჯეტის ჩაგდება ამქვეყნიური ძალების შესაძლებლობებს აღემატება.

როგორც ჩანს, სწორედ ყოველივე ეს გაიაზრა დავით ნარმანიამ და სწორედ ამიტომაც არ ისურვა ბიუჯეტზე საუბარი. თანაც იქვე წამოსცდა უდავო ჭეშმარიტება, — რა იცის ოპოზიციამ რა არის ბიუჯეტიო!

ჩვენ კი ავდექით და უმოწყალოდ დავცინეთ ამ სიმართლისთვის დედაქალაქის ღირსეულ მერს.

სხვათა შორის, მეცნიერთა ვარაუდით, ბიუჯეტის მსგავს არამიწიერ, უცხოპლანეტურ და სხვაგალაქტიკურ ცნებებს მიკუთვნება ასევე ცნებები — **„იმპიჩმენტი“, „არჩევნები“, „სამსახური“** და სხვა ისეთი მოვლენები, რომლებიც თითქოს არის ჩვენ გარშემო, მაგრამ რეალურად მაინც არასოდეს არ არის და, როგორც ჩანს, ჩვენი ცივილიზაციის წარმომადგენელთა გონება ამ უცხო ცივილიზაციის მიერ „შემოგზავნილ“ ცნებებს ვერასოდეს ამოიცნობს.

სავარაუდოა, რომ ყველაზე უფრო იდუმალი, ამოუცნობი და უცხოპლანეტური მოვლენა არის **„პასუხისმგებლობა“,** რომელსაც ყველა ყოველთვის „თავის თავზე იღებს“, მაგრამ ჯერაც ვერავის გაურკვევია, რეალურად რაში გამოიხატება ხოლმე ეს...

ვნახოთ, შეძლებს თუ ვერა ოდესმე კაცობრიობა, ამოხსნას ეს უდიდესი გალაქტიკათშორისი საიდუმლო.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მერვეკლასელებს მათემატიკური ამოცანის ამოსახსნელად შეთავაზებული ჰქონდათ, მოეძებნათ პასუხი კითხვაზე: „ვინ გააუპატიურა ცნობილი ამერიკელი მწერალი მაია ენჯელოუ, როცა ის 8 წლის იყო, რამაც განსაზღვრა მისი შემოქმედებითი გზა?“ სწორი პასუხი: „დედის მეგობარმა“.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

ახალ რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის.

დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...




## გერმანელმა სამართალდამცველებმა ერთ-ერთ სახლში 7 ახალშობილის გვამი იპოვეს

**გერმანიაში, ქალაქ ვალენფელსის ერთ-ერთ სახლში სამართალდამცველებმა 7 ახალშობილის გვამი იპოვეს. პოლიცია ეჭვობს, რომ ისინი მშობლებმა დახოცეს.**

გერმანელი სამართალდამცველების ინფორმაციით, 45 წლის ქალი თავის ქმართან ერთად ვალენფელსში 18 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ცოლქმარს 7 შვილი ჰყავდა: 3 საერთო, 4 — ქალის წინა ქორწინებებიდან. მეზობლები ამბობენ, რომ ქალი ალკოჰოლის მიღების შემდეგ ხშირად ამბობდა, სახლში ბავშვების გვამები მაქვს დამალულიო.

სექტემბრის ბოლოს ქალი იძულებული შეიქნა, სახლიდან წასულიყო, რადგან გამუდმებული ლოთობის გამო ქმართან ჩხუბობდა. მისი სამყოფელი ჯერჯერობით უცნობია.

ანალოგიური შემთხვევა მოხდა საფრანგეთში ამა წლის ივლისში: დიასახლისს 9 წლის პატიმრობა მიუსაჯეს 8 შვილის მკვლელობისთვის — მედიცინის და **დომინიკ კოტრე** ბავშვების გვამებს სახლთან მდებარე ნაკვეთში მარხავდა. მას ეშინოდა იმის გამო, რომ ბავშვები ჰყავდა მამისგან, რომელთანაც სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა. მაგრამ ანალიზებმა აჩვენა, რომ დომენიკის შვილების მამა, მისი ქმარი პიერ-მარი კოტრე იყო.



## ბელგიაში პენსიონერთა ორგია 7 ადამიანის სიკვდილით დასრულდა

**2014 წლის 11 ოქტომბერს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელიდან 50 კმ-ის დაშორებით მდებარე ქალაქ შარლერუაში ხანში შესული ადამიანების ორგიის დროს 7 ადამიანი დაიღუპა. როგორც ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო Nord Press-ი იუწყება, ორგიაში 200-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.**

ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ 65 წელს გადაცილებულ ადამიანებს. სექსლონისძიების დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ 2 მონაწილეს სუნთქვისა და გულის პრობლემები შეექმნა, მოგვიანებით კი მათ კიდევ 6 პირი დაემატა. ისინი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ მათგან 7-ის გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს. ორგიაში მონაწილე ხანდაზმული ადამიანების სიკვდილი გულის მწვავე უკმარისობამ და ფილტვების შეშუპებამ გამოიწვია.



## პედოფილი მღვდელმსახურის დანაშაულების დაფარვის გამო ამერიკელი არქიეპისკოპოსი გადადგა

**რომის პაპმა ფრანცისკმა დააკმაყოფილა სენტპოლისა და მინეაპოლისის არქიეპისკოპოსის — ჯონ ნეინშტადტისა და აუქსილარიუსის (ეპისკოპოსის თანაშემწე) — ლი პიშეს თხოვნა გადადგომის თაობაზე. ეს მოხდა ამა წლის ივნისში, როცა პროკურორმა არქიეპისკოპოსი დაადანაშაულა, რომ მან ვერ შეძლო ბავშვების დაცვა პედოფილი მღვდელმსახურის — კერტის ვეჰმაიერისგან.**

პედოფილი მღვდელმსახურების მსხვერპლთა დაცვის ამერიკულმა ორგანიზაციამ (SNAP) სამართალდამცველებს მოუწოდა, ჩაატარონ გამოძიება პედოფილთათვის ხელის დაფარებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულების მიჩქმალვის თაობაზე.

„იქ იყო ათეულობით მღვდელმსახური, რომლებსაც შეეძლოთ, აეკრიფათ ნომერი 911 და აღეკვეთათ დანაშაულები, მაგრამ ისინი დუმდნენ. ამის გამო საკუთარი თავი და ადგილი დაიცვეს. ვატიკანმა ეს ადამიანები ეკლესიიდან უნდა გააძევოს“, — განაცხადეს ზემოაღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

**კერტის ვეჰმაიერმა** 2012 წელს აღიარა, რომ სექსუალური კონტაქტი ჰქონდა ორ არასრულწლოვანთან. ძალადობის მსხვერპლმა ბავშვებმა განაცხადეს, რომ მღვდელმსახური მათ ლუდით, მარიხუანითა და სიგარეტით უმასპინძლდებოდა, პორნოგრაფიულ ფოტოებს ათვალიერებინებდა და გენიტალიებზე ეხებოდა.



## ვატიკანის ყოფილი ელჩი — პედოფილი

**დომინიკის რესპუბლიკაში ვატიკანის ყოფილი ელჩი იოზეფ ვესოლოვსკი 2008-2013 წლებში პედოფილიის აქტების ჩადენაში დაადანაშაულეს.**

2013 წელს პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ვესოლოვსკი დომინიკის რესპუბლიკაში ელჩად ყოფნისას ფულს იხდიდა არასრულწლოვან ბიჭებთან სექსისთვის. 2014 წელს ვესოლოვსკი სასამართლომ დამნაშავედ ცნო არასრულწლოვანთა გარყვნაში. ვატიკანმა მას საეკლესიო წოდება ჩამოართვა. ვესოლოვსკი ამა წლის 27 აგვისტოს გარდაიცვალა.




## საპირფარეშო ყველა სქესისთვის

**აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეფ ტილერმა 2015 წლის აპრილში განაცხადა, რომ თეთრ სახლში, შენობის იმ ნაწილში, რომელშიც განლაგებულია ბარაკ ობამას ადმინისტრაციის აპარატი, გაიხსნა საპირფარეშო „ყველა სქესისთვის“.**

„თეთრი სახლი უფლებას აძლევს თანამშრომლებსა და სტუმრებს, თავიანთი სქესობრივი იდენტიფიკაციის მიხედვით გამოიყენონ საპირფარეშო, რაც შეესაბამება ამ საკითხზე ადმინისტრაციის მოქმედ დირექტივას“, — განუცხადა სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტს ჯეფ ტილერმა.

ახალ ტუალეტს არ აქვს აბრები ასოებით M ან W. კაბინები ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განლაგებულია სხვადასხვა მხარეს: ქალებისთვის — მარცხნივ, მამაკაცებისთვის — მარჯვნივ, სექსუალური უმცირესობებისთვის — პირდაპირ.







## ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# 2015 წელს ამერიკელმა პოლიციელებმა 800 ადამიანი მოკლეს

**ამერიკელმა პოლიციელებმა მოვალეობის შესრულებისას მიმდინარე წლის 9 თვეში 8 ადამიანს მოუსწრაფეს სიცოცხლე. წერს The Washington Post-ი.**

„მიმდინარე წელს ამერიკელი პოლიციელების ტყვიებით 800 ადამიანი დაიღუპა და ეს რიცხვი კიდევ იზრდება. საზოგადოებაში კი მოიმატა უკმაყოფილებამ სამართალდამცველთა მოქმედების გამო. ამ 800 მოკლულიდან თითქმის ნახევარი თეთრკანიანია, მეოთხედი — შავკანიანი, მეექვსედი — ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენელი.

595 შემთხვევაში (შემთხვევათა 75%) მსხვერპლი ხდებოდა ადამიანი, რომელიც იყენებდა ცეცხლსასროლ იარაღს და თავს ესხმოდა პოლიციელს ან რიგით მოქალაქეს.

242 შემთხვევაში პოლიციელებმა მოკლეს ადამიანი, რომელმაც მათ იარაღი დაუმიზნა. 129 შემთხვევაში (16%) პოლიციელებს ან რიგით მოქალაქეებს ბოროტმოქმედი თავს ესხმოდა სხვადასხვა სახიფათო საგნით — დანით, ნაჯახით, ქიმიური საშუალებით ან ავტომობილით.

205 შემთხვევაში კი პოლიციელებმა მოქალაქე გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს, როცა მათ თავს არავინ დასხმია. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა 2014 წლის აგვისტოში ქალაქ ფერგიუსონში (მისურის შტატი) 18 წლის უიარაღო აფროამერიკელის — მაიკლ ბრაუნის მკვლელობა. ის თეთრკანიანმა პოლიციელმა დარენ უილსონმა მოკლა, რის შემდეგაც დაიწყო მასობრივი არეულობები“, — წერს „ვაშინგტონ პოსტი“.


3. y = x + 2
3x + 6y = 12
Angelou was sexually abused by her mother's ______ at age 8, which shaped her career choices and motivation for writing.
(a) (0, 2) boyfriend
b. (4, 6) brother
c. (-3, -1) father

5. x = y − 1
y = −4x + 21
Trying to support her son as a single mother, she worked as a pimp, prostitute and ______.
(a) (-3, -2) Bookie
b. (9, 10) Drug Dealer

# ფლორიდელი მერვეკლასელები ალგებრას მეძავებისა და მოძალადეების მაგალითებზე სწავლობენ

**ფლორიდის სამხრეთ-დასავლეთის ერთ-ერთ სკოლაში ალგებრის სატესტო მაგალითებმა მოსწავლეთა მშობლების უკმაყოფილება გამოიწვია.**

მერვეკლასელებს მათემატიკური ამოცანის ამოსახსნელად შეთავაზებული ჰქონდათ, მოეძებნათ პასუხი კითხვაზე: „ვინ გააუპატიურა ცნობილი ემერიკელი მწერალი მაია ენჯელოუ, როცა ის 8 წლის იყო, რამაც განსაზღვრა მისი შემოქმედებითი გზა?“ სწორი პასუხი: „დედის მეგობარმა“.

ფლორიდელი მშობლების აღშფოთება გამოიწვია სექსუალური ძალადობის კონცეფციის გამოყენებამ მათი შვილებისთვის მათემატიკის შესწავლისას.

მეორე მაგალითი მერვეკლასელებისგან მოითხოვდა, სწორად ამოეხსნათ მაგალითი და მოეძებნათ პასუხი კითხვაზე — „კიდევ რა პროფესიით მუშაობდა ახალგაზრდა მარტოხელა დედა, რომელიც იყო სუტენიორიც და მეძავიც?“ სწორი პასუხი: „ბუკმეკერად“. ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც გაეცნო ტესტის მაგალითებს, ადგილობრივი ტელევიზიის ეთერში განაცხადა: „რა დაგვემართა ჩვენ, თუკი ასეთი ტესტები არსებობს 13 წლის ბავშვებისთვის?“

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**







# ყველაზე მასშტაბური ტერაქტები, რომლებიც 2015 წელს მსოფლიოში მოხდა

**მიმდინარე წლის დასაწყისიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთი მასშტაბური ტერორისტული აქტი განხორციელდა.**







**13 ნოემბერს** პარიზში „ისლამური სახელმწიფოს“ წევრებმა ტერაქტების სერია მოაწყვეს. დაიღუპა 130-ზეც მეტი ადამიანი.

**12 ნოემბერს** ლიბანის დედაქალაქ **ბეირუთში** ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა თავი. დაიღუპა 40-ზე მეტი ადმიანი, 250-მდე კი დაშავდა.

**10 ოქტომბერს** თურქეთის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ტერაქტი მოხდა. ორი აფეთქება დედაქალაქ **ანკარაში**, რკინიგზის სადგურის რაიონში, სამშვიდობო მიტინგის დაწყებამდე განხორციელდა. ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. დაიღუპა 100-ზე მეტი ადამიანი, 250-მდე კი დაშავდა.

**17 აგვისტოს** ტაილანდში, **ბანგკოკის** ტურისტულ ნაწილში, ინდუისტთა ტაძართან ბომბი აფეთქდა, შედეგად დაიღუპა 20 ადამიანი, 120-ზე მეტი კი დაშავდა.

**20 ივლისს** თურქეთში, სირიის საზღვრის ახლოს მდებარე ქალაქ **სურუჩში** აფეთქება მოხდა, რომლის შედეგად 30 ადამიანი დაიღუპა, 100-ზე მეტი კი დაშავდა. ბომბი კულტურული ცენტრის შესასვლელთან აფეთქდა, სადაც თურქეთში მცხოვრები ქურთები შეხვედრას მართავდნენ.

**17 ივლისს** ერაყის აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ **ბანი საადში** დანაღმული ავტომობილი აფეთქდა, როცა ადგილობრივი მოსახლეობა მუსლიმებისთვის წმინდა თვის, რამადანის, დასასრულს აღნიშნავდა. დაიღუპა 120 ადამიანი.

**12 ივლისს** ერაყის დედაქალაქ **ბაღდადში** ტერაქტების სერია განხორციელდა, რის დროსაც რამდენიმე დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. გარდა ამისა, ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. ტერაქტების სერიას 35 ადამიანი ემსხვერპლა, 100-ზე მეტი კი დაშავდა.

**1 ივნისს** ერაყის პროვინცია **ანბარში,** სამხედრო ბაზის ახლოს დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. შედეგად დაიღუპა 40-მდე სამხედრო, 30-ზე მეტი კი დაშავდა.

**18 აპრილს** ავღანეთის ქალაქ **ჯალალაბადში** რამდენიმე აფეთქება მოხდა. ტერაქტების შედეგად 30-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 100-ზე მეტი კი დაშავდა.

**2 აპრილს** კენიის ქალაქ **გარისაში** ექსტრემისტული დაჯგუფება „აშ-შაბააბის“ წევრები უნივერსიტეტთან არსებულ საერთო საცხოვრებელს დაესხნენ თავს. ტერაქტის შედეგად 150-მდე ადამიანი დაიღუპა, 80-მდე კი — დაშავდა.

**20 მარტს** იემენის დედაქალაქ **სანაში**, თვითმკვლელი ტერორისტების მონაწილეობით რამდენიმე აფეთქება მოხდა. ტერაქტების შედეგად 150 ადამიანი დაიღუპა, 345 კი — დაშავდა.

**7 იანვარს** იემენის დედაქალაქ **სანაში** თვითმკვლელმა ტერორისტმა დანაღმული ავტობუსი ააფეთქა. დაიღუპა 50 ადამიანი.






მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თქვენს უგანათლებულესობას, იმ შრომისთვის, რომელიც გაწეული გაქვთ თქვენი ქვეყნისთვის და იჩენთ ჩვენი იმპერიისადმი მიმხრობის თვალსაზრისით, შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან ამით გიდასტურებთ, რომ თქვენ, როგორც შესანიშნავი თვისებებისა და ღირსების მქონე, გვახსოვხართ და კვლავაც გვეხსომებით, და შემთხვევას ხელიდან არ გავუშვებთ ქართველი ხალხის მდგომარეობისა და ხვედრის გამოსწორებისკენ მიმართული ღონისძიებების განსახორციელებლად“...

# გეორგიევსკის ტრაქტატი

# — რა ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმა უბიძგა საქართველოს, ეძებნა მოკავშირე რუსეთის სახით

## გეორგიევსკის ტრაქტატის დადების 230 წლისთავისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-42 (323-324)

### №10
### რწმუნების სიგელი, მიცემული ერეკლე მეორის მიერ იოანე ბაგრატიონისა და გარსევან ჭავჭავაძისთვის რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად

„არაერთგზის მიურთმევიათ თხოვნა ტახტისადმი ყოვლისა რუსეთის თვითმპყრობელთათვის წინაპართა ჩვენთა, მეფეთა ქართლისა და კახეთის; ხოლო მსგავსად მათსა ტახტისადმი აწ ბედნიერად მმეფობისა მისი იმპერატორებისა დიდებულებისა ეკატერინა მეორისა, იმპერატრიცასი და თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა: მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვაგოროდისა, მეფისა ყაზანისა, მეფისა ასტრახნისა, მეფისა სიბირისა, ხელმწიფისა პსკოვისა და დიდისა თავადთათვის სმოლენსკისა, თავადისა ისტლანდისა, ლიფლანდიისა, კორელიისა, ტვერისა, იუღორისა, პერმისა, ვიატსკისა, ბულგარისა და სხვათა, ხელმწიფისა და დიდისა თავადინა ნოვოგოროდის ნიზოვის ქვეყნისა, ჩერნიკოვისა, იახანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიკისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა მბრძანებელისა და ხელმწიფისა ივერთა ქვეყნისა, ქართლისა და საქართველოისა მეფეთა, და ყაბარდოს ქვეყნისა, ჩერქეზისა და მთიურისა თავადთა და სხვათა მემკვიდრისა ხელმწიფისა და მფლობელსა მივართვით უმდაბლესი თხოვა ჩვენ, ირაკლი მეორემ, მეფემ ქართლისა და მეფემ კახეთისა, მემკვიდრემ მთავარმა სამცხე-საათაბაგოსი, მთავარმა ყაზახისა, მთავარმა ბორჩალოსა, მთავარმა შამშადილოსა, მთავარმა კაკისა, მთავარმა შაქისა და მთავარმა შირვანისამ, მფლობელმა და მბრძანებელმა განჯისა, ერევნისა და სხვათამან, მიღებისათვის ჩვენისა და მონაცვლეთა ჩვენთა მფარველობასა ქვეშე მისი იმპერატორების დიდებულებისასა და აღსარებისათვის ჩვენ კერძო უზენაესი ხელმწიფების მისისა და მენაცვლეთა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა, ქართლისა და კახეთისა მფლობელთა ზედა. და უკანასკნელ მივიღეთ მისი იმპერატორების დიდებულებისაგან მოწყალებითი ნება ამას ზედა, რომლის დასამტკიცებელად ცხადითა და ორითვე კერძოთა მსგავსითა განწესებითა აღვარჩიეთ და სრულისა ძალისა მქონებელ ვჰყავით ჩვენ საყვარელნი და ერთგულნი ყმანი ჩვენი; თავადი იოვანე კოსტანტინოვიჩი ბაგრატიონი, მხედრობისა ჩვენის მემარცხენე სპასპეტი, რომელსაცა აქვს რწმუნებულ საქმენი ერევნისა, და თავადი გარსევან რევაზოვიჩი ჭავჭავაძე, ჩვენი მანდატურთუხუცესი და ზედამხედველი ყაზახის სამთავროსი, რომელთათვის მიგვიცია სრული მინდობა, რათა მისი იმპერატორების დიდებულებისაგან განწესებულთა სრული ძალისმოქნებელთა თანა რაიცა განაწესონ, დაამტკიცონ და მოაწერონ ტრაქტატს მფარველობისა ჩვენ ზედა მისი იმპერატორების დიდებულებისა და მაღალთა მენაცვლეთა მისთა, და ჩემ მიერ აღსარებისათვის უზენაესი ხელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის თვითმპყრობელს ქართლისა და კახეთის მეფეთა მიერ აღუთქვამ ჩვენის მეფური სიტყვთა, რომ კეთილად მივიღებ და უეჭველად აღვასრულებ ყოველსა მას, რაც თავად იოანე ბაგრატიონისა და თავად გარსევან ჭავჭავაძისაგან ძალითა აწინდელისა სრული ძალის მქონებელობით აღითქმიან, განიწესებიან და მოიწერებიან. ასრთვე მიეცემათ მათ რატიფიკაცია ჩვენი განწესებული დროისა, რომლის დასარწმუნებლად ამას სრულსა ძალსა ჩვენ საკუთარითა ხელით მოვაწერეთ და ვუბრძანეთ დამტკიცებად სამეფო ბეჭდით.

**მიეცათ ჩვენ სამეფოსა ქალაქს ტფილისს, ივნისის 28 დღესა, და ქრისტეს შობიდან 1773 წელს.**

**ერეკლე**

**თავადი დავით ორბელიანი**
**თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი“**

### №11
### იმპერატრიცა ეკატერინე II-ის სიგელი ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის მფარველობაში მიღების შეუძლებლობის შესახებ

„ღმერთის წყალობით ჩვენ, ეკატერინე მეორე, სრულიად რუსეთის იმპერატრიცა და თვითმპყრობელი, და სხვა, და სხვა და სხვა.

ქართლისა და კახეთის უგანათლებულეს მეფე ერეკლეს.

სიამოვნებით ვიხილეთ და მივიღეთ ჩვენის იმპერატორობის კარზე წარმოგზავნილი თქვენი უგანათლებულესობის ვაჟი, თქვენივე ნათესავებთან და თქვენი მხარის კათალიკოსთან ერთად.

თქვენი უგანათლებულესობის ჩვენდამი ამგვარად დადასტურებული გულმოდგინება და ერთგულება, კიდევ უფრო განამტკიცებს თქვენდამი ჩვენს დამოკიდებულებას ქრისტიანი მპყრობელისთვის დამახასიათებელი გონივრული კეთილგანწყობის გამო სრულიად რუსეთის სამეფო კვერთხის მიმართ.

თქვენო უგანათლებულესობავ, გიდასტურებთ, რომ ჩვენი ჩვეულებისამებრ, თქვენზე საუკეთესო აზრი რომ გვაქვს, ყურადღება არ მოვაკელით თქვენს მიერ მოწოდებულ ამ განსაკუთრებულ გზავნილს, რომელიც შეიცავს წინადადებებს, როგორც, საერთო ხასიათისას, ასევე თქვენი სამფლობელოს შესახებ.

**(ეკატერინე II ხაზგასმით წერს, რომ ღვთის მიერ ბოძებული ძალაუფლებით და კაცთმოყვარეობით ებრძვის დაუმორჩილებლობას, იცავს სუსტს ძალადობისგან, და მისი კეთილი საქმენი იმპერიის საზღვრებით არ იფარგლება, ვრცელდება სხვა ხალხებზეც. ამის დამადასტურებლად ასახელებს საქართველოს, ქრისტიანული, ერთმორწმუნე ქვეყნის დასახმარებლად თურქეთის იმპერიასთან ომის პირობებში ჯარის გაგზავნას, ლაშქრობის სიშორის, სიძნელისა და მისი მომარაგების სირთულის მიუხედავად. მისი ეს ნაბიჯი ნაკარნახევი იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხისადმი პატივისცემით).**

ჩვენი ასეთი განწყობილებისა და თქვენი უგანათლებულესობის სურვილის მიუხედავად, რომელიც თქვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის იყო გამიზნული, — **წერს რუსეთის თვითმპყრობელი**, — დღევანდელი ვითარება სულ სხვა მოქმედებას მოითხოვს, არა მხოლოდ ჩვენი იმპერიის საკეთილდღეოდ, არამედ საქართველოს მიწისთვისაც, რადგან, ჩვენი საქმეები თურქეთის იმპერიასთან შერიგებისკენ იხრება. მაშასადამე, თქვენი ყველა წინადადება, რომელთაც ითხოვდა საქართველო ჩვენი მტრისა და თქვენი საეჭვო მეზობლის წინააღმდეგ, წარმოჩნდება სულ სხვა ჭრილში, რომელსაც მიჩვეული ხართ თქვენი ძველი წარმოდგენით. ჩვენი ჯარის მხოლოდ გაგზავნაც კი შორეულ ქართულ მხარეში, გამოიწვევს ომის ხანძრის გაძლიერებას, რომელიც ისედაც დიდი ხანია ადამიანების სისხლისღვრის მიზეზია და გრძელდება ჩვენი სურვილის მიუხედავად.

ამ ყველაფრის მიუხედავად, თქვენს უგანათლებულესობას, იმ შრომისთვის, რომელიც გაწეული გაქვთ თქვენი ქვეყნისთვის და იჩენთ ჩვენი იმპერიისადმი მიმხრობის თვალსაზრისით, შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან ამით გიდასტურებთ, რომ თქვენ, როგორც შესანიშნავი თვისებებისა და ღირსების მქონე, გვახსოვხართ და კვლავაც გვეხსომებით, და შემთხვევას ხელიდან არ გავუშვებთ ქართველი ხალხის მდგომარეობისა და ხვედრის გამოსწორებისკენ მიმართული ღონისძიებების განსახორციელებლად... მაგრამ უდროო დროს საქართველოში მომხდარმა სისხლისღვრამ, მოუწყობლობამ და გაუგებრობებმა, რომლებიც ყოველთვის გრძელდებოდა იქაურ მმართველთა შეუთანხმებლობის მიზეზით, ბოლოს და ბოლოს, საქმე უკიდურესობამდე მიიყვანა და დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ჯარის იქ ყოფნა უაზრო და უსარგებლო იყო. ამიტომ იძულებული გავხდით უკან გამოგვეხმო იგი.

**(ეკატერინე ჰპირდება ერეკლე II-ს, რომ თუ მომავალში თურქეთის იმპერიასთან დაზავდება, მას მოსთხოვს ქართველი ხალხის უსაფრთხოების გარანტიას, რომლის განხორციელებას გააკონტროლებს რუსეთი. ეკატერინეს აზრით, ეს უფრო სასარგებლო იქნება საქართველოსთვის, ვიდრე ახალი საომარი მოქმედების დაწყება.**

**იმპერატრიცა იწონებს საომარი შფოთის გაგრძელების პირობებში 1773 წლის ზაფხულში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-სა და იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შეთანხმებას ურთიერთდახმარებისა და ერთობლივი მოქმედების შესახებ, ანუ სამხედრო კავშირს თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც საჭირო და სასარგებლოა ქართველ ხელმწიფეთათვის, ურთიერთ საზიანოდ ერთმანეთთან ჩხუბსა და წაკიდებაში ამაოდ რომ ფლანგავდნენ დროს).**

„რაც შეეხება საქართველოს სხვა, მაგრამ მარადიულ მოწინააღმდეგეს ლეკებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, თავიანთი ბოროტი დარბევების დროს მხედველობაში არ იღებენ არც ომს, არც მშვიდობას ჩვენს იმპერიასა და თურქების პორტას შორის, არამედ მომენტის ხელსაყრელობით ხელმძღვანელობდნენ, თქვენი უგანათლებულესობა უთუოდ დაგვეთანხმება იმ ჭეშმარიტებაში, რომ ამ ავაზაკთა მოთოკვა, რომლებიც არ იმსახურებენ ნამდვილი მოწინააღმდეგის სახელს და რომლებიც თავს ესხმოდნენი საქართველოს ჩვენი ჯარის იქ ყოფნის დროს და შემდეგაც, დამოკიდებულია არა იმდენად დროებით საომარ წარმატებებზე, არამედ უფრო მეტად ძალაში შესულ და მოქმედ განკარგულებებზე, რომლებიც ხელს შეუშლიდა ამ ბარბაროსებს ეძარცვათ სხვადასხვა ადგილები. თქვენი საზრუნავია, მონახოთ საშუალებანი თქვენს სამფლობელოში და სხვაგანაც ამ ვითარების მოსაგვარებლად, გადასარჩენად საქართველოსი, რომელიც შინაგანად იტანჯება და მოითხოვს განკურნებას.

ამასთან, არ ვცანით საჭიროდ თქვენი ვაჟის და კათალიკოსის ჩვენს კარზე დარჩენა და ყოვლად მოწყალედ ვუბრძანეთ ჩვენი იმპერატორის ამ სიგელითურთ უკანვე დაბრუნება. მათი აქ ყოფნითა და ქცევით ფრიად კმაყოფილი დავრჩით, და სამომავლოთაც გპირდებით ჩვენს სამეფო მფარველობასა და კეთილგანწყობას.

**გაცემულია სანკტპეტერბურგში, ჩვენს რეზიდენციაში, დეკემბრის თვის 31-ს, ქრისტეს დაბადებიდან 1773 წელს, ჩვენი ხელმწიფობის მეათე წელს.**

სიგელი ხელმოწერილია მისი საიმპერატორო დიდებულების მიერ:

**ეკატერინა**

კონტრასიგნებულია ვიცეკანცლერის, თავად ალექსანდრე გოლიცინის მიერ“.



ეკატერინა II

უდროო დროს საქართველოში მომხდარმა სისხლისღვრამ, მოუწყობლობამ და გაუგებრობებმა, რომლებიც ყოველთვის გრძელდებოდა იქაურ მმართველთა შეუთანხმებლობის მიზეზით, ბოლოს და ბოლოს, საქმე უკიდურესობამდე მიიყვანა და დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ჯარის იქ ყოფნა უაზრო და უსარგებლო იყო. ამიტომ იძულებული გავხდით უკან გამოგვეხმო იგი.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1774 წ. 10(21) ივლისი. ამონაწერი რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებიდან

**№12**
**მეცხრამეტე არტიკული**

„რუსეთის იარაღით დაპყრობილი საქართველოსა და სამეგრელოს ციხეები ბოგდადჩიკი, ქუთათისი და შეგერბანი *(ასეა დედანში)* რუსეთი იმათ კუთვნილებად მიიჩნევს, ვისაც ძველთაგანვე ეკუთვნოდა. ასე მაგალითად, თუ ეს ქალაქები ძველი დროიდანვე ბრწყინვალე პორტას *(ოსმალეთის)* მფლობელობაში იყო, მის კუთვნილებად იქნება აღიარებული და ამ ტრაქტატით განსაზღვრულ დროს რუსეთის ჯარი გამოვა საქართველოსა და სამეგრელოს აღნიშნული პროვინციებიდან. ბრწყინვალე პორტა კი თავის მხრივ, პირველი არტიკულის დებულებიდან გამომდინარე, კისრულობს ვალდებულებას, ამნისტია გამოაცხადოს იმათთვის, ვინც ამ ომის დროს ამა თუ იმ სახით შეურაცხყოფდა მას *(ოსმალეთის იმპერიას)*. ოსმალეთი საზეიმოდ და სამუდამოდ უარს ამბობს მოსთხოვოს ხარკი *(საქართველოს)* ყმაწვილებისა და ქალიშვილების სახით, და ყველა სხვა გამოსაღები, ივალდებულებს, რომ არ ჩათვლის თავის ქვეშევრდომებად (*იქაურ მოსახლეობას*), იმათ გარდა, ვინც ძველთაგანვე მას (*ოსმალეთს*) ეკუთვნოდა; ყველა ციხე და გამაგრებული ადგილი, რომლებიც ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში იყო, მათსავე დაცვასა და მმართველობაში დარჩება; არავითარ შემთხვევაში არ შეავიწროებენ მათ სარწმუნოებას, *(ხელს არ შეუშლიან)* მონასტრებისა და ეკლესიების განახლებას, ახლების აშენებას, და არ იქნებიან შევიწროებული ჩილდირის გუბერნატორის *(იგულისხმება ახალციხის ფაშა)* და სხვა უფროსებისა და ოფიცრების მიერ მამულების ჩამორთმევის რაიმე მოთხოვნით. იმის გამო, რომ აღნიშნული ხალხები არიან ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომნი, რუსეთის იმპერიას კვლავაც არ აქვს უფლება ჩაერიოს (და) შეავიწროვოს ისინი“...

# 1782 წ.

**№13**
**არა უადრეს 1782 წლის 6 დკემბრისა. ამონარიდი სამხედრო კოლეგიის ვიცეპრეზიდენტის, გენერალ ანშეფის ბრწყინვალე თავადის, გენერალ-პორუჩიკ გ.ა. პოტიომკინის მოხსენებიდან იმპერატრიცა ეკატერინე II-ს**

„დოქტორი რეინეგსი *(რუსეთის კომისიონერი ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის სამეფო კარზე)* ატყობინებს გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს კავკასიელი და იბერიელი ხალხების რუსეთის ტახტისადმი ერთგულების შესახებ. წერილი მან გამოგზავნა ერთ-ერთი მთიელი მეპატრონის კაიტუკის ხელით, რომელიც ფრიად მარჯვე, გამორჩეული და უაღრესად ბეჯითია. იგი თან ახლდა დოქტორს კავკასიაში საქართველოსა და იბერიაში მოგზაურობის დროს, და ჰყავს სამოცი შეიარაღებული მეომარი, რომელთა სიმამაცეზე საკუთარი სიცოცხლით აგებს პასუხს, ამასთან, ირწმუნება, პირველსავე ბრძანებაზე მათი რაოდენობა გაიზრდება. დოქტორი კი გვაცნობებს, რომ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია იყოლიოს 4000-მდე უმამაცესი ოსი, რომლებიც მზად იქნებიან გვემსახურონ, როცა ამის საჭიროება იქნება. თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ნახსენებმა კაიტუკმა მოგვთხოვა *(ქრისტიანად)* მონათვლა, და პეტრეს სახელით დაბრუნდა თბილისში. ნათლობის წეს-ჩვეულების დამსწრე ყაბარდოს მთავარი მფლობელის თათარხანოვის ვაჟი ჯანხათი აღფრთოვანებული დარჩა იმ დიდებულებით, რომლითაც, ეს საიდუმლოება შესრულდა და მოითხოვა იგიც დაუყოვნებლივ მიეღოთ ქრისტიანად. შედეგად იგი მონათლეს და დაარქვეს ნიკოლაი. *(მას)* სურს სამსახურში ჩადგომა.

გენერალ-პორუჩიკი პოტიომკინი გვთავაზობს, მათ წასახალისებლად, ვინც ჩვენ კანონს აღიარებს, მივიღოთ სამსახურში რომელიმე ჩინის მინიჭებით.

გენერალ-პორუჩიკი გვატყობინებს, რომ მეფე ერეკლე ეჭვიანობს სოლომონ მეფისთვის ორდენის მინიჭების გამო, და ამგვარად სოლომონთან მის გათანაბრებას შერისხვად მიიჩნევს.

ეს დადასტურებულია სომხეთის არქიელის მიერ, რომელმაც განაცხადა, რომ თუ მის *(ერეკლეს)* უმცროს ვაჟს მირიანს მიანიჭებენ წმინდა ანას ორდენს, ერეკლე ამას განსაკუთრებულ მოწყალებად ჩათვლის“...

**(1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლე II მადლობის წერილს უგზავნის ეკატერინე II-ს მისი ვაჟიშვილის, მეფისწულ გიორგის წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენით დაჯილდოების გამო)**

# 1783 წ.

**№14**
**არა უადრეს 1783 წლის 31 იანვრისა. აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის აგენტის პატაკი კავკასიის კორპუსის სარდლის გენერალ-პორუჩიკს პ.ს. პოტიომკინს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მიერ ოსმალეთის იმპერიასთან სეპარატული მოლაპარაკების შესახებ**

„საქართველოში ყოფნისას მეფის მდივნის მისაილისგან (*მიხეილისგან?*) შევიტყვე, რომ თურქეთის (სულთნის) კარზე გაგზავნეს ერთი სომეხი წერილით, რომლის შინაარსი ცნობილი არ არის, მაგრამ ამბობენ: ვითომ უმაღლესი ვეზირი, სომხისგან წერილის ჩაბარების შემდეგ, უაღრესად გააფრთდა და თქვა: რატომ აგზავნისო ერეკლე მეფე რუსეთის (მეფის) კარზე ელჩებად თავადებს, სპარსეთის მპყრობელებთან — მოხელეებს, ხოლო ბრწყინვალე პორტაში — სომეხს, თანაც ისეთი ყალბი ცნობით, თითქოს ერთგულებს ოსმალეთის იმპერიას, სინამდვილეში კი ჩვენი მოწინააღმდეგისგან ითხოვს დახმარებასა და მფარველობას. რაზეც სომეხმა მეფისთვის ნამუსის მოსაწმენდად უპასუხა, რომ უძლურობის გამოა იძულებულია რუსეთს ერთგულება დაუმტკიცოს, რადგან ერთ მხარეს მეზობლად ჰყავს ასეთი ძლიერი სახელმწიფო, მეორე მხარეს — სპარსეთის შურიანი ყაენები, მესამე მხარეს — დაღესტნელი და ლეკი ხალხები, ქართულ დასახლებებს გამუდმებით თავს რომ ესხმიან და ძარცვავენ. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ფრიად თბილად დაცილდა.

მეორე პაემანის (ასეა დედანში), რაზე ისაუბრეს, უცნობია, სამაგიეროდ ცნობილია, რომ ვეზირმა უბოძა ქურქი და გააყოლა თურქეთის პორტას ერთი წარმომადგენელი, რომელიც საქართველოს საზღვარზე შეაჩერეს, შემდეგ, ქართული ტანსაცმელი რომ ჩააცვეს, ჩაიყვანა თბილისში მეფესთან შესახვედრად. ბოლოს ქართული ტანსაცმლითვე გადაკვეთა საზღვარი, ჩაიცვა თავისი ტანსაცმელი და უკანვე დაბრუნდა“.

**№15**
**არა უადრეს 1783 წლის 31 იანვრისა. აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის აგენტების პატაკი კავკასიის კორპუსის სარდალს პ.ს. პოტიომკინს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მიერ ოსმალეთის იმპერიასთან სეპარატული მოლაპარაკების შესახებ**

„თურქეთის კარმა ქართველ მეფესთან წარგზავნა ერთი მოხელე, რომელიც ქალაქ ახალციხეში მეფის სახელით მიიღო თავადმა აველიანოვმა. იქ *(ახალციხეში)* მას ჩააცვეს ქართული სამოსი და ფარულად ჩაიყვანეს თბილისში, სადაც ჰყავდათ ორი დღე-ღამის განმავლობაში და ფარულადვე დააბრუნეს ახალციხეში კვლავ ქართულ ტანსაცმელში.

რამდენიმე დღის შემდეგ ერეკლე მეორემ თურქეთის კარზე მიავლინა თავისი ეგერმეისტერი, რომელიც ვითომდა საკუთარი სურვილით მამის ანდერძის შესასრულებლად გაემგზავრა იერუსალიმში მოსალოცად. რა დავალება ჰქონდა მეფისგან მიღებული, ვერ გავარკვიე“.

**«გენერალ-პორუჩიკი პოტიომკინი გვთავაზობს, მათ წასახალისებლად, ვინც ჩვენ კანონს აღიარებს, მივიღოთ სამსახურში რომელიმე ჩინის მინიჭებით. გენერალ-პორუჩიკი გვატყობინებს, რომ მეფე ერეკლე ეჭვიანობს სოლომონ მეფისთვის ორდენის მინიჭების გამო, და ამგვარად სოლომონთან მის გათანაბრებას შერისხვად მიიჩნევს»**

# «პუტინი ქრისტიანების ერთადერთი მფარველია, ერდოღანი კი — ტერორისტების მხარდამჭერი»

**სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა დასავლური მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ქრისტიანული სამყაროს ერთადერთი მფარველია, ხოლო თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი — ისლამისტი ტერორისტების ხელშემწყობი.**



„ჩემი წასვლა პრეზიდენტის პოსტიდან დასავლეთში გამართულ ფორუმებზე არ უნდა განიხილებოდეს.... ეს მხოლოდ და მხოლოდ სირიელი ხალხის გადასაწყვეტია და სირიის პარლამენტის. მათ, ვისაც სურთ, გაანადგურონ სირია, სურთ, გაანადგურონ ერთადერთი საერო ხელისუფლება ამ რეგიონში. დასავლეთი მეტწილად იმით არის დაბრმავებული, რაც თურქეთში ხდება... სწორედ თურქეთი უჭერს მხარს „ჯებჰათ ან-ნუსრასა“ და „ისლამურ სახელმწიფოს“. სწორედ თურქეთი აგზავნის თქვენს ქვეყნებში მილიონობით ემიგრანტს. როცა ვაანალიზებ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, ვრწმუნდები, რომ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ქრისტიანული ცივილიზაციის ერთადერთი დამცველია, რომელსაც შეიძლება ენდო“, — განაცხადა ბაშარ ალ-ასადმა ფრანგულ Valeur Actuel-თან საუბარში.

# ბარაკ ობამა: რუსეთი კონსტრუქციული პარტნიორია



**მანილაში გამართულ ACEAH-ის სამიტზე, ჟურნალისტებთან საუბრისას, აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ აღნიშნა, რომ ვენაში გამართულ მოლაპარაკებებზე რუსეთი კონსტრუციულ პარტნიორად იქცა და სირიაში პოლიტიკურ ცვლილებებს დაუჭირა მხარი.** ობამამ, აგრეთვე, განაცხადა, რომ მოსკოვი და ვაშინგტონი კვლავ არ შეთანხმებულან ბაშარ ასადის ბედზე, რადგან კრემლში ჯერ კიდევ საუბრობენ, რომ ასადი უნდა დარჩეს სირიის პრეზიდენტად“, თუმცა ეს შეუთანხმებლობა არ გვიშლის ხელს, სირიაში მიმდინარე ოპერაციები განვიხილოთ“, — განაცხადა ობამამ.

# ბელარუსში სამშვილიან ოჯახებს ბინითა და 70 ათას დოლარით დაასაჩუქრებენ



**ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ საწარმო „ბელაზი“-ს თანამშრომლებთან შეხვედრისას ისაუბრა ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის პროექტზე — „დიდი ოჯახი“.** ლუკაშენკო ნებისმიერ ოჯახს, სამი შვილის გაჩენის შემთხვევაში, ჯამში, 70 000 ამერიკულ დოლარსა და ბინას გადასცემს საჩუქრად.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დღეს სოფლად (და არამხოლოდ) სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, სახალხო თეატრები, კულტურისა და ხელოვნების სექციები, თვითშემოქმედებითი კოლექტივები წარსულის ტკბილ მოგონებებად შემორჩა ხანდაზმულ ადამიანებს, ახალგაზრდებს კი წარმოდგენაც არ აქვთ, რა იყო წარსულში და სად ვიმყოფებით ამჟამად. ადამიანების გასარყვნელად, გონების დასახლუნგებლად, მათი ზომბირებისთვის უარყოფილი იქნა ყველაფერი, რაც ხალხის წიაღში იშვა. ხალხს თვითშემოქმედება წაართვეს და მის ნაცვლად გულსა და გონებაში ამერიკული „შემოქმედება“ ჩაუნერგეს. ამით არა მხოლოდ საქართველო, მთელი პლანეტა იღუპება — აი უსტალინოდ დარჩენილი ქვეყნის კიდევ ერთი უბედურება.**

# როგორ მიიღო სტალინმა კრემლში აკაკი ხორავა, მიხეილ ჯავახიშვილი და საქართველოს დელეგაციის სხვა წევრები

**საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს რესპუბლიკის 146 დელეგატი 1936 წლის 19 მარტს მოსკოვში გაემგზავრა სტალინთან შესახვედრად. დელეგაციაში იყვნენ საქართველოს ყველა სფეროს წარმომადგენლები — დაწყებული მეცნიერებით და დამთავრებული სპორტსმენებით. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ლავრენტი ბერია.**



სტალინი და ფრიადოსანი მოსწავლე ეთერ გვანცელაძე საქართველოს დელეგაციის მიღებისას. 1936 წელი.

დელეგაციის წევრთა ვრცელ სიაში არ იყო საქართველოს სახალხო პოეტი **გალაკტიონ ტაბიძე** (მიზეზი უცნობია — გრ. ონიანი). კრემლში მიღებისას სტალინი გულთბილად მიესალმა დელეგაციის თითოეულ წევრს და ხელი ჩამოართვა. როდესაც საქართველოს სახელოვან ადამიანთა შორის ვერ აღმოაჩინა გალაკტიონ ტაბიძე, იქვე მდგომ ლავრენტი ბერიას გადაულაპარაკა: „სად არის ქართული პოეზიის მეფე?“. ბერია, რა თქმა უნდა მიხვდა, რაშიც იყო საქმე და საბჭოეთის ხელმძღვანელს განუცხადა, გალაკტიონ ტაბიძე შეუძლოდ იყო და ხანგრძლივი მგზავრობისათვის აღარ შევაწუხეთო. არავინ იცის, სარწმუნოდ მიიღო თუ არა სტალინმა ბერიას ინფორმაცია, მაგრამ ამ საკითხზე ყურადღება აღარ გაუმახვილებია.

დელეგაციას პირველი **ვიაჩესლავ მოლოტოვი** მიესალმა და ხაზი გაუსვა საქართველოს რესპუბლიკის როლსა და მნიშვნელობას არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში: „ქართველმა ხალხმა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს, ბევრი რამ მისცა არა მხოლოდ თავის ქვეყანას, არამედ საბჭოთა კავშირსაც. საკმარისია, ითქვას, რომ საქართველომ ჩვენ მოგვცა ამხანაგი სტალინი“.

მოლოტოვის შემდეგ სიტყვა ქართულად წარმოთქვა თბილისის სტალინის სახელობის ორთქმავალშემკეთებელი ქარხნის მჭედელმა **დავით ალექსის ძე ჭიჭინაძემ.** მან ილაპარაკა ქარხნის წარმატებებზე და აღნიშნა:

„1921 წელს, როცა მენშევიკები ტფილისიდან გარბოდნენ, სურდათ, გაენადგურებინათ ქარხანა. ისინი ამტვრევდნენ დაზგებს და ჭრიდნენ ტრანსმისიებს, ცდილობდნენ, აეფეთქებინათ სამჭედლო საამქროს ორტონიანი ორთქლის ურო, მაგრამ მუშებმა ამის ნება არ მისცეს. ხოლო 1935 წელს სწორედ ამ ორთქლის უროს წყალობით ჩემმა სტახანოვურმა ბრიგადამ ორჯერ დაამყარა ორთქმავლების დამზადების საკავშირო რეკორდი...

საიუბილეო წელს ჩვენს ქარხანაში მუშაობს 2 500 მუშა, მათ შორის 819 — სტახანოველი. თუ მენშევიკური მთავრობა აღნიშნული ქარხნიდან წელიწადში 10 ორთქმავალზე მეტს ვერ უშვებდა, დღეს ჩვენ წელიწადში ვუშვებთ 241 ორთქმავალს და მიმდინარე წელს ვფიქრობთ, გამოვუშვათ 320 ორთქმავალი“.

**შენიშვნა:**

**დღეს ამ უმძლავრესი საწარმოს კვალიც აღარ არის დარჩენილი. ორტონიანი ორთქლის ურო, რომელზეც კრემლში ლაპარაკობდა დავით ჭიჭინაძე, ამ გიგანტური ქარხნის ტექნიკურ შეიარაღებასთან ერთად, მეოცე საუკუნის დასასრულს, ალბათ, ჯართად ჩააბარეს. დავიწყებას მიეცა ის დიდი ტრადიციები, რომლებიც 2500 მუშის სისხლსა და ხორცში იყო გამჯდარი. ეს ერთი თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ რა დაემართა უსტალინოდ დარჩენილი ქვეყანას.**

ტრიბუნაზე ავიდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **აკაკი ხორავა** (რომელმაც ასევე ილაპარაკა ქართულად და მის სიტყვებს რუსულად თარგმნიდნენ). დიდმა ქართველმა მსახიობმა წარმოთქვა შთამბეჭდავი სიტყვა, რომელმაც უდიდესი მოწონება დაიმსახურა, როგორც სტუმრების, ისე დელეგაციის წევრთა შორის:

„70 წლის განმავლობაში ქართველი აქტიორი უპატრონო, მშიერი, უუფლებო იყო. **გიორგი ერისთავი, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ვალერიან გუნია, ლადო მესხიშვილი** და ქართული სცენის მთელი შემდგომი ბრწყინვალე პლეადა, რომელთა ოსტატობით თამამად შეეძლო ეამაყა მსოფლიო სცენას, განა ისინი ეკლის გვირგვინის ღირსნი იყვნენ თავიანთი თავგანწირული, უსასყიდლო მოღვაწეობისათვის მშობლიური თეატრის საკეთილდღეოდ?

**გიორგი ერისთავი** — ქართული თეატრის ფუძემდებელი პირველი კომედიოგრაფი, აქტიორი და რეჟისორი — ქართველი ხალხის უსაზიზღრესი მძარცველის, მეფისნაცვალ ვორონცოვის ბრჭყალებში საძირკველს უყრიდა მშობლიურ თეატრს. **ვასო აბაშიძე**, მშრომელი ხალხის ღიმილისა და სიხარულის ეს უკვდავი ნიღაბი, იძულებული იყო, უტვინო თავადი მუხრანსკის წინაშე 3-ჯერ შემხტარიყო როგორც ჯამბაზი, რათა თავის დამცირებით ნაშოვნი 300 მანეთი გამოეყენებინა ერისთავის პიესის — „სამშობლოს“ დასადგმელად და გასაფორმებლად.

**ამჟამად რა დღეშია ერთ დროს აყვავებული, სტუმართმოყვარე ინტელიგენციითა და კულტურული ტრადიციებით სახელგანთქმული ჭიათურა — სრულიად საქართველოს მასპინძელი და მისი სავიზიტო ბარათი, სტალინის რევოლუციური წრთობის, ბრძოლისა და შემდგომ მისი გაბრწყინების ყველაზე დიდი ქომაგი და ყურისმგდებელი? გაპარტახებული — აი, როგორია დღეს უსტალინოდ დარჩენილი ჭიათურა**



სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, ორჯონიკიძე, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ანდრეევი და გეგეჭკორი („კოლხიდმშენის“ მთავარი ინჟინერი) ათვალიერებენ კოლხეთის რუკას

**ლადო მესხიშვილი** — ქართული თეატრის პრომეთეოსი ქართველმა თავადაზნაურობამ გაასამართლა რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისთვის, როგორც სცენაზე, ისე ბარიკადებზეც. ლადოს ცეცხლოვანი მოკლე პასუხი თვით ქართული თეატრის დედაარსი იყო: „გამასამართლეთ, ხელოვნება ხალხს ეკუთვნის და მეც მასთან ვარ!“.

ვასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი თითქოს განგებ მოესწრნენ იმ დღეს, როცა მენშევიკური მთავრობის განათლების მინისტრის მოადგილემ, ვიღაც ცინცაძემ, ქართული სცენის ჭაღარა კორიფეებს თხოვნაზე — სათანადო ყურადღება მიაქციეთ თეატრსო, შემდეგი პასუხი მისცა: „მთელ ქართულ თეატრს ერთი საბალეტო წარმოდგენა მირჩევნია“. ხოლო მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ განაცხადა, განა სირცხვილი არ იქნება, რომ ქართულ თეატრს სახელმწიფო თეატრი დავარქვათო, და თავისი მოკლე ხნის სამარცხვინო ბატონობის უკანასკნელ წელს თეატრს „ქართული დრამა“ დაარქვეს. საბჭოთა ხელისუფლებას მენშევიკური „სამოთხიდან“ მემკვიდრეობით დარჩა იდეურად და მხატვრულად გაკოტრებული, უპერსპექტივო ქართული თეატრი. თეატრი თვითლიკვიდაციის წინაშე დადგა და საგულისხმოა, რომ თვითონ თეატრის ხელმძღვანელებმა და მისმა იდეურმა სულისჩამდგმელებმა დააყენეს მისი დახურვის საკითხი. მაგრამ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების სიბრძნემ გადაარჩინა ქართული თეატრი ისტორიულ სირცხვილს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართულ თეატრს 165 მუშაკი ჰყავდა. დღეს კი, საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავზე, საქართველოს თეატრებში მუშაობს 2 ათასზე მეტი კაცი, მათგან 1 400 აქტიორი, ხოლო დანარჩენები მხატვრები, კომპოზიტორები, მუსიკოსები არიან. ჩვენ გვყავს 14 სახალხო არტისტი, 25 ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და არტისტი. საქართველოში არის 46 თეატრი: რუსთაველის სახელობის თეატრი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი, ოპერის თეატრი, სომხური, თურქული, აფხაზური, ოსური, ბერძნული და ებრაული თეატრები. ტფილისში მუშაობს მოზარდი მაყურებლის სამი თეატრი — ქართული, რუსული და სომხური. გვაქვს ჩრდილებისა და ტიკინების თეატრი, აგრეთვე, ექვსი მოძრავი თეატრი.

საქართველში 15 დრამატურგი მუშაობს. ბოლო 7-8 წლის განმავლობაში მხოლოდ ორ აკადემიურ თეატრში — რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის — დაიდგა 35 ქართული ორიგინალური პიესა დაწერილი საბჭოთა დრამატურგების მიერ. მათ შორის, **ალიო მაშაშვილის** (ალიო მირცხულავას ფსევდონიმი — გრ.ონიანი) „განგაში“, **დავით კლდიაშვილის** „შემოდგომის აზნაურები“, **იონა ვაკელის** (იონა მეგრელიძის ფსევდონიმი — გრ. ონიანი) „შამილი“, **პოლიკარპე კაკაბაძის** „ყვარყვარე თუთაბერი“, **გერცელ ბააზოვის** „მუნჯები ალაპარაკდნენ“ და მარავალი სხვა. მოკავშირე რესპუბკლიკების დრამატურგია წარმოდგენილია **კირშონით, აფინოგენოვით, გლებოვით, კორნეიჩუკით, პოგოდინითა** და სხვა მწერლებით.

ჩვენი თეატრის სცენაზე ღირსეული ადგილი უჭირავთ მსოფლიო დრამატურგიის გიგანტებს: **შექსპირს** — „ოტელო“, „ჰამლეტი“, **შილერს** — „ვერაგობა და სიყვარული“, „ყაჩაღები“, **ლოპე დე ვეგას** — „ცხვრის წყარო“ და მრავალი სხვა“.

როდესაც აკაკი ხორავამ სიტყვა დაასრულა, ჯერ კიდევ ტრიბუნაზე მდგარ გოლიათს მოლოტოვმა მიმართა: „ახლო მომავალში იმედი გვაქვს, ვნახოთ ქართული თეატრი საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში“, რასაც დამსწრე საზოგადოება მქუხარე ტაშითა და ოვაციებით შეხვდა.

აკაკი ხორავას სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ხელოვნების მუშაკები მივიდნენ პრეზიდიუმის მაგიდასთან და სტალინს ხელი ჩამოართვეს.

მხატვრებმა **მოსე თოიძემ** და **ელენე ახვლედიანმა** თავიანთი ტილოები გადასცეს სტალინს.

მოსე თოიძემ, როდესაც თავის ნახატს გადასცემდა, სტალინს მიმართა: „მიიღეთ სურათი სახელოსნო სასწავლებლის ყოფილი მოწაფისაგან, ხოლო ახლა მრავლისაღმქმნელი 66 წლის „ახალგაზრდისაგან“.

**შენიშვნა:**

**დღეს სოფლად (და არამხოლოდ) სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, სახალხო თეატრები, კულტურისა და ხელოვნების სექციები, თვითშემოქმედებითი** ►

# დღეს პარლამენტის თავმჯდომარის — დავით უსუფაშვილის მეუღლე, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი საქართველოს საქაჯეთს უწოდებს და ქართველი ახალგაზრდების გასაგონად ამბობს, ჩემს შვილებს ვერც მართლმადიდებლობას დავაძალებ და ვერც იმას, რომ სამშობლოს გმირულად შეეწირონო...

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მიხეილ ჯავახიშვილი და პაოლო იაშვილი საბჭოთა საქართველოს დელეგატებთან ერთად კრემლში სტალინთან შეხვედრაზე



**დღეს კოლხეთი კვლავ უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას. დანგრეულია არხები და ამოვსებულია სადრენაჟო კვლები, გამომშრალ და ხრიოკ მიწებზე ციტრუსების ადგილს კვლავ ეკალბარდი იკავებს. ნარინჯების ქვეყანას, საამური ცხოვრების მეხოტბე და მომღერალი ხალხის ნაცვლად, კვლავ ტურები დაეპატრონებიან და აქა-იქ ჩარჩენილი მოსახლეობა მათ კივილსღა გაიგონებს. შეიცვალა სიმღერის ტექსტის: „იქ, სადაც წინათ კიოდა ტურა, ჩვენ გავაშენეთ ჩაის კულტურა". პოეტურად შეიძლება არ ბრწყინავდეს ეს სტროფი, მაგრამ სოცრეალიზმის ნათელი მაგალითია. ახლა კი ეს სოცრეალიზმი ასე იკითხება: იქ, სადაც გვქონდა ჩაის კულტურა, ახლა გაპკივის მგელი და ტურა**

**◀კოლექტივები წარსულის ტკბილ მოგონებებად შემორჩა ხანდაზმულ ადამიანებს, ახალგაზრდებს კი წარმოდგენაც არ აქვთ, რა იყო წარსულში და სად ვიმყოფებით ამჟამად. ადამიანების გასარყვნელად, გონების დასაჩლუნგებლად, მათი ზომბირებისთვის უარყოფილი იქნა ყველაფერი, რაც ხალხის წიაღში იშვა. ხალხს თვითშემოქმედება წაართვეს და მის ნაცვლად გულსა და გონებაში ამერიკული „შემოქმედება" ჩაუნერგეს. ამით არა მხოლოდ საქართველო, მთელი პლანეტა იღუპება — აი უსტალინოდ დარჩენილი ქვეყნის კიდევ ერთი უბედურება.**

ტრიბუნაზეა თბილისის მესამე სკოლის ფრიადოსანი მოწაფე **ეთერ გვანცელაძე** (ლაპარაკობს რუსულად, თარგმნიან ქართულად):

„მე საბჭოთა საქართველოს ტოლი ვარ. ამჟამად ვსწავლობ სკოლაში, მეშვიდე კლასში. ვსწავლობ ფრიადზე, ჩვენი სკოლის ბავშვთა უმრავლესობა კარგზე და ფრიადზე სწავლობს. კარგზე და ფრიადზე სწავლობს 290, ხოლო სუსტად — 34. სუსტ მოწაფეებს ჩვენ, ფრიადოსნები, მუდამ ვეხმარებით. მაგალითად, მე დავეხმარე ვარია ცეცხლაძეს, რომელიც ახლა კარგად სწავლობს და მოწინავეთა რიგებში გადმოვიდა. ამ ბედნიერ ცხოვრებას, სახელოვან, შესანიშნავ სამშობლოს ჩვენ მზადა ვართ, შევწიროთ მთელი ჩვენი სიცოცხლე, პირობას ვიძლევით, ვისწავლოთ ისე, რომ თქვენ, ამხანაგო სტალინ, გვითხრათ: „ჩინებულია, ახალგაზრდებო!". საბჭოთა სკოლის მოწაფეები საუკეთესონი იქნებიან მსოფლიოში".

**შენიშვნა:**

**დღეს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის მეუღლე, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი საქართველოს საქაჯეთს უწოდებს და ქართველი ახალგაზრდების გასაგონად ამბობს, — ჩემს შვილებს ვერც მართლმადიდებლობას დავაძალებ და ვერც იმას, რომ სამშობლოს გმირულად შეეწირონო... სად არიან პაატა და გიორგი, სად არის მღვდელი თევდორე, ცოტნე დადიანი, იაკობ ჯუღაშვილი ან სად არის თვითონ სტალინი — იღუპება მისი საქართველო...**

სიტყვას ამბობს ჭიათურის მაღაროს მნგრეველი **ვასილ ვლადიმერის ძე სამხარაძე.**

„ძვირფასო ამხანაგო სტალინ! თქვენ კარგად იცით, როგორ მდგომარეობაში იყვნენ ძველ დროს ჭიათურის მაღაროს მუშები... დაბალი და ბნელი გვირაბები, მუხლებამდე წყალი და ტალახი; ჭრაქის შუქზე მუშაობდნენ მაღაროელები და წელში მოხრილთ გამოჰქონდათ მადანი ურიკებით. ბევრ მუშას არ ჰქონდა საცხოვრებელი ბინა და კვირების განმავლობაში იქვე, სანგრევში იძინებდნენ. პარაზიტი მრეწველი გიგია ბრეგვაძე მაღაროელებს აიძულებდა, სამუშაოდ გამოსულიყვნენ, როცა ცაზე ჯერ კიდევ ჩანდა ვარსკვლავი, რომელსაც მუშებმა „გიგიას ვარსკვლავი" შეარქვეს, და მათ სამუშაოდან უშვებდა მხოლოდ მაშინ, როცა ვარსკვლავი კვლავ გამოჩნდებოდა ცაზე.

ახლა, ამხანაგო სტალინ, თქვენ ველარც კი იცნობთ ჭიათურის მაღაროებს. საყელავმა მანქანამ, ელექტრობურღებმა, სანგრევმა უროებმა შეცვალეს წერაქვი და ნიჩაბი. ახლა ვიწრო და ტალახიანი გვირაბების ნაცვლად ფართო და მშრალი გვირაბები გვაქვს. წინანდელი ჭრიალა იმერული ურმების ნაცვლად გვაქვს ელექტრომავლები და საჰაერო საბაგირო გზები, რომლებსაც რიონჰესისა და ზაჰესის ენერგია ამოძრავებს. აშენდა ახალი მძლავრი გამამდიდრებელი ფაბრიკები, რომლებმაც შეცვალეს მრეცხავის მძიმე შრომა ხელით. მაღაროებში გაჩნდა მუშებით დასახლებული ადგილები კლუბებით, სასადილოებით, მაღაზიებით.

ჩემი თვიური ხელფასი ამჟამად 1300 მანეთს შეადგენს. მოწინავე სტახანოველები — **ფოფხაძე, წერეთელი, ცუცქირიძე, ბოყოველი** და სხვები 40—50 ტონა მარგანეცს ანგრევენ და თვეში 1000 დან 1300 მანეთანდე იღებენ ხელფასს".

ვლადიმერ სამხარაძის ამ სიტყვებზე სტალინმა ტაში დაუკრა და შესძახა: „ბარაქალა!".

**შენიშვნა:**

**ამჟამად რა დღეშია ერთ დროს აყვავებული, სტუმართმოყვარე ინტელიგენციითა და კულტურული ტრადიციებით სახელგანთქმული ჭიათურა — სრულიად საქართველოს მასპინძელი და მისი სავიზიტო ბარათი, სტალინის რევოლუციური წრთობის, ბრძოლისა და შემდგომ მისი გაბრწყინების ყველაზე დიდი ქომაგი და ყურისმგდებელი?**

**გაპარტახებული — აი, როგორია დღეს უსტალინოდ დარჩენილი ჭიათურა.**

„კოლხიდმშენის" მთავარმა ინჟინერმა **გრიგოლ გიორგის ძე გეგეჭკორმა** სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა:

„მრავალი წლის განმავლობაში დაჭაობებული კოლხეთის დაბლობი ტენიანი სუბტროპიკების ზონაში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატური პირობებით ეს მიწა საუცხოოა ციტრუსებისა და ძვირფასი ტექნიკური კულტურების გასაშენებლად, გულშემზარავი ჭაობები და საშინელი მალარია საშუალებას არ აძლევდა მცხოვრებლებს, ესარგებლათ ამ მხარის დოვლათით. მიწების ნაწილი თითქმის გაუვალ ჭაობებს წარმოადგენს, მეორე ნაწილს კი წყალდიდობისას იმ მდინარეთა წყლები ფარავდა, რომლებიც კოლხეთის დაბლობს კვეთენ.

ასეთი იყო კოლხეთის დაბლობის სურათი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ასეთივე სურათი იყო 1932 წლამდე. 1932 წელს კი დაიწყო და ფართოდ გაიშალა დიდი სამუშაოები. ჩვენ გავიყვანეთ 750 კილომეტრის საერთო სიგრძის მაგისტრალური არხი, ავაგეთ დასაშრობები და კოლექტორები. 18 ათას ჰექტარზე მოეწყო წვრილი ქსელი და ცალკეულ ნაკვეთებზე უკვე სახლდებიან გლეხები, რომლებიც ამ მიწებს სუბტროპიკული კულტურების მოსაყვანად იყენებენ. მდინარე რიონის ფარვატერის მე-12 კილომეტრიდან მდინარე ახალ კალაპოტში უხვევს. მდინარის ძველი კალაპოტის გაღრმავების შემდეგ იქ უნდა გადავიდეს შავი ზღვა და ჩვენ 12 კილომეტრის მანძილზე ზღვის უბე გვექნება.

**შენიშვნა:**

**დღეს კოლხეთი კვლავ უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას. დანგრეულია არხები და ამოვსებულია სადრენაჟო კვლები, გამომშრალ და ხრიოკ მიწებზე ციტრუსების ადგილს კვლავ ეკალბარდი იკავებს. ნარინჯების ქვეყანას, საამური ცხოვრების მეხოტბე და მომღერალი ხალხის ნაცვლად, კვლავ ტურები დაეპატრონებიან და აქა-იქ ჩარჩენილი მოსახლეობა მათ კივილსღა გაიგონებს. შეიცვალა სიმღერის ტექსტიც: „იქ, სადაც წინათ კიოდა ტურა, ჩვენ გავაშენეთ ჩაის კულტურა". პოეტურად შეიძლება არ ბრწყინავდეს ეს სტროფი, მაგრამ სოცრეალიზმის ნათელი მაგალითია. ახლა კი ეს სოცრეალიზმი ასე იკითხება: იქ, სადაც გვქონდა ჩაის კულტურა, ახლა გაჰკივის მგელი და ტურა.**

**ასეთია ნარინჯების ქვეყნის სახე სტალინის შემდგომ.**

ტრიბუნაზეა **მართა პლიევა** — ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) მწველავი (ლაპარაკობს ოსურად, თარგმნიან რუსულად და ქართულად):

„ჩვენი სოფლის თითოეულ კოლმეურნეს, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად, პირად სარგებლობაში ჰყავს 2-დან 5-მდე ძროხა, ერთი ან ორი ცხენი, 10-დან 25 სულამდე ცხვარი და 2-დან 3 სულამდე დედა ღორი ნამატით, აგრეთვე, დიდძალი ფრინველი".

**შენიშვნა:**

**ძველო და ახალო ინტრიგანებო, აკი სტალინის დროს აკრძალული იყო ძროხისა და სხვა საქონლის ყოლა. ატყუეთ ერთმანეთი, ამერიკის მონებო და ქვეყნის გამყიდველებო, კეთილის მძაგებლებო და ბოროტის მაქებრებო, მიმიფურთხებია თქვენთვის!**

ეს წერილი მიხეილ ჯავახიშვილზე თხრობით უნდა დავამთავრო.

1936 წლის 19 მარტს კრემლს სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის საამაყო ქართველი **მიხეილ ჯავახიშვილიც** სტუმრობდა. შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც მოლოტოვი წამოდგა და დელეგაციის წევრებს მიმართა: „ამხანაგებო, ამ თათბირის პრეზიდიუმის დავალებით უნდა გადმოგცეთ: ჩვენ, პრეზიდიუმის წევრნი, ვშუამდგომლობთ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, რომ საქართველოს დელეგატები დაჯილდოებულ იქნან საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი — ორდენებით.

ვთხოვთ ამხანაგ დელეგატებს, მცირე საჩუქრები მიიღონ მთავრობისგან: ყოველ დელეგატს და დელეგატ ქალს — საათი და პატეფონი ფირფიტებით, ხოლო აქ წარმოდგენილი ყოველი კოლმეურნეობა მიიღებს სატვირთო ავტომანქანას".

სტალინმა, მოლოტოვმა, ვოროშილოვმა, ორჯონიკიძემ და პოლიტბიუროს სხვა წევრებმა საქართველოს დელეგაციის წევრებს გადასცეს მთავრობის საჩუქრები — საათები და პატეფონები ფირფიტებით. როდესაც სტალინთან მიხეილ ჯავახიშვილი მივიდა, ის სტალინმა გულწრფელად გადაკოცნა და საჩუქარი გადასცა.

მიხეილ ჯავახიშვილმა კი საჩუქრის მიღების შემდეგ სტალინისა და დელეგაციის წევრების წინაშე სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა:

„მე მწერლობა დავიწყე 1903 წელს, მაგრამ ნამდვილი მწერალი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გავხდი. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის განმავლობაში ოცჯერ მეტი დავწერე, ვიდრე ძველი რეჟიმის დროს. ვიძლევი პირობას, ჩემს მკითხველს მივცე ახალი რომანი 1905 წლის ეპოქიდან. თემა 1905 წლის აჯანყებაა. რომანს ეწოდება „ქალის ტვირთი". Lლაპარაკია ქალებზე, რომლებმაც იკისრეს რევოლუციის ტვირთი. მათგან ერთმა გაუძლო ამ ტვირთს, მეორე კი დაეცა".

**შენიშვნა:**

**ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი კომუნისტურ ეპოქაში საშინელ წნეხს განიცდიდა, არ უბეჭდავდნენ წიგნებსა და სტატიებს, ავიწროებდნენ და ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ მის გასამცირებლად და სამუშაო რიტმიდან ამოსაგდებად. კომუნისტების მიმართ მიხეილ ჯავახიშვილის უდიდესი სიძულვილის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლებამ ის ქართველი საზოგადების ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებად წარმოაჩინა.**

აი რა წერია ქართულ ვიკიპედიაში მიხეილ ჯავახიშვილზე:

„...1917 წლიდან ჯავახიშვილი აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ მოძრაობაში. აღნიშნული წლიდან იგი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი და შედიოდა ამ პარტიის მთავარ კომიტეტში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918—1921) ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის (1921 წლის თებერვალი-მარტი) შემდეგ იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე: 1922—1924 წლებში იგი შედიოდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში და **აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მომზადებაში".**

**ზემოთქმულის მიუხედავად, სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა:**

**„საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 15 წლისთავთან დაკავშირებით შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდეს ჯავახიშვილი მიხეილ საბას ძე — საქართველოს სსრ მწერალი.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე
**მ. კალინინი**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი **ი. უნშლიხტი"**

რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილის რეპრესირებას, ეს ცალკე თემაა, რომელსაც მომავალში შევეხები.

**P.S.** მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონ ტაბიძე კრემლში ვერ გამოცხადდა, სტალინის წინადადებით, იგი ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — „ლენინის ორდენით" დააჯილდოვეს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაციონალისტური ბანაკი სულ უფრო სოლიდარული ხდება ევროპულ სიონიზმთან, რაც უკიდურესად ამწვავებს დაპირისპირებას და რადიკალური ისლამისა და ნაციონალისტების დრამატული შეტაკებისათვის წინაპირობას ქმნის, როგორც კი ეს ევროპის ბატონ-პატრონებს დასჭირდებათ. ამგვარი შეტაკების მსხვერპლი ყველა ქვეყანა იქნება.**

# ფრანგული ზონა, ანუ რისთვის სჭირდება დასავლეთს ტერორიზმთან ომი



**შეუშვეს რა საკუთარ ტერიტორიაზე მუსლიმანების უდიდესი ნაკადი, ევროპის მმართველმა ძალებმა ხელში ჩაიგდეს კონტინენტზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის კონტროლი. უკვე საუკუნის მეოთხედია, ევროპელებს თავში უჩედავენ „ცივილიზაციათა შეტაკების“ გარდაუვალობას. ამ იდეის ავტორად სემუელ ჰანტინგტონს მიიჩნევენ, მაგრამ პირველად ეს იდეა წამოაყენა ბრიტანელმა აღმოსავლეთმცოდნემ და სამხედრო მზვერავმა ბერნარ ლიუისმა, რომელმაც ისლამი წარმოადგინა, როგორც დასავლეთის მიმართ დაუძლეველი ზიზღით აღსავსე რეტროგრადული რელიგია. ამ სქემაში დასავლური ცივილიზაცია წარმოდგენილია, როგორც „იუდეისტურ-ქრისტიანული”.**



შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ხანს ევროპაში ნაციონალურ-პატრიოტული თემატიკა დადის ისლამისა და ისლამიზმის, როგორც „ევროპული იდენტობის“ მთავარი საფრთხის, მიმართ წინააღმდეგობამდე. **ნაციონალისტური ბანაკი სულ უფრო სოლიდარული ხდება ევროპულ სიონიზმთან, რაც უკიდურესად ამწვავებს დაპირისპირებას და რადიკალური ისლამისა და ნაციონალისტების დრამატული შეტაკებისათვის წინაპირობას ქმნის, როგორც კი ეს ევროპის ბატონ-პატრონებს დასჭირდებათ. ამგვარი შეტაკების მსხვერპლი ყველა ქვეყანა იქნება.**

ამ მდგომარეობაში მუსლიმანი მიგრანტები იქცევიან პოლიტიკური პროცესების მართვის მექანიზმად, რომლის დახმარებითაც ევროპელების მანიპულირებით ძალაუფლების მქონენი ამა თუ იმ მიზნის მიღწევას შეძლებენ. **ეს მექანიზმი განსაკუთრებით კარგად მუშაობს საფრანგეთში, რადგან იქ, ერთი მხრივ, დამკვიდრდა ევროპაში უდიდესი ისლამური თემი; ხოლო, მეორე მხრივ, იქვე მოქმედებენ გავლენიანი სიონისტური სტუქტურები.**

ამაზე პირდაპირ მიანიშნა საფრანგეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა **როლან დიუმამ**, როდესაც BFM TV-ზე გამოსვლისას საფრანგეთის ახლანდელი პრემიერი მანუელ ვალისი სიონისტური ლობის გავლენის ქვეშ მოქცევაში დაადანაშაულა. უნდა აღინიშნოს, რომ დიუმა არის ერთ-ერთი იმ იშვიათი ფრანგი დიპლომატთაგანი, რომელიც არ მალავს სიმპათიას პალესტინის მიმართ და ღიად აკრიტიკებს ისრაელის პოლიტიკას. მისი მოწინააღმდეგეებისთვის ამგვარი პოზიცია არის „ჩვეულებრივი ანტისემიტიზმი“ და „უპასუხისმგებლო გამონათქვამები“. საფრანგეთში სიონისტური ლობის არსებობის შესახებ არაერთხელ უსაუბრია **ფრანსუა მიტერანსაც**, რომელიც ამბობდა, რომ არ ახდენდა ამ ლობის ებრაულ თემთან იდენტიფიცირებას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ **საფრანგეთში მმართველობის სახელმწიფო ინსტიტუტების გარდა არსებობს პარალელური ჩრდილოვანი სტრუქტურებიც, მათ შორის კი საკვანძო ადგილი უკავია პარამასონურ ორგანიზაცია „საუკუნეს“** (Siecle), რომელშიც საფრანგეთის ელიტის მრავალი წარმომადგენელია გაერთიანებული. იმავე ჩრდილოვან დონეზე ხორციელდება ევროკავშირის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის მჭიდრო კოორდინაცია. ეს ყველაფერი ისე აფართოებს ფრანგული საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების შესაძლებლობებს, რომ სტიქიური პროცესების განსხვავება მართვადი ქაოსისგან პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ამიტომ ტერორისტული აქტებიც, როგორც დაშინების ინსტრუმენტი (13 ნოემბერს პარიზში მომხდარი მასობრივი მკვლელობების რეალურ დამკვეთებს ვერასდროს ვერავინ დაადგენს), მნიშვნელოვან როლს ასრულებს მმართველი წრეების მხრიდან „სამოქალაქო საზოგადოების“ კონტროლის განმტკიცების საქმეში.

დღეს ევროპული ელიტების მთავარი ამოცანაა იმ ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის შექმნა, რომლის შესახებაც შეთანხმების ხელმოწერა 2016 წლისათვის იგეგმება. ამ პარტნიორობამ უნდა განაპირობოს კორპორაციის მხრიდან ეკონომიკის სრული კონტროლი და სოციალური სფეროს გარდაქმნა მოსახლეობის ცხოვრების დონის გარდაუვალი ვარდნით. **ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობა ეფექტიანი შეიძლება იყოს მხოლოდ საზოგადოებაზე მკაცრი პოლიციური კონტროლისა და პიროვნებებზე ტოტალური ელექტრონული კონტროლის დამყარების შემთხვევაში.**

შემთხვევითი არ არის, რომ ევროკავშირსა და აშშ-ს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციის მოლაპარაკებების პარალელურად მიმდინარეობდა საიდუმლო მოლაპარაკებები საზოგადოების კონტროლის ერთიანი სივრცის შექმნაზე. **ევროკავშირის წევრი ექვსი ქვეყნის ექსპერტებმა შეადგინეს დახურული მოხსენება, რომელიც ითვალისწინებდა 2014 წლისათვის ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის სფეროების შექმნას „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და იუსტიციის“ მიმართულებით. ამგვარი სფეროს აღმოცენება კიდევ უფრო მეტად გაუსვამდა ხაზს ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის რეალურ მორჩილებას ამერიკის ხელისუფლებისადმი, ვიდრე უკვე არსებული პოლიციური უწყებების თანამშრომლობა.** გარდა ამისა, ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობა არის ნაბიჯი ტრანსატლანტიკური ასამბლეისა და ტრანსატლანტიკური პოლიტიკური საბჭოს შესაქმნელად საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინაციისათვის.

თუმცა აქ გარკვეული სირთულეებიც არის: **თუკი ამერიკელი საზოგადოება პატრიოტული აქტის მიღების შემდეგ ტიპურ პოლიციურ სახელმწიფოს წარმოადგენს, ევროპელები ძალიან ძნელად ამბობენ უარს პოლიტიკურ თავისუფლებებზე. ამ სიტუაციის შექმნა მხოლოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების თანასწორ მოვლენას შეეძლო.**

ჯერ კიდევ **ლიბიის ომიდან მოყოლებული ევროპაში გეგმაზომიერად მიმდინარეობდა ჯიჰადის, როგორც უსაფრთხოებისათვის მთავარი მუქარის, გაპიარება. 2014 წლის შემოდგომაზე გაჩაღებული ანტიისლამური პროპაგანდისას საფრანგეთში სასწრაფოდ მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ანტიტერორისტული კანონი, რომელიც ყველაზე მკაცრია იმ კანონებს შორის, რომლებიც მანამდე ჰქონია ამ ქვეყანას: მან სერიოზული შეზღუდვები დააწესა გადაადგილების, სიტყვის, კომუნიკაციისა და ინფორმაციის თავისუფლებებზე.** მაგალითად, ამ კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამსახურებს შეუძლიათ, პასპორტი ან პირადობის მოწმობა ჩამოართვან საზღვარგარეთ გასვლის მსურველ ადამიანს, თუკი დაეჭვდებიან, რომ მან უკან დაბრუნებისას, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ნაციონალურ უსაფრთხოებას.

მომდევნო, უფრო გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგა Charlie Hebdo-ს რედაქციაში მომხდარი ტერაქტის შემდეგ. **„ბარბაროსული ისლამური ფუნდამენტალიზმის“ საწინააღმდეგოდ მიიღეს სადაზვერვო მონაცემების შეგროვების შესახებ ახალი კანონი, რომელიც ძალაში 2015 წლის 3 ოქტომბერს შევიდა. ამ კანონის შესაბამისად, ინერგება თვალთვალისა და ინფორმაციის მოპოვების ახალი ტექნოლოგიები, იქმნება ახალი მაკონტროლებელი ორგანო, რომელსაც არსებულზე მეტი უფლებამოსილება ექნება მონაცემების შესაგროვებლად ნებართვის გაცემის მხრივ და ასე შემდეგ.**

კანონმა, რომელსაც ზოგიერთმა „ფრანგული პატრიოტული აქტი“ უწოდა, საფრანგეთში მწვავე კრიტიკა გამოიწვია, ის შეფასდა, როგორც ადამიანთა პირად ცხოვრებაში შეჭრა და საზოგადოების მასობრივი კონტროლის მაგალითი. მრავალი დამკვირვებელი ხაზს უსვამს, რომ ეს კანონი უეფექტოა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სამაგიეროდ მნიშვნელოვად ზღუდავს მოქალაქეთა უფლებებს.

ოქტომბრის შუა რიცხვებში საფრანგეთში დაიწყო მდგომარეობის მორიგი დაძაბვა, რისთვისაც საბაბად ისრაელში მდგომარეობის გამწვავება იქცა. **18 ოქტომბერს პარიზში საფრანგეთის ევროპელ სტუდენტთა კავშირის ინიციატივით ჩატარდა ისრაელის მხარდასაჭერი დემონსტრაცია, რომელზეც გამოვიდა ცნობილი სიონისტი ბერნარ-ანრი ლევი. მან ისრაელის მოვლენებს „მესამე ინტიფადა“ უწოდა, „პალესტინელი ტერორისტები“ გაკიცხა. 1 ნოემბერს კი პარიზში ჩატარდა საფრანგეთის ებრაული დაწესებულებების წარმომადგენლობითი საბჭოს VI საერთაშორისო კონგრესი (CRIF), რომელშიც შარშანდელზე ორჯერ მეტი ადამიანი მონაწილეობდა— 1400.**

კონგრესზე განხილვის მთავარი თემები იყო საფრანგეთში სალაფიზმის აღზევების საშიშროება, იმიგრანტებს შორის ისლამისტი ფანატიკოსების გააქტიურება, ფრანგებს შორის ისლამიზმის იდეების პოპულარობა (სირიაში საომრად წასულია 18 000 ადამიანი). ამასთანავე, ამ კრიტიკული ტექსტებით გამოდიოდნენ ისინი, ვინც ადრე იცავდა ისლამსა და მუსლიმანებს, რადგან მათ ფრანგული კულტურის მიმართ ადაპტირების უნარი გააჩნდათ. განსაკუთრებული იყო შინაგან საქმეთა მინისტრის — **ბერნარ კაზნევის** საათ-ნახევ- ▶

**ევროკავშირის წევრი ექვსი ქვეყნის ექსპერტებმა შეადგინეს დახურული მოხსენება, რომელიც ითვალისწინებდა 2014 წლისათვის ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის სფეროების შექმნას «თავისუფლების, უსაფრთხოებისა და იუსტიციის» მიმართულებით. ამგვარი სფეროს აღმოცენება კიდევ უფრო მეტად გაუსვამდა ხაზს ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის რეალურ მორჩილებას ამერიკის ხელისუფლებისადმი, ვიდრე უკვე არსებული პოლიციური უწყებების თანამშრომლობა**



## თურქეთში პარიზის ტერაქტში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს

**თურქეთში პარიზის ტერაქტში ეჭვმიტანილ დაკავებულ სამ პირს შორის არის „მზვერავი“, რომელიც სავარაუდოდ, ტერორისტების თავდასხმისთვის ადგილებს არჩევდა.** 26 წლის მამაკაცი ბელგიის მოქალაქეა, წარმოშობით მაროკოდან, იგი ანტალიაში მდებარე ხუთვარსკვლავიან სასტუმროში აიყვანეს. ორი პირი კი სირიის მოქალაქეა, რომლებიც თურქმა სამართალდამცველებმა მთავარ გზატკეცილთან ახლოს დააკავეს. ისინი, სავარაუდოდ, „ისლამურმა სახელმწიფომ“ სირიაში გაგზავნა, რათა ბელგიელს საზღვრის გადაკვეთაში დახმარებოდნენ.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀რიანი გამოსვლა: „მე მჯერა, რომ საფრანგეთის ყველა ებრაელს ნათელი მომავალი ექნება, პირობას ვდებ, რომ რესპუბლიკა მათ დაიცავს, როგორც ეს აჩვენა წლევანდელმა გადაწყვეტილებებმა. რესპუბლიკა მათ დაიცავს, რადგან საფრანგეთის ებრაელთა გარეშე რესპუბლიკა დაკარგავს თავის ყველაზე მგრძნობიარე და ცოცხალ ნაწილს“.

12 დღის შემდეგ კი, 13 ნოემბრის გვიან საღამოს, პარიზში ქვეყნის ისტორიაში უმსხვილესი ტერაქტები მოხდა და მათ შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

პრეზიდენტმა ოლანდმა განაცხადა, რომ ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია. მის კვალდაკვალ იგივე გაიმეორა სარკოზიმაც ფრანგულ არხ TF1-ზე გამოსვლისას. უფრო მეტიც, სარკოზიმ განაცხადა, რომ ეს ომი დიდხანს გაგრძელდება. ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რომ რადიკალურად უნდა გაძლიერდეს შიგა უსაფრთხოების პოლიტიკა. მან სპეციალურ სიებში შემავალი 11,5 ათას საეჭვო პირზე დაკვირვების წინადადება წამოაყენა. **ამ ადამიანებს, სარკოზის აზრით, უნდა გაუკეთდეთ ელექტრონული სამაჯურები, რათა ცნობილი იყოს, სად იმყოფებიან, სად მიდიან და რას აკეთებენ. სარკოზიმ ასევე წამოაყენა „დერადიკალიზაციის ცენტრების“ შექმნის წინადადება, რათა იქ გაიგზავნოს ყველა, „ვინც შეიძლება ექსტრემიზმში გადავარდეს“, ხოლო ორმაგი მოქალაქეობის მქონე ადამიანები, მისივე რეკომენდაციით, წუთითაც აღარ უნდა დატოვონ საფრანგეთის ტერიტორიაზე. ყველა, ვინც ჯიჰადისტურ საიტებზე შედის, განხილულ უნდა იქნეს ჯიჰადისტად და მის მიმართ გამოყენებულ იქნას შესაბამისი ზომები.**

„ისლამური სახელმწიფო“ გამოცხადდა №1 მტრად. ამის შესახებ განაცხადა CRIF-ის პრეზიდენტმა **როჟე კუკერმანმა**, რომელმაც ყველა დასავლურ ქვეყანას მოუწოდა, საკადრისი პასუხი გასცენ ისლამისტებს. იგივე თემა, მხოლოდ უფრო პროფესიონალურად, განავითარა „ფრანგმა ჰანტინგტონმა“, პარიზის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის პროფესორმა, ზემოხსენებული პარამასონური ორგანიზაცია „საუკუნის“ წევრმა, ბილდერბერგის კლუბის წევრმა **ჟილ კეპელმა**, რომელიც რეგულარულად წერს CRIF-ის საიტზე. ტელეარხ France-2-ზე თავისი ორსაათიანი გამოსვლისას მან წამოაყენა ოფიციალური ვერსია ახლო აღმოსავლეთში ახალი ტერორისტული ძალის არსებობის შესახებ და გააკეთა მოწოდება, მთელი ძალები მოხმარდეს ევროპის მთავარი მტრის წინააღმდეგ ბრძოლას.

საფრანგეთს დიდი ცვლილებები ელის. საუბარია არა იმდენად საგარეო პოლიტიკასა და სირიაში აქტიურ საომარ მოქმედებებზე ან დევნილების მიმართ პოლიტიკის ცვლილებაზე, არამედ რეჟიმის გარდაქმნაზე, რომელიც ფრანგულ საზოგადოებაში პიროვნების ტოტალური კონტროლის სისტემის დამკვიდრებას შესაძლებელს გახდის, როგორც ერთიანი მსოფლიო ელექტრონული მმართველობის შექმნისაკენ გადადგმულ აუცილებელ ნაბიჯს.

ტოტალური კონტროლის სისტემის დამყარებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საგანგებო მდგომარეობის შემოღება. საგანგებო მდგომარეობა ომის შემდგომ საფრანგეთში სულ ხუთჯერ იყო შემოღებული, მათგან სამჯერ — ალჟირის ომის პირობებში, ერთხელ — 1984 წელს ახალ კალედონიაში ომის დროს და ბოლოს 2005 წელს, სარკოზის პერიოდში, დედაქალაქის გარეუბნებში მძაფრი შეტაკებებისას.

**საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი შესაძლებელს ხდის ადამიანთა და ტრანსპორტის გადაადგილების აკრძალვას; გარკვეულ ადგილებში ყოფნის რეგლამენტირებას; დაწესებულებებში მისვლის აკრძალვას იმ პირებისათვის, რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ მათ, შესაძლოა, ხელი შეუშალონ სახალხო ხელისუფლებების ქმედებებს; სამყოფელის დატოვების აკრძალვას ნებისმიერი ადამიანისათვის, რომლის საქმიანობაც შეიძლება სახიფათო იყოს საზოგადოებრივი წესრიგისათვის; შეკრებების ადგილების დროებით დაკეტვას; მედიასაშუალებებზე კონტროლის დაწესებას და ასე შემდეგ.**

16 ნოემბერს ვერსალში პარლამენტში გამოსვლისას ოლანდმა განაცხადა, რომ აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის სამი თვით გაგრძელება, რომლისთვისაც აუცილებელია ახალი კანონის მიღება. 1955 წლის 3 აპრილს მიღებული კანონი საგანგებო სიტუაციების შესახებ უკვე არ შეესაბამება თანამედროვე ტექნოლოგიებს, საფრთხეებსა და გამოწვევებს.

ოლანდმა ასევე განაცხადა კონსტიტუციის შეცვლის აუცილებლობის შესახებაც: მე-16 და 36-ე მუხლები, მისი აზრით, მოძველდა. გარდა ამისა, შეიქმნება ათასობით ახალი პოლიციური შტატი, მათ შორის ანტიტერორისტული სამსახურების ხაზითაც და სასაზღვრო პოლიციაშიც.

დასასრულ, ოლანდმა ევროკავშირის ხელმძღვანელობას მოუწოდა, ევროპული კავშირის საზღვრებზე სისტემატური კონტროლი დააწესონ.

**fondsk.ru**

**თუკი ყველა სახელმწიფო დამოუკიდებლად ექცევა და იყენებს გადარჩენის საკუთარ მეთოდებს, როგორ შეიძლება იმის გათვლა, რომ ევროპა ერთიანი დარჩება? ევრო იმის იმედად იქნა შემოღებული, რომ პოლიტიკურ კავშირს უმოკლეს პერიოდში მიაღწევდნენ, მაგრამ დღეს ეს კავშირი სულ უფრო მიუწვდომელი ხდება.**

# როგორ აღვივებს ტერორი ეგოიზმს ევროპაში

**პარიზის ტერაქტებმა არა მხოლოდ იმას მოჰფინა ნათელი, რომ ერთიანი ევროპა უკვე აღარ არსებობს, არამედ, შესაძლოა, გაანადგუროს ის მცირედიც, რაც მისგან დარჩა. საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის პირველი რეაქცია მომხდარზე შენგენის შეთანხმების შეჩერება იყო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის სასაზღვრო კონტროლი აღდგენილია.**



2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებმა ამერიკელებში ერთიანობისა და ნაციონალური სიამაყის განცდა განამტკიცა. ხალხი თავისი პრეზიდენტის ირგვლივ გაერთიანდა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში მის მოსვლას მთელი რიგი წინააღმდეგობები ახლდა. საშინელმა სისხლისღვრამ ანალოგიური რეაქცია გამოიწვია საფრანგეთშიც, მაგრამ ევროპა არ გაერთიანებულა ევროპული კომისიის თავმჯდომარის — **ჟან-კლოდ იუნკერის** ირგვლივ, ევროპულ გზებზე არ გადმოუკიდიათ ევროკავშირის დროშები და ევროპამ ერთიანი პასუხი არ გასცა მომხდარ ტერაქტებს.

როგორც ამერიკის, ასევე პარიზის ტერაქტებმაც გააჩინა სურვილი, მათზე ომით გაეცათ პასუხი. **მიუხედავად იმისა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ არის საერთო ევროპული (და მსოფლიო) საფრთხე, რომელთან გამკლავებაც მხოლოდ ზენაციონალურ დონეზეა შესაძლებელი, ტერაქტებზე პასუხად იქცა რაკას — სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ ციტადელის — დაბომბვა ფრანგული და არა ევროპული ჯარების მიერ. საფრანგეთმა მარტომ დაიწყო მოქმედება. დიდი ბრიტანეთი, როგორც ჩანს, ანალოგიურად მოქმედებს. ეყოფა კი ვაჟკაცობა იტალიას, რომ იგივე გზით წავიდეს? თუ ამჯობინებს, თავი აარიდოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას და იმედი იქონიოს, რომ თავს დააღწევს საკუთარ ტერიტორიაზე ტერაქტებს? როგორ მოიქცევიან ევროპის დანარჩენი ქვეყნები?**

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი არ შედის შენგენის ზონაში, მის ტერიტორიაზე ათი წლის წინათ საშინელი ტერაქტი მოხდა. ამიტომ, არის კი აუცილებელი შენგენის გაუქმება საფრანგეთის მხრიდან? — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საფრანგეთი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის სხვა ქვეყნებზე უკეთ შეძლებს, აღკვეთოს ქვეყანაში იარაღისა და ტერორისტების შეღწევა სირიისა და იემენის საწვრთნელი ბანაკებიდან.

**შენგენის შეთანხმების შეჩერება ნიშნავს, რომ ფრანგები არ ენდობიან დანარჩენ ევროპას. ამგვარი ქცევით ისინი ანადგურებენ ევროპული ერთობის უმთავრეს სიმბოლოს და არ ღირს თავის მოტყუება იმით, რომ ეს დროებითი ზომაა. რომელი ფრანგი პრეზიდენტი გაბედავს შენგენის მოქმედების განახლებას და გარისკავს, საკუთარ თავზე დაიკისროს პასუხისმგებლობა ახალი ტერაქტების ხელშეწყობაზე?**



სამწუხაროდ, პარიზში მომხდარმა მოვლენებმა, შესაძლოა, დევნილების ტერორისტებთან გათანაბრებაც განაპირობოს. როგორც ჩანს, ერთ-ერთ ტერორისტს სირიიდან დევნილის პასპორტი ჰქონდა. საფრანგეთის ხელისუფლებამ დაადგინა, რომ დოკუმენტი ყალბი იყო. ასეც რომ იყოს, რეალობა ისაა, რომ ტერორისტების უმეტესობა ევროპაში გაიზარდა, სირიელ დევნილებს კი ამ ბოევიკებთან არანაირი კავშირი არ აქვთ. მიუხედავად ამისა, ეს კარგი გამართლება იქნება ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელსაც თავიდანვე არ სურდა დევნილების ხსენებაც კი. რაც უფრო მეტი ქვეყანა იტყვის უარს კვოტების შესაბამისი რაოდენობის დევნილების მიღებაზე, მით მეტი ტვირთი დააწვება დანარჩენ ქვეყნებს. ასე რომ, პარიზის ტერაქტებმა, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ევროპის ყველა მცდელობას, მიაღწიოს შეთანხმებას დევნილების განაწილების საკითხზე.

დასასრულ, პარიზზე თავდახმა შეიარაღების, პოლიციისა და მთლიანად თავდაცვისთვის ახალი ხარჯების გაწევის საჭიროებას აჩენს. 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი მკვეთრად გაიზარდა. ევროპაში არსებულმა შეთანხმებებმა კი წევრ ქვეყნებს შორის დეფიციტის ამგვარი ზრდა უნდა აღკვეთოს. საეჭვოა, პრეზიდენტმა ოლანდმა მოქალაქეებს უთხრას, რომ ვერ დაიცავს მათ, რადგან ევროპული შეთანხმებები პოლიციელთა შტატის გაზრდის საშუალებას არ აძლევს. შესაბამისად, დეფიციტთან დაკავშირებული შეთანხმებებიც უგულებელყოფილი იქნება.

**თუკი ყველა სახელმწიფო დამოუკიდებლად ექცევა და იყენებს გადარჩენის საკუთარ მეთოდებს, როგორ შეიძლება იმის გათვლა, რომ ევროპა ერთიანი დარჩება? ევრო იმის იმედად იქნა შემოღებული, რომ პოლიტიკურ კავშირს უმოკლეს პერიოდში მიაღწევდნენ, მაგრამ დღეს ეს კავშირი სულ უფრო მიუწვდომელი ხდება.** შესაძლოა, პარიზის ტერაქტები ევროპული პროექტის მარცხად იქცეს და, თუკი ეს მოხდება, ე.ი. ტერორისტებმა უკვე გაიმარჯვეს.

**L'Espresso**

**მიუხედავად იმისა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ არის საერთო ევროპული (და მსოფლიო) საფრთხე, რომელთან გამკლავებაც მხოლოდ ზენაციონალურ დონეზეა შესაძლებელი, ტერაქტებზე პასუხად იქცა რაკას — სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ ციტადელის — დაბომბვა ფრანგული და არა ევროპული ჯარების მიერ. საფრანგეთმა მარტომ დაიწყო მოქმედება. დიდი ბრიტანეთი, როგორც ჩანს, ანალოგიურად მოქმედებს. ეყოფა კი ვაჟკაცობა იტალიას, რომ იმავე გზით წავიდეს? თუ ამჯობინებს, თავი აარიდოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას და იმედი იქონიოს, რომ თავს დააღწევს საკუთარ ტერიტორიაზე ტერაქტებს? როგორ მოიქცევიან ევროპის დანარჩენი ქვეყნები?**

## ბრიუსელში ტერორიზმის საფრთხის უმაღლესი დონე გამოცხადდა

**ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ტერორიზმის საფრთხის უმაღლესი დონე გამოცხადდა.** ბრიუსელში „სერიოზულ და გარდაუვალ საფრთხეზე“ საუბრობენ. ბელგიის შს სამინისტროს კრიზისების ცენტრში აცხადებენ, რომ „სერიოზული და გარდაუვალი საფრთხე არსებობს, რაც, როგორც უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღებას, ისე მოსახლეობისთვის კონკრეტული რეკომენდაციების გაცემას მოითხოვს“. ხელისუფლება ბრიუსელის მოსახლეობას მოუწოდებს, მოერიდოს თავშეყრის ადგილებს — კონცერტებს, სპორტულ ღონისძიებებს, აეროპორტს, მატარებლის სადგურებს; ასევე, შეასრულონ უსაფრთხოების მოთხოვნები. ქვეყნის დანარჩენი ნაწილი ტერორისტული საფრთხის იმავე დონეზე რჩება.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაშინგტონმა აურზაური ატეხა რუსეთის მიმართ უკრაინის სამმილიარდიანი ვალის თაობაზე, რომელიც კიევმა მოსკოვს მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა გადაუხადოს. ვაშინგტონი, ერთი მხრივ, კიევისგან მოითხოვს, არ გადაიხადოს ვალი; მეორე მხრივ კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდს სთხოვს, არ ჩათვალოს ეს გადაუხდელობა დეფოლტად და განაგრძოს უკრაინის დაფინანსება იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც მიმდინარე წლის მარტში მოეწერა ხელი.**

# G-20-ის სამიტი და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბედი

**დიდი ოცეულის ყოველწლიურ შეხვედრაზე დღის წესრიგში იყო, სულ მცირე, ათი მთავარი თემა, რომლებსაც განიხილავდნენ ფორუმის სხდომებზეც და კულუარებშიც, ორმხრივ ან ჯგუფურ შეხვედრებზე.**
**აი ეს თემები: ტერორიზმთან ბრძოლა; მსოფლიო ეკონომიკა (ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელების პრობლემა); საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმა; საგადასახადო ბაზის ბუნდოვანებისა და გადასახადების გადახდისთვის თავის არიდების წინააღმდეგ საბრძოლველი ზომები; მიგრაციული კრიზისი; კლიმატის გლობალური ცვლილებები; ტრანსწყნარი ოკეანისა და ტრანსატლანტიკური პარტნიორობის შექმნით გაჩენილი პრობლემები; „თურქული ნაკადის" მშენებლობის პრობლემები; უკრაინის ვალი რუსეთის მიმართ და რუსულ-იაპონური ურთიერთობა (მეორე მსოფლიო ომის შედეგებზე ორ ქვეყანას შორის მშვიდობიანი ხელშეკრულების ხელმოწერის პერსპექტივები).**




G-20-ის სამიტს ზოგიერთი საკმაოდ მკაცრად აფასებს და ამ შეხვედრებს „ლაყბობას" უწოდებს. მართლაც, სამიტის მონაწილეებმა რა კონკრეტული გამოსავალი შეიძლება მოძებნონ მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელების ან მსოფლიო კლიმატის ცვლილების გამო? გამოდის, რომ სამიტის დღის წესრიგში იდგა ერთადერთი საკითხი, რომელიც მომზადებული იყო და შეიძლებოდა 24 საათის განმავლობაში გადაჭრილიყო. საუბარია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმაზე.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმა დღის წესრიგში იდგა ოცეულის წინა სამიტებზეც, მაგრამ რეფორმირება არ ხდება. პრინციპში, ამგვარი საკითხები დიდი ოცეულის დღის წესრიგში არც უნდა შეჰქონდეთ. ეს არის მიმდინარე სამუშაო საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს ისეთ დონეზე, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო ან, უკიდურეს შემთხვევაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიური სამიტები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ საკითხი ხუთი წლის წინათ გადაწყვიტა.**

იქ 2010 წლის ბოლოს მიიღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების გადაწყვეტილება (საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტების მე-14 კორექტირება). ეს ჩვეულებრივი რუტინაა: ყოველ ხუთ წელიწადში ფონდი ახორციელებს ამ საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციაში მონაწილე ქვეყნების კაპიტალსა და ხმებში კვოტების (წილების) კორექტირებას. 2010 წლის კორექტირებას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებდა: გათვალისწინებული იყო, რომ კვოტების გადახედვასთან ერთად ფონდის კაპიტალი ორჯერ უნდა გაზრდილიყო, ანუ მონაწილე ქვეყნები საკუთარ თავზე იღებდნენ ვალდებულებას, კაპიტალში დამატებითი შენატანები განეხორციელებინათ და ამ შენატანების სიდიდე უნდა მიბმოდა კვოტების ახალ მნიშვნელობებს.

**დიდი ხანია, ქვეყნების უმეტესობამ მოახდინა ფონდის 2010 წლის გადაწყვეტილების რატიფიცირება (უმეტესობამ, მაგრამ არა ყველამ), როგორც ამას მოითხოვს წესდება, რატიფიცირება არ განუხორციელებია ამერიკის შეერთებულ შტატებს — ფონდის მთავარ აქციონერს.**

ვაშინგტონი საერთაშორისო სავალუტო ფონდს მუდამ განიხილავდა, როგორც ამერიკის ხაზინის შვილობილ კომპანიას. **მართალია, ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის პერიოდიდან ფონდის კაპიტალსა და ხმებში აშშ-ის წილი მუდმივად მცირდებოდა, მაგრამ ეს წილი დღესაც აღემატება 17%-ს. ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ვეტო დაედოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას (ბლოკირების პაკეტი 15%-ს შეადგენს).**

რისი ეშინია ვაშინგტონს? ექსპერტების შეფასებით, მე-14 კორექტირების შემდეგაც აშშ-ის წილი 15%-ზე ნაკლები არ იქნება. ვაშინგტონი შიშობს, რომ მე-14 კორექტირების შემთხვევაში ასეთ პაკეტს ბრიჩსის ქვეყნებიც მიიღებენ. დღეისათვის აღნიშნული ჯგუფის წილი ფონდის ხმებსა და კაპიტალში მხოლოდ 11,5%-ს შეადგენს. ეს არაპროპორციულად დაბალი წილია იმის გათვალისწინებით, რომ ბრიჩსის შემადგენელ ხუთ სახელმწიფოზე მსოფლიოს საერთო შიგა პროდუქტის 31% მოდის.

ახლა რუსეთმა აქტიურად დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდში სხვა ქვეყნებთან, პირველ რიგში კი, ბრიჩსის წევრ ქვეყნებთან კოორდინირება. ოცეულის სამიტის წინ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორმა რუსეთის ფედერაციიდან — ალექსეი მოჟინმა განაცხადა, რომ ბრიჩსის ფარგლებში კოორდინაცია უკვე ახდენს გავლენას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველ სისტემაზე: „რამდენიმე წლის წინათ ნებისმიერი წინადადების შემდეგ ჩემთან მოდიოდა ათი ადამიანი და მიხსნიდა, რატომ არ ვარ მართალი. სხვათა შორის, იმიტომაც, რომ შვიდეულის ქვეყნებმა საკუთარი პოზიციის აქტიური კოორდინირება მოახდინეს. ახლა ჩვენც ვახორციელებთ კოორდინირებას, ამიტომ მსგავსი რამ აღარ ხდება". ბრიჩსის ქვეყნების კოორდინაცია ახალ ხარისხში გადავა მას შემდეგ, რაც ეს ჯგუფი 15%-იან ნიშნულს დაძლევს.

**ვაშინგტონს მშვენივრად ესმის, რომ, თუკი ამოქმედდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტების მე-14 კორექტივი, დღეს მსოფლიო სხვაგვარი იქნებოდა — არა ისეთი, როგორიც მას სურს. მაგალითად, დიდი ალბათობით, 2015 წლის მარტში საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო დადებითად არ გადაწყვეტდა უკრაინისთვის 17.5 მილიარდი დოლარის ოდენობით კრედიტის გაცემის საკითხს. აგრეთვე, არ დაიდგმებოდა სპექტაკლი სახელწოდებით „საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესების სასწრაფო გადაკეთება", რომლის ინიცირებაც ვაშინგტონმა მოახდინა, რუსეთის მიმართ უკრაინის სამმილიარდიანი ვალიდან გამომდინარე, უკრაინის შესაძლო დეფოლტის გამო.**

...საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების საკითხში ამერიკის პოზიციაზე დიდი ოცეულის სამიტის მონაწილეთა უმეტესობის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. აღშფოთებას არ მალავდა არც **კრისტინ ლეგარდი,** ფონდის აღმასრულებელი დირექტორი. სამიტის ფარგლებში იგი შეხვდა რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს.** ნათელი იყო, რომ ის პუტინისაგან ელოდა მხარდაჭერას აშშ-ის მხრიდან ფონდზე ზეწოლისას. პუტინმა მორალურად მხარი დაუჭირა მას: „დიდი ხანია, ვთანამშრომლობთ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სხვადასხვა ხარისხით და დაინტერესებულნი ვართ ამ მუშაობის გაგრძელებაზე, ვიმედოვნებთ ჩვენი ურთიერთობების სტაბილურობას". ლეგარდმა გულახდილად აღიარა პრეზიდენტის წინაშე, რომ იზიარებს შეუწყნარებლობასა და გაღიზიანებას, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის რეფორმირების, მათ შორის, კვოტების რეფორმირების გადაწყვეტილების შეუსრულებლობასთან.

აღსანიშნავია განცხადება, რომელიც ლეგარდმა პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრისას გააკეთა: „ამ რეფორმის ცხოვრებაში განხორციელების თვალსაზრისით, სავარაუდოდ, ეს მომდევნო ორ თვეში მოხდება თუ არა და ამ საკითხს კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება". ეს ძალზე საინტერესო შენიშვნაა. რატომ ახსენა ლეგარდმა მომდევნო ორი თვე? 2015 წლის 31 დეკემბერს კვოტების მე-14 კორექტირების მოქმედების ვადა იწურება, კორექტირებისა, რომელიც აქამდე არ შესულა ძალაში. 2016 წლის 1 იანვრიდან ახალი სიტუაცია შეიქმნება. საჭირო გახდება მე-14 კორექტირებების გამოტოვება და მე-15-ის მომზადების დაწყება. ამას კი ნამდვილად ბევრი დრო დასჭირდება.

მდგომარეობა დამატებით იმითაც იძაბება, რომ მე-15 კორექტირების მზადების დაწყებისას საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებს უნდა შეემუშავებინათ და მოემზადებინათ კვოტების გათვლის ახალი ფორმულა. ძველი ფორმულა, რომელიც დღემდე მოქმედებს, რთულია და აშკარად ასახავს „ოქროს მილიარდის" ქვეყნების ინტერესებს (ის მოიცავს რეიტინგულ ანგარიშებს, რომლებსაც დასავლეთის ინსტიტუტები ამზადებენ). ახალი ფორმულა, როგორც წინასწარ შეთანხმდნენ ჯერ კიდევ 2010 წელს, ბაზირებული იქნება ორ უბრალო და გასაგებ მაჩვენებელზე — საერთო შიგა პროდუქტსა და ოქროს სავალუტო რეზერვებზე. მსოფლიო ეკონომიკის პერიფერიის ქვეყნები, მათ შორის, ბრიჩსის ქვეყნებიც, ახალი ფორმულით მოგებული იქნებიან. ახალი ფორმულის მიღება დამატებით დაბრკოლებად იქცევა ▶

მოკლედ

## ANONYMOUS-მა «ისლამურ სახელმწიფოს» ათასობით ანგარიში დაუბლოკა

**ჰაკერების ჯგუფმა Anonymous-მა „ისლამური სახელმწიფოს" „ტვიტერის" ათასობით ანგარიში გაანადგურა.**

ჰაკერებმა „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ომის გამოცხადებიდან ერთ დღეში 6 ათასზე მეტი იუზერი დაბლოკეს. Anonymous-მა „ისლამურ სახელმწიფოს" ომი პარიზში განხორციელებული ტერაქტების სერიის შემდეგ გამოუცხადა. „ისლამური სახელმწიფოს" ერთ-ერთი ჯგუფი „ისლამური კიბერჯარი" კი Anonymous-ის ჰაკერებს იდიოტებს უწოდებს. როგორც გამოცემა newsweek-ი წერს, ტერორისტები ვერ ხვდებიან, რის მიღწევა სურთ ჰაკერებს Twitter-ისა და სხვა სოციალური ქსელის ანგარიშების გაუქმებით, მაშინ, როდესაც ახალი ანგარიშების შექმნა პრობლემას არ არის.



# ევროპისთვის მიგრანტების შესევით ამერიკელები ევროკავშირის დესტაბილიზებას, მისი კონკურენტუნარიანობის დაქვეითებასა და აშშ-ზე დამოკიდებულების გაძლიერებას ცდილობენ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირებისას.

**ზოგიერთ ქვეყანაში ვარაუდობენ, რომ 2010 წლის გადაწყვეტილება აშშ-ისთვის ძალზე რთული აღმოჩნდა, ამიტომ მიიჩნევენ, რომ ის ორ ნაწილად უნდა გაიყოს, რათა ძია სემს მისი გადაყლაპვა გაუადვილდეს. პირველი ნაწილი უნდა იყოს კვოტების კორექტირება, ხოლო მეორე — დამატებითი შენატანები ფონდის კაპიტალის გასაორმაგებლად. მაგრამ ქვეყნების უმეტესობა არ ეთანხმება 2010 წლის გადაწყვეტილების გადახედვას და მის ორ ნაწილად გაყოფას.** საქმე ის არის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უკვე რატიფიცირებულია ქვეყნების პარლამენტების მიერ. მისი ხელახალი ფორმირება საბოლოოდ აბლანდავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების პროცესს. **სწორედ ეს სურს ძია სემს. მას უმოქმედო ფონდი ურჩევნია ფონდს, რომელიც გაატარებს არა ვაშინგტონის, არამედ მსოფლიო ქვეყნების უმეტესობის ინტერესების შესაბამის პოლიტიკას.**

ცოტა ხნის წინათ **ვაშინგტონმა აურზაური ატეხა რუსეთის მიმართ უკრაინის სამმილიარდიანი ვალის თაობაზე, რომელიც კიევმა მოსკოვს მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა გადაუხადოს. ვაშინგტონი, ერთი მხრივ, კიევისგან მოითხოვს, არ გადაიხადოს ვალი; მეორე მხრივ კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდს თხოვს, არ ჩათვალოს ეს გადაუხდელობა დეფოლტად და განაგრძოს უკრაინის დაფინანსება იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც მიმდინარე წლის მარტში მოეწერა ხელი.**

**შეიქმნა სიტუაცია, რომელშიც ყველა წაგებული დარჩება: უკრაინაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდიც, ბრიტანეთიც (სადაც დაიწყება რუსეთსა და უკრაინას შორის სასამართლო განხილვა), სხვა ევროპული ქვეყნებიც (რომლებიც ჩაითრიეს ფონდის წესების არალეგიტიმურ გადაკეთებაში), მთელი მსოფლიო (დაიბლოკება საერთაშორისო კრედიტირების ნორმალური პროცესი). ვაშინგტონმა გადაწყვიტა, ყველას დაუდოს ნაღმი სახელწოდებით „უკრაინის ვალი რუსეთის მიმართ".** სიტუაცია თითქმის გამოუვალი ჩანდა...

სამმილიარდიანი ვალი მოსკოვისთვის კოზირად იქცა და თურქეთში გამართულ სამიტზე პუტინმა გადაწყვიტა, ეს კოზირი მსოფლიო პოლიტიკის მაგიდაზე დაეგდო, რაც ნამდვილ სენსაციად იქცა. მან განაცხადა, რომ მზადაა, უკრაინის ვალის რესტრუქტურიზაციას დათანხმდეს: **„ჩვენ შევთავაზეთ არა მხოლოდ რესტრუქტურიზაცია, არამედ უკეთესი პირობები, ვიდრე საერთაშორისო სავალუტო ფონდი ითხოვდა. ჩვენ გვთხოვდნენ, გადახდა შემდეგი წლისთვის გადაგვედო, მაგრამ მე ვთქვი, რომ მზად ვართ, უფრო ღრმა რესტრუქტურიზაციისთვის. წელს არ მივიღებთ არანაირ ფულს, მომდევნო წელს მივიღებთ მილიარდს, 2017 წელს — კიდევ მილიარდს და 2018 წელს — კიდევ მილიარდს".**

პუტინმა ასევე აღნიშნა, რომ მოსკოვი იმედოვნებს, აშშ, ევროკავშირი და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები ამ შემთხვევაში გასცემენ გარანტიებს უკრაინის მიერ რუსეთისთვის სამი მილიარდი დოლარის ვალის გასტუმრებაზე. „ჩვენ ამგვარი გარანტიები ვითხოვეთ ან აშშ-ის ხელისუფლებისგან, ან ევროკავშირისგან, ან ერთ-ერთი სოლიდური საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისგან, — თქვა რუსეთის ლიდერმა. — ამასთანავე, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული საკითხი მიმდინარე წლის დეკემბრის დასაწყისამდე გადაწყვეტილი იქნება".

ამ სიტყვების შემდეგ სამიტის მრავალმა მონაწილემ, ალბათ, ღრმად ჩაისუნთქა. განსაკუთრებულად მადლიერი, სავარაუდოდ, კრისტინ ლეგარდი უნდა იყოს. მას ამ ვალის ისტორიის გამო ვაშინგტონმა სპეციალურად უბრძანა საერთაშორისო სავალუტო ფონდის თამაშის წესების შეცვლა. **გარკვეული მნიშვნელობით პუტინმა საერთაშორისო სავალუტო ფონდი გადაარჩინა და ეს მართლაც კარგი საჩუქარია ფონდისთვის, რომელსაც 2015 წლის დეკემბერში 70 წლის იუბილე აქვს.**

თუკი დავუბრუნდებით ლეგარდის სიტყვებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირება უნდა მოხდეს ან ორი თვის განმავლობაში, ან რამდენიმე წელიწადში, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ვარიანტი ძალზე საეჭვოა. ფონდს არ აქვს რამდენიმე წელი რყევებისთვის. მსოფლიო ფინანსური კრიზისის მეორე ტალღა ახლოვდება, ფონდი კი დღევანდელი სახით მზად არ არის ამ კრიზისთან საბრძოლველად, ამიტომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმა ან ორ თვეში განხორციელდება, ან — აღარასოდეს, ფონდი, უბრალოდ, აღესრულება.

fondsk.ru

# გერმანიაში მოქალაქეებს მუნიციპალური სახლებიდან აძევებენ, რათა იქ დევნილები შეასახლონ

**გერმანიაში წარმოუდგენელი და ამაზრზენი მოვლენები ვითარდება. ქვეყანაში გახშირდა შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტები მოქალაქეებს მუნიციპალური სახლებიდან აძევებენ, რათა იქ დევნილები შეასახლონ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ევროკავშირის უმდიდრეს ქვეყანაში, რომელსაც მძლავრი სოციალური პროგრამები აქვს, მსგავსი რამ ხდება.**



**ნისენების** ოჯახი კიოლნთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქის მუნიციპალურ სახლში ათ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა, ახლა კი იქიდან აგდებენ. პენსიონერებმა — ბერნდმა და ანიტამ, რომლებიც ამ სახლში შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობენ, მიიღეს წერილი, რომელშიც საცხოვრებელი ფართის გათავისუფლებას სთხოვენ და „საუკეთესო სურვილებით" ემშვიდობებიან.

„ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში დევნილების დაბინავების მიზნით დამქირავებელთა გამოსახლება ექვს თუ შვიდ ქალაქში მოხდა. იურიდიული თვალსაზრისით, ეს საეჭვო საქმეა, პოლიტიკური კუთხით კი — სისულელე. როგორც წესი, თუკი ადამიანი დროულად იხდის ქირას, მისი გამოსახლება არ შეიძლება. ხელისუფლება იყენებს უფლებას, რომელიც გულისხმობს, რომ საცხოვრებელი ფართობი სჭირდება თვითონ მფლობელს. მოცემულ შემთხვევაში კი ეს ასე ნამდვილად არ არის", — ამბობს გერმანიის დამქირავებელთა ასოციაციის წარმომადგენელი **ულრიხ როპერცი.**

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახლები, რომლებშიც დევნილების შესახლებას აპირებენ, ხშირად არ არის სათანადო ინფრასტრუქტურის. „რატომ უნდა დაასახლონ ისინი აქ? აქ არც მაღაზიაა, არც მატარებლები დადიან, არც ავტობუსები, საფოსტო განყოფილებაც კი არ არის", — ამბობს გაოცებული ბერნდ ნისენი.

საყოველთაოდ ცნობილი შეიქნა კიდევ ერთი ამბავი: **გამოყრუებულ სოფელში, სადაც სულ ასიოდე გერმანელი ცხოვრობს და მათი უმეტესობა მოხუცია, 700 მიგრანტი ჩაასახლეს. სავსებით ნათელია, რომ ამ გადაკარგულში დევნილები ვერც სამსახურს იშოვიან, ვერც სამედიცინო ან სოციალურ დახმარებას მიიღებენ.**



თუნდაც გავიხსენოთ დევნილების შესახლება ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში.

ამგვარი შემთხვევა ძალიან ბევრია. **რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელოვნურად და შეგნებულად იქმნება მდგომარეობა, რომელშიც მიგრანტებიცა და მათი მასპინძლებიც არაკომფორტულად იგრძნობენ თავს. ეს კი გარდაუვალ და გრანდიოზულ კონფლიქტებს წარმოქმნის, ანუ ბებერ ევროპას ნაღმებს უდებენ — ფორმირდება კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც მისი სახის რადიკალურად შეცვლას შეძლებს.**

**თუკი მოცემული პროცესის ავტორებზე ყველაფერი მეტ-ნაკლებად გასაგებია (არსებობს მრავალი მტკიცებულება, რომ მასობრივი გადასახლება ამერიკული არაკომერციული ორგანიზაციების მიერაა ორგანიზებული), მისი მიზნები ბუნდოვანია.**

განიხილება რამდენიმე ვარიანტი. ერთ-ერთია მოსახლეობის „ჩანაცვლება", ანუ გლობალიზაციის პროექტებისთვის ხელის შემშლელი ევროპის ტრადიციული კულტურული სივრცის, ნაციონალური თავისებურებების გაზავება, განადგურება. ხომ ნათელია, რომ მოსახლეობა, რომელსაც არ ექნება ტრადიციები, ზნეობრივი და რელიგიური ჩარჩოები და ნაციონალური იდენტობა, გადაიქცევა ბიომასად, ეს კი მოსახერხებელია სხვადასხვა სოციალური ექსპერიმენტის ჩასატარებლად.

მეორე ვერსიით, **ხელოვნური კონფლიქტური სიტუაცია ევროპაში პოლიტიკური არენის პირველ პლანზე ულტრამემარჯვენე მარგინალების წამოსაწევად და ლიბერალური კონტინენტის ერთიან სამხედრო ბანაკად გადაქცევისთვის იქმნება.**

დასასრულ, **ევროპისთვის მიგრანტების შესევით ამერიკელები ევროკავშირის დესტაბილიზებას, მისი კონკურენტუნარიანობის დაქვეითებასა და აშშ-ზე დამოკიდებულების გაძლიერებას ცდილობენ.**

ძნელი სათქმელია, ამ სამი ვარიანტიდან რომელი შეესაბამება სინამდვილეს (შესაძლოა, სამივე), მაგრამ ის, რომ ამ სამიდან არც ერთი არაფერს მოუტანს ევროპელებს, უსიამოვნებების გარდა, ნათელია. **ზბიგნევ ბჟეზინსკის ცნობილი ფორმულირება „ახალი მსოფლიო წესრიგი ჩვენ მიერ იქმნება რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთის ხარჯზე და რუსეთის ნანგრევებზე" მნიშვნელოვნად გაფართოვდა — ახლა ეს წესრიგი ფორმულირდება ევროპის ხარჯზე და, როგორც ჩანს, მის ნანგრევებზე.**

ამრიგად, ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ საფუძვლიანად გადაიხედოს „ოქროს მილიარდის" კონცეფცია და ამ მილიარდიდან ევროპული ნახევარი გამოირიცხოს.

**რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელოვნურად და შეგნებულად იქმნება მდგომარეობა, რომელშიც მიგრანტებიცა და მათი მასპინძლებიც არაკომფორტულად იგრძნობენ თავს. ეს კი გარდაუვალ და გრანდიოზულ კონფლიქტებს წარმოქმნის, ანუ ბებერ ევროპას ნაღმებს უდებენ — ფორმირდება კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც მისი სახის რადიკალურად შეცვლას შეძლებს**

cont.ws

მოკლედ

## აშშ «ისლამური სახელმწიფოს» სანავთობო ინფრასტრუქტურის განადგურებას იწყებს

**ამერიკის შეერთებული შტატები „ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლის ტაქტიკას ცვლის და ამჟამად მისი სანავთობო ინფრასტრუქტურის განადგურებას იწყებს.** „მზად ვართ, ჩვენი მონაწილეობის წესები შევცვალოთ. ჩვენ შევცვალეთ ტაქტიკა, როგორც ეს ბენზინმზიდებთან დაკავშირებით იყო", — განაცხადა ამერიკის თავდაცვის მინისტრმა **ეშტონ კარტერმა.** მისი თქმით, ამერიკა თავს არიდებდა ასეთ ობიექტებზე დარტყმებს იმის გამო, რომ ამ დარგში მშვიდობიანი მოსახლეობა იყო დასაქმებული. პარიზის ტერაქტების შემდეგ კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეცვალა გადაწყვეტილება, რადგან ამ დარგიდან მიღებულ მოგებას ტერორისტები იღებენ.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რესპუბლიკელებს 2016 წლის არჩევნებისთვის სჭირდებათ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ყოფნა, თორემ მერე, „თავისუფალ დემოკრატებსა“ და კანგამოცვლილ „ნაცებს“ რომ შეეკვრებიან, ეჭვი არავის ეპარება — ამაზე მეტყველებს განვლილი სამი წლის განმავლობაში მათი საქმიანობა პარლამენტში და პარლამენტს გარეთ.**

# სირცხვილი თქვენ! ბევრი შეცდომა შეიძლება მიეტევოს ადამიანს, ბატონო ბიძინა, მაგრამ ინაშვილის მიმართ თქვენ მიერ გამოჩენილი უმადურობა ძნელი საპატიებელია!

**უმადურობა ყველაზე მეტად გვტკენს გულს, განსაკუთრებით — მათგან, ვისგანაც არ ველით, ვისაც თვითონ უამრავი მადლი აქვს „დადებული ქვაზე“, ამ გამოთქმის გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობითაც — ასობით ისტორიული ძეგლების ქვებზე! ძნელი გამოსაცნობი არ არის, ვინც ვიგულისხმე, ასეთი კაცი ერთია საქართველოში (უშურველად აკეთებდა იგი ამას თუ შორს გამიზნული მოსაზრებებით, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს). კაცმა შეიძლება შეცდომა დაუშვა ცხოვრებაში, თანაც არაერთი, გაბრაზებულ გულზე უკადრებელიც წამოგცდეს (მალევე ინანო და ბოდიშიც მოიხადო) და მაინც კაცად დარჩე, მაგრამ, თუ უმადური ხარ ბუნებით (შეძენილი უმადურობა ძნელი წარმოსადგენია), ვეჭვობ, რამე გეშველოს.**



ორი 2-3%-იანი პარტია ამოიყენა ივანიშვილმა მხარში — **უსუფაშვილის რესპუბლიკელები და ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“** (ვისი რჩევით თუ მითითებით, ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა) და ერთი პიროვნებაც შეარჩია საპრეზიდენტოდ — **მარგველაშვილი!** ამ სამიდან ორმა — ალასანიამ და მარგველაშვილმა — საქართველოს მოსახლეობისთვის შანტაჟით თავსმოხვეულმა პრეზიდენტმა (ყველას კარგად გვახსოვს ივანიშვილის მუქარა, — თუ მარგველაშვილს არ აირჩევთ პრეზიდენტად, თანაც ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, კაპიკს არ დაგახარჯავთ და, საერთოდ, გაგეცლებით), შეიძლება ითქვას, უღალატეს ივანიშვილს. უსუფაშვილიც როდის უგანებს, არავინ იცის, ის მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდება — **რესპუბლიკელებს 2016 წლის არჩევნებისთვის სჭირდებათ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ყოფნა, თორემ მერე, „თავისუფალ დემოკრატებსა“ და კანგამოცვლილ „ნაცებს“ რომ შეეკვრებიან, ეჭვი არავის ეპარება. ამაზე მეტყველებს განვლილი სამი წლის განმავლობაში მათი საქმიანობა პარლამენტში და პარლამენტს გარეთ.**

ამ სამი წლის განმავლობაში ივანიშვილის მიერ დაშვებულ სხვა შეცდომებს თავი რომ დავანებოთ, აშკარად გამოჩნდა, რომ პოლიტიკაში კადრების შერჩევა ბიზნეს-პარტნიორების შერჩევა არ ყოფილა. ჰოდა, **როცა ამ გამოუსწორებელ შეცდომებს აღიარებ, როცა პოლიტიკიდან საზოგადოებრივ სექტორში გადაინაცვლებ და №1 პოლიტიკოსი №1 მოქალაქე ხდები, ვინ გრჯის, ისევ ვიღაცას, შენთვის უცნობ ადამიანს, თანაც რესპუბლიკელს (რომელ პარტიასაც მოსახლეობაში 2-3%-იანი მხარდაჭერა აქვს მხოლოდ) რომ უწევ რეკომენდაციას (აბა, ვიცნობდი საგარეჯოს დეპუტატობის კანდიდატს და ერთი ფუთი მარილი მაქვს მასთან ნაჭამიო, ხომ ვერ იტყვის)? თუ, ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, აქაც გარედან მიღებულ „რეკომენდაციებს“ დაემორჩილეთ, ბატონო ბიძინა, და, რასაც მაკკეინი ლაპარაკობს („ვიკილიკსის“ მიერ გამოქვეყნებულ საუბარში სააკაშვილთან), იმას შეუშინდით?** ასეთ „პარტნიორულ რეკომენდაციებს“ ოკეანის გაღმიდან და მათზე ჩვენი დეპუტატ-მინისტრების „ვაჟკაცურ“ რეაგირებას, ანუ უსიტყვოდ აღსრულებას, დიდი ხანია, შეჩვეულები ვართ და არაფერი გაგვიკვირდებოდა. გავიხსენოთ, თუნდაც მხოლოდ ერთი მაგალითი — კახურად კარგად ნაგინები ქალი თავდაცვის მინისტრად რომ დაანიშნინა მიმავალმა ამერიკის ელჩმა მაგინებელ პრემიერმინისტრს ყოფილი პრემიერმინისტრის შუამავლობით, რომლებსაც (არც ერთს და არც — მეორეს) ფიქრადაც არ ჰქონიათ მსგავსი რამ წინა დღეს. როგორია, ჰა?! კი, ნამდვილად ძალიან „მაგარია“ და „თავის მოსაწონებელიც“ (ანუ ჩვენი „დამოუკიდებლობის“ მაჩვენებელი), მაგრამ **იმას, რაც თქვენ იკადრეთ, ბატონო ბიძინა, „მაესტროში“, მაინც არავინ მოელოდა.**

**როცა ამ გამოუსწორებელ შეცდომებს აღიარებ, როცა პოლიტიკიდან საზოგადოებრივ სექტორში გადაინაცვლებ და №1 პოლიტიკოსი №1 მოქალაქე ხდები, ვინ გრჯის, ისევ ვიღაცას, შენთვის უცნობ ადამიანს, თანაც რესპუბლიკელს რომ უწევ რეკომენდაციას, თუ, ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, აქაც გარედან მიღებულ «რეკომენდაციებს» დაემორჩილეთ, ბატონო ბიძინა, და, რასაც მაკკეინი ლაპარაკობს («ვიკილიკსის» მიერ გამოქვეყნებულ საუბარში სააკაშვილთან), იმას შეუშინდით?**

ისე მოიქეცით, თითქოს, ხეირიანად არც იცნობდით **ირმა ინაშვილს**, თითქოს არც კი იცოდით, ვინ იყო და რას წარმოადგენდა, რა დამსახურება ჰქონდა მას ქვეყნის წინაშე (აფხაზეთში თუ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში) და რა წვლილი მიუძღოდა პირადად თქვენს გამარჯვებაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ყველასათვის მოულოდნელად, **ადექით და ირმა ინაშვილი ერთ რიგით ჟურნალისტად მოიხსენიეთ, რომლისთვისაც ოდესღაც(?!) ერთი ინტერვიუ მიგიციათ.**

არადა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნებისთვის“ ხმების 40% რომ იყო განსაზღვრული თქვენი „რეკომენდატორების“ მიერ (რაზედაც თქვენც ყაბულს იყავით), სწორედ „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერის — ირმა ინაშვილის თავგანწირვის ფასად მოპოვებული ციხის კადრების მსოფლიოში გასაჯაროებითა და ამის გამო ყალყზე შემდგარი, უკიდურესად აღშფოთებული ქართველი ხალხის წყალობით, თქვენი ოკეანისგაღმელი „მფარველი მარჩენალები“ იძულებულნი შეიქნენ, გადაწყვეტილება შეეცვალათ და 40-ის ნაცვლად 60% ებოძებინათ, გამარჯვებულად ეღიარებინეთ. რა თქმა უნდა, ინაშვილს მარტოდმარტოს არ ჩაუდენია გმირობა, ის ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე ადამიანთაგან, რომლებმაც სასწორზე დადეს საკუთარი თავისა და ოჯახის თავისუფლება და სიცოცხლეც. მაგრამ **ირმა ინაშვილი ამ თავგადადებული ქართველი პატრიოტების გამაერთიანებელი სახეა და ასეთად შევა იგი საქართველოს უახლეს ისტორიაში.**

**აი, ასეთი ადამიანის ღვაწლის დავიწყება და მის წინააღმდეგ ხელისუფლების დარაზმვა** (გავიხსენოთ „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ საარჩევნო კამპანიაში ჩართული მთავარი ფიგურები: მინისტრები — თავდაცვის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, სასჯელაღსრულების, ენერგეტიკის; მოქმედი და ყოფილი პოლიციის უფროსები, გამგებლები და კიდევ ბევრი სხვა), **ვფიქრობ, უმადურობაზე მეტია!** და რა მივიღეთ: მიუხედავად დეპუტატ-მინისტრების ძალისხმევისა და მთელი რიგი გაყალბებებისა, **ირმა ინაშვილმა მაინც გაიმარჯვა ქართულ სოფლებში, მისმა კონკურენტმა კი — აზერბაიჯანელებით დასახლებულ პუნქტებში და თავდაცვის მინისტრის დაქვემდებარებულ, მისი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ, სპეციალურად შექმნილ უბანზე.** როგორ არ გაგვახსენდეს ტყუპისცალივით მსგავსი მოვლენა — 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც სააკაშვილი თბილისსა და ბევრი სხვა რაიონში დამარცხდა და თავს იმით იმშვიდებდა, მარნეულ-გარდაბან-ახალქალაქში, ანუ აზერბაიჯანელებითა და სომხებით დასახლებულ რეგიონებში გავიმარჯვეო. ამის შემდეგ ოდნავი ღირსება მაინც თუ შეგრჩენია კაცს, როგორ არ უნდა შეგრცხვეს და თვალებში როგორ უნდა შეხედო მშობელ ერს?! **ეს სამწუხარო ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლება სომხებისა და აზერბაიჯანელების (რომლებიც ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად, როგორც წესი, ყოველთვის სახელისუფლო კანდიდატებს უჭერენ ხოლმე მხარს) ხმების იმედად არის, იმის მაჩვენებელია, რომ გადაშენებასთან ერთად გადაჯიშების ზღვარზეც ვართ. და, თუ კვლავაც ისეთი რეკომენდაციებითა და რეფორმებით გავაგრძელებთ ცხოვრებას, როგორებითაც ბოლო 20-25 წელია, ვცხოვრობთ, დასავლეთის მითითებებით ავირჩევთ დეპუტატებს, დავნიშნავთ მინისტრებს, და დასაჭერი თუ არდასაჭერი ხალხის სიასაც ისინი მოგვაწოდონ, კიდევ უფრო უარესს უნდა ველოდოთ — ეკონო-** ▶

მსოფლიო



## ნიგერიაში აფეთქებას 30-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა

**ნიგერიაში, ქალაქ იოლაში აფეთქების შედეგად 30-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.** როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, აფეთქება ბაზრის ტერიტორიაზე დღის ბოლოს მოხდა, როდესაც მოვაჭრეები მაღაზიებს კეტავდნენ. ნიგერიის პრეზიდენტი მუჰამადუ ბუჰარი იოლაში ჩავიდა და განაცხადა, რომ ისლამისტური სამხედრო მოძრაობა „ბოკო ჰარამი“ მალე განადგურდება. იოლა წელს უკვე ორჯერ დაიბომბა.



# სამწუხარო ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლება სომხებისა და აზერბაიჯანელების (რომლებიც ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად, როგორც წესი, ყოველთვის სახელისუფლო კანდიდატებს უჭერენ ხოლმე მხარს) ხმების იმედად არის, იმის მაჩვენებელია, რომ გადაშენებასთან ერთად გადაჯიშების ზღვარზეც ვართ.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ მიკურად, პოლიტიკურად და ზნეობრივადაც.**

**როგორ არ დაგწყდება გული, როგორ არ შეგშურდება ქართველ კაცს მეზობლების, როცა უყურებ აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების კაცურ რეაგირებას მათი ქვეყნების საშინაო საქმეებში დასავლეთის ჩარევის ყოველ მცდელობაზე, საქართველოს ხელისუფლებაში კი პრეზიდენტი ან პრემიერი კი არა, კაცი არ ჩანს, რომელიც საკადრის პასუხს გასცემს ამერიკისა და ევროკავშირის დაუფარავ და უხეშ ჩარევას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, თანაც ყველა სფეროში** — არჩევნები იქნება ეს, კანონების მიღება, მთავრობის შემადგენლობა თუ სასამართლო გადაწყვეტილებები; ოლიმპიურ თამაშებზე ხელმძღვანელი დელეგაციის შემადგენლობის განსაზღვრა, მეზობელ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება თუ ომის წამოწყება. და თუ ვინმემ გაბედა და ხმა ამოიღო, ისე დაესევიან გრანტიჭამია ე.წ. არასამთავრობოები, თითქოს ამერიკისა და ევროკავშირის „დემოკრატ" დიპლომატ-პოლიტიკოსებს კი არ შეელახოთ ჩვენი სახელმწიფოსა და ერის ღირსება, არამედ პირიქით — ჩვენ მათი.

**ბევრი შეცდომა შეიძლება მიეტევოს ადამიანს, ბატონო ბიძინა, მაგრამ ინაშვილის მიმართ თქვენ მიერ გამოჩენილი უმადურობა ძნელი საპატიებელია!** სწორედ ეს იყო ბოლო წვეთი ეროვნულად განწყობილ ქართველებში, რომლებმაც საბოლოოდ გაქციეს ზურგი. **თითქმის მთელი ქართველი ხალხის წარმოუდგენლად დიდი სიყვარული და უპირობო ნდობა სამი წლის თავზე საბოლოოდ რომ ჩაკლა და დაასამარო, ამას მოხერხება უნდა.** ძალზე გულსატკენია ყოველივე ეს. თქვენ მაგივრად მე მრცხვენია, სირცხვილი თქვენც და თქვენ მიერ დატოვებულ სამარცხვინო ხელისუფლებასაც (და არა სანაქებოს, როგორც თქვენ თვლით), რომელსაც არ აქვს ეროვნული ღირსება და, რომელიც ამ მხრივ დიდად არ განსხვავდება დამნაშავე „ნაცმოძრაობისგან". „ხალხის რჩეულებსაც" ენა აქვთ მუცელში ჩაგდებული და სახელმწიფო ინტერესების დაცვას პოლიტიკურ ლაქიად და ენაწაჭრილ მონად (ოღონდ მაძღარ მონად) ყოფნა ურჩევნიათ — **თვალი გადაავლეთ ამ „ერის შვილების" ფოტოებს ხელისუფლებაში მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ, ერთეულების გარდა, ყველას ლამის ღილები დააწყდეს, გაშლილ სუფრასთან სახელმწიფოს მომავალზე ფიქრით ღამენათევებს.**

არის კი ამ სამარცხვინო და სავალალო მდგომარეობიდან თავის დასაღწევი გზა? რაც უნდა ბევრი ვიყვიროთ და ხალხმრავალი აქციები გავმართოთ, დღეს ეს შეუძლებელია. ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ საარჩევნო სისტემაში შევა ის არსებითი ცვლილებები, რომლებიც შვიდ პუნქტად ჩამოაყალიბა „პატრიოტთა ალიანსმა". მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტები. ესენია: **პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული მაღალი რანგის საჯარო მოხელეებისთვის რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ საარჩევნო პროცესში ჩართვის ან აგიტაცია-პროპაგანდის აკრძალვა; სავალდებულო ხმის მიცემის დაწესება; ყველა დონის საარჩევნო კომისიის პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტება; კვალიფიციური სუბიექტების თანაბრად დაფინანსება და საეთერო დროის თანაბრად განაწილება.** ამ ცვლილებების გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება სახელისუფლო კოალიციის დამარცხება არჩევნების გზით. მხოლოდ



**სირცხვილი თქვენც და თქვენ მიერ დატოვებულ სამარცხვინო ხელისუფლებას (და არა სანაქებოს, როგორც თქვენ თვლით), რომელსაც არ აქვს ეროვნული ღირსება და, რომელიც ამ მხრივ დიდად არ განსხვავდება დამნაშავე «ნაცმოძრაობისგან». «ხალხის რჩეულებსაც» ენა აქვთ მუცელში ჩაგდებული და სახელმწიფო ინტერესების დაცვას, პოლიტიკურ ლაქიად და ენაწაჭრილ მონად (ოღონდ მაძღარ მონად) ყოფნა ურჩევნიათ — თვალი გადაავლეთ ამ «ერის შვილების» ფოტოებს ხელისუფლებაში მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ, ერთეულების გარდა, ყველას ლამის ღილები დააწყდეს, გაშლილ სუფრასთან სახელმწიფოს მომავალზე ფიქრით ღამენათევებს**

ერთი, **მეექვსე პუნქტია** რაციონალურ აზრს მოკლებული, სადაც სახელმწიფო მოხელეებისთვის ცალკე უბნების ჩამოყალიბებაზეა ლაპარაკი — იმ მიზნით, რომ სპეციალურად შექმნილ უბნებზე ხმის მიცემით ამ მოხელეებს აღარ დარჩებათ საკმარისი დრო სხვა უბნებზე პროპაგანდისტულ-დაშინებითი აქტიურობისთვის. მაგრამ ამით მხოლოდ ერთი საათით თუ ჩამოვაცილებთ მათ ხმის მიცემის 12-საათიან პროცესს! ამიტომ ცალკე უბნების გახსნას აჯობებს და ეფექტიც შესანიშნავი იქნება, თუ ამ კატეგორიის ხალხს — დეპუტატებს, მინისტრებს, მერებს, პოლიციის უფროსებსა და გამგებლებს, თავიანთი მოადგილეებით, საერთოდ აეკრძალებათ საარჩევნო უბნების არეალში ყოფნა მთელი დღის განმავლობაში – ხმის მიცემის შემდეგ ისინი, უკლებლივ ყველანი, უნდა წავიდნენ თავიანთ სახლებში ან დაწესებულებებში სამსახურის ადგილის მიხედვით.

**თუ ეს პუნქტები არ შესრულდა, ანუ თუ არ განხორციელდა ძირეული ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, არჩევნების გზით გამარჯვებაზე ფიქრი თავის მოტყუება იქნება ისევე, როგორც თავის და ხალხის მოტყუებაა ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების იმედად ყოფნა — მათთან ჩივილი არჩევნების გაყალბებაზე.** რა, ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან ისინი და არ იციან, რა სახელმწიფო ტერორი მძვინვარებდა საქართველოში ცოტა ხნის წინათ და როგორი „დემოკრატიული" არჩევნები ტარდება დღესაც? მიიღეს რამე ზომა? თუ პირიქით — კიდევ უფრო გააფთრებით იცავენ თავიანთ „ძაღლისშვილს" და მის მიერ მიტაცებულ „რუსთავი 2"-ს? აქამდე არ ჩასულან მათთან ხელისუფლებით უკმაყოფილო ოპოზიციური პარტიების ლიდერები თუ რა? იქნებ, რომელიმე მიამიტი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ სწორედ ეს ბოლო, მისი მეასე (ეგებ, მეტიც ბოლო 12 წელიწადში) ჩასვლა იქნება შედეგიანი? მაგრამ მიამიტი არავინ არის ჭიპმოჭრილ პოლიტიკოსებში (მიამიტი, პატიოსანი ხალხია მხოლოდ), **მათ ძალიან კარგად იციან, რისთვისაც დარბიან წინ და უკან ამერიკაში — ყველა ცდილობს ამერიკელებისთვის თავის მოწონებას, რომ ეგებ, მომავალი არჩევნებისთვის მაინც, მათზე შეაჩერონ მოწყალე მზერა საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელმა ამერიკელმა ბოსებმა! ეს არის და ეს!**

რაც შეეხება საარჩევნო გარემოს, ფართო გაგებით, მის მოწესრიგებას ამერიკის ელჩის ერთი სიტყვა ეყოფოდა და „პატრიოტთა ალიანსის" ჩამოწერილი პუნქტები, ისევე, როგორც სხვა პარტიების ადრინდელი მოთხოვნები, ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ ამგვარი „დემოკრატიული" არჩევნები და ასეთი ხელისუფლებაც ხომ სპეციალურად ჩვენისთანა სახელმწიფოებისთვისაა მოფიქრებული.

„დემოკრატია" — „ხალხის ძალაუფლება" — მშვენიერია და მისი საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მხოლოდ ლამაზი სატყუარაა გულუბრყვილო ხალხისთვის სახელმწიფოს მმართველობის ილუზიის შესაქმნელად მოგონილი. სატყუარაა, რადგანაც ხალხის ძალაუფლება, ანუ **ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროსაც ხალხი კოლექტიურად იღებს გადაწყვეტილებებს, შეიძლება ითქვას, არასოდეს ყოფილა დედამიწაზე (თუ არ ჩავთვლით ერთადერთ სახელმწიფოს — კადაფის ლიბიას, სადაც ჭეშმარიტად კოლექტიური მმართველობა იყო, პრაქტიკულად, კომუნიზმი).**

დემოკრატია ხალხის გასაბითურებლად რომ იყო იმთავითვე მოფიქრებული, იქიდანაც ჩანს, როგორ განმარტავდა 100 წლის წინათ ამ ტერმინს ცნობილი ირლანდიელი დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე, პოპულარობით მეორე კაცი ბრიტანეთში შექსპირის შემდეგ, **ბერნარდ შოუ: „დემოკრატია — ეს არის საჰაერო ბურთი, რომელიც თქვენს თავს ზემოთ კიდია და გაიძულებს, თავაწეულმა უცქირო მას, ვიდრე ამასობაში სხვები ჯიბეებს გიცარიელებენ".**

**როგორ არ დაგწყდება გული, როგორ არ შეგშურდება ქართველ კაცს მეზობლების, როცა უყურებ აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების კაცურ რეაგირებას თავიანთი ქვეყნების საშინაო საქმეებში დასავლეთის ჩარევის ყოველ მცდელობაზე, საქართველოს ხელისუფლებაში კი პრეზიდენტი ან პრემიერი კი არა, კაცი არ ჩანს, რომელიც საკადრის პასუხს გასცემს ამერიკისა და ევროკავშირის დაუფარავ და უხეშ ჩარევას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, თანაც — ყველა სფეროში. თუ ეს პუნქტები არ შესრულდა, ანუ თუ არ განხორციელდა ძირეული ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, არჩევნების გზით გამარჯვებაზე ფიქრი თავის მოტყუება იქნება ისევე, როგორც თავის და ხალხის მოტყუებაა ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების იმედად ყოფნა — მათთან ჩივილი არჩევნების გაყალბებაზე**

მაშ, ახლა რაღა უნდა ვთქვათ თანამედროვე დემოკრატიაზე, როგორსაც ამერიკა ამყარებს ახლო აღმოსავლეთში და, გნებავთ, საქართველოსა და უკრაინაში (პრინციპში, სრულიად მსოფლიოში) თავის ჭკუაზე, ორმაგი თუ სამმაგი სტანდარტებითა და საგანგებოდ შერჩეული, უფრო კი „გამოყვანილი" „დემოკრატიის შუქურებით" სათავეში?! სახელმწიფო ტერორი, მასობრივი წამება-მკვლელობები მხოლოდ შეშფოთებას იწვევს „დემოკრატიულ" დასავლეთში, ხოლო ამერიკის „ძაღლიშვილის", იგივე „დემოკრატიის შუქურის" მიერ ყაჩაღურად მითვისებული ქონების კანონიერი მფლობელებისთვის სასამართლოს გზით დაბრუნება თავისუფალ სიტყვას უქმნის თურმე საფრთხეს. ასეთ დემოკრატიას რა უნდა ვუწოდოთ, არ ვიცი, რა უფრო მოუხდება მას – ამაშუკელისეული „დემოტრაკია" თუ რუსული „Дерьмократия"?

არჩევანიც და არადანიც მკითხველისაა!

**იაკობ ლეჟავა**

მსოფლიო



## «ისლამური სახელმწიფო» თეთრი სახლის აფეთქებით იმუქრება



**დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლები ახალ ვიდეორგოლს ავრცელებენ, რომელშიც თეთრი სახლის აფეთქებით იმუქრებიან.** „ჩვენ მივიღეთ „ისლამური სახელმწიფოს" პროპაგანდისტული ვიდეოს ფრაგმენტები, რომელშიც ორი უცნობი მამაკაცი აშშ-ს ემუქრება და აცხადებს, რომ საფრანგეთი პირველი იყო, მომდევნო ვაშინგტონი იქნება", — აცხადებს ტელეკომპანია „ფოქსნიუსი". მედიასაშუალების მიერ ნაჩვენებ ერთ-ერთ კადრში ჩანს წვერებიანი მამაკაცი ავტომატით ხელში, რომელიც აშშ-ს თეთრი სახლის აფეთქებით ემუქრება.

ნახევარდაშლის პერიოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰიროსიმა წარსულია. ადამიანები კი ისევ კვდებიან. „გალეულმა“ მათ სხეულებს ღრმა ნაიარევი-წყლულები დაამჩნია, სისხლი მოუწამლა, შთამომავლობა წაართვა. განუკურნებელი ავადმყოფები რაღაც გაუგებარი ინერციის ძალით აგრძელებდნენ ცხოვრებას. მაგრამ „თეთრი სიკვდილი“ ღამ-ღამობით უკვე დარაჯობდა მათ სუნთქვას. „თეთრი სიკვდილი“!**

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.

სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.

სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.

სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.

წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.

კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-42 (315-324)

პოლიციამ, აქამდე რომ უგულოდ ეძებდა მძარცველ ემრიჩს, საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. ემრიჩი სახიფათო გახდა. „ამერიკულ ლეგიონს“, „კოლუმბის რაინდებსა“ და „რევოლუციის ქალიშვილებსაც“ ასევე სწყუროდათ თუ ჩემი სისხლი არა, სულ მცირე, პირადი კონტაქტი მაინც შორს მიმავალი შედეგებით.

და მივხვდი, რომ სამყარო შეიძლება ციხედ გადაიქცეს.

თეორიულად მე კარგად მქონდა წარმოდგენილი, რომ თავისუფალი გადაადგილების პირობებშიც კი ადამიანი შეიძლება არ იყოს თავისუფალი. ერთხელ აირინმა კინოში შემიყვანა. ფილმს ერქვა "მე — დღევანდელი კატორღელი“. კატორღელი გარბოდა; მას სდევნიდნენ; შემეცოდა იგი. დარბაზი მყუდრო იყო, სავარძლები — რბილი, სახლში კი სუფთა პიჟამა მელოდებოდა.

— ძალიან მეცოდებოდა ეს ყმაწვილი! — ვთქვი, — ხომ არ წავსულიყავით და თითო ჭიქა დაგველია ძილის წინ? ერთი კარგი ადგილი ვიცი...

საკვირველია, როგორ ვახერხებდი თვრამეტი თვე პოლიციისაგან თავის დაძვრენას. მართლაც, ძალიან მიმართლებდა!

ნახევარი წლის განმავლობაში მივეჩვიე ისეთ უვარგის ოთახებში ცხოვრებას, რომ მათთან შედარებით იზოლატორი ნამდვილად „უოლდორფ-ასტორიის“ საქორწილო ნომრად მოგეჩვენებოდათ. ამიტომაც არ ვეძლევი სევდას.

ჭვრიტინაში ცნობისმოყვარე თვალი იხედება.

დღეს ახალი სანიტარი მორიგეობს.

— ჰელო!

იგი თვალს მიკრავს.

— გნებავთ სიგარეტი?

ვდგები და კარს ვუახლოვდები.

— გმადლობთ, არ ვეწევი... თქვენს წინამორბედს რა მოუვიდა?

— არ ვიცი, ამბობენ ჩხუბისათვის გააგდესო, ხომ არ ბრაზობთ, წერილი რომ წაგართვით?

— ვბრაზობ.

— მათ მითხრეს, რომ შფოთიანი ხართ.

— მე წყნარი ვარ.

— ვხედავ.

დიდხანს დუმს, შემდეგ მეკითხება:>

— თქვენ სწორედ ის ემრიჩი ბრძანდებით?

— მისი ბიძაშვილი.

— კარგით, სულერთია, მაინც გიცანით „ლაიფში“ დაბეჭდილი სურათით. როდის მიდიან ექიმები?

— გორდონი სამზე, ბარკერი კი ცოტა მოგვიანებით.

— ოთხის ნახევარზე გამოგიშვებთ! — მარწმუნებს სანიტარი, — გნებავთ გაზეთი?

ჭვრიტინაში დაგრაგნილი გაზეთი შემოძვრა. სანიტარი მიდის, მე კი მოხერხებულად ვეწყობი იატაკზე და სათაურებს ვათვალიერებ. პირველი გვერდები შეიძლება, არ წაიკითხო: ანგარიშებმა ქორწილებისა და რაუტების შესახებ, საავტომობილო კატასტროფაში მოყოლილი უცხოელი პრინცესას ფოტოსურათმა და „შეუდარებელი პასტა ქოლგეითის“ კიდევ ერთმა რეკლამამ შეიძლება მოიცადონ. ჰენსონ ბოლდუინის ყოველკვირეული ანგარიში: **„1967 წელს, ზრდის არსებული ტემპების პირობებში, ხლეჩადი ნივთიერების მარაგი, როგორც ჩანს, 1000 ტონას მიაღწევს. შეგახსენებთ, რომ ეს მასალები შეიძლება წყალბადის ბომბში დეტონატორებად გამოვიყენოთ. ეს საკმარისია, რათა პირისაგან მიწისა აღიგავოს მთელი კონტინენტი“.**

**ისინი ისე მშვიდად წერენ ამის შესახებ, თითქოს აიოვაში სიმინდის მოსალოდნელ მოსავალზე იყოს ლაპარაკი.**

მთელი კონტინენტი!

ზურგი მისველდება.

ჰიროსიმამ თხუთმეტი წლის იუბილე აღნიშნა.

**ჰიროსიმა წარსულია.**

**ადამიანები კი ისევ კვდებიან. „გალეულმა“ მათ სხეულებს ღრმა ნაიარევი-წყლულები დაამჩნია, სისხლი მოუწამლა, შთამომავლობა წაართვა. განუკურნებელი ავადმყოფები რაღაც გაუგებარი ინერციის ძალით აგრძელებდნენ ცხოვრებას, მაგრამ „თეთრი სიკვდილი“ ღამ-ღამობით უკვე დარაჯობდა მათ სუნთქვას.**

**„თეთრი სიკვდილი!**

ადამიანი ჯანმრთელად გრძნობს თავს. მაგრამ, აი, იწყება საშინელი სიზმრები. ბოდვა. ეჩვენება თეთრი გედები, თეთრი ზეწრები, თეთრი მზე, თეთრი სურნელოვანი ყვავილები. ყველაფერი თეთრი. შემდეგ — სიკვდილი. შეიძლება უსასრულოდ გადაუსხა სისხლი, ორგანიზმში უნიკალური პრეპარატები შეუყვანო, მაგრამ უჯრედების დაშლის შეჩერება შეუძლებელია.

**თეთრი სიკვდილის გარდა არსებობს კიდევ ლეიკემია, ანემია, დამბლა, პარკინსონის სხვადასხვაგვარი სინდრომი და კვინკეს შეშუპება, რომელთა შესახებ ასე ხშირად ლაპარაკობს ლარი. რაღა სიცოცხლეა, თუკი ღვიძლი კიბოსაგან გაქვს შეჭმული და კანი ერთიანად სველ ფუფხადაა ქცეული?**

და ეს ადამიანმა მოიმოქმედა!

მის განკარგულებაშია ყველაფერი — ბუნებაც კი. იტალიელმა პროფესორმა პეტრუჩიმ კოლბაში, სანაყოფე წყალში, მოათავსა ქალისა და მამაკაცის სასქესო უჯრედები. ისინი შეერწყნენ და აღმოცენდა ჩანასახი. მან ოცდაცხრა დღე იცოცხლა. ოცდამეათე დღეს პეტრუჩიმ მოსპო იგი — შეეშინდა მის მიერ შექმნილი სასწაულისა. მაგრამ სასწაული უკვე მოხდა — ჰომუნკულუსი მომხდარი ფაქტია.

სიცოცხლე და სიკვდილი ადამიანის ხელშია.

მაკკორმაკი ამბობს, უნდა შეგეძლოს არჩევანის გაკეთებაო.

როცა თქვენ ჰიროსიმაზე ბომბებს ყრიდით, ამით თქვენ უპასუხეთ „დიახ“. თქვენ, როგორც ჩანს, ფიქრობდით, რომ მკვლელობისათვის ვაჟკაცობაა საჭირო. ჩემი აზრით, კიდევ უფრო მეტი მამაცობაა საჭირო იმისათვის, რომ „არა“ თქვა.

კმარა!.. ამაზე უსასრულოდ შეიძლება ფიქრი... კიდევ რას წერს ბოლდუინი?

კარი ჭრიალებს და სანიტარს ეცინება.

— შეგაშინეთ?

— თანაც როგორ, — ვამბობ გაბრაზებული.

— გამოდით მანდედან, ექიმები წავიდნენ.

იზოლატორის მერე ლოგინი განსაკუთრებით რბილი გეჩვენება. მთელ სიგრძეზე ვშლი ფეხებს. სანიტარი პალატიდან არ გადის.

— მე ჯოკი მქვია. ჯონი კი არა, ჯოკი. რისთვის გამოგკეტეს აქ?

— გრძელი ისტორიაა.

— მაინც?

— სხვა დროს იყოს.

იგი არ ბრაზდება.

— კეთილი, ყავას მოგიტანთ.

ლეიბის ქვეშიდან ვიღებ ლარის მოტანილ ახალ ჟურნალებს. ღამეს ლარი მორიგეობს. კარგი იქნებოდა ცოტა წამეძინა — ღამით ლარი არ დამაძინებს. თავს ვდებ, რომ დილამდე ვიკამათებთ.

**ლარი კათოლიკეა, მე კი მაღალი ხიდან დამიფურთხებია რომის პაპისათვის და მთელი კათოლიკური ეკლესიისათვის მისი კარდინალებით, კონგრეგაციებითა და კაპელანებით. უილიამ ბ. დაუნიმ რწმენა წამართვა.**

ლარი ყოველთვის ძრწუნდება ხოლმე.

— არ შეიძლება ჩვენი შინაგანი წმიდათაწმიდას დანგრევა.

ქალაქებში? — დრეზდენში, რომელიც ნაცარში აურიეთ? კოვენტრიში? ლიდიცეში? ორადურ-სიურ-გლანში? ბაბიი იარში, კიევში — შეიძლება?

40 000 000!

მოკლულია. უგზო-უკვლოდ დაიკარგა. კრემატორიუმებში დაწვეს. ნაფლეთებად აქციეს ბომბებმა.

ომი.

არა. ლარი ვერ გადამარწმუნებს. ახლა მე ვირივით ჯიუტი ვარ.

რაც შეეხება წმინდათაწმიდას, ეს შედარებითი ფასეულობაა. **ორმოცდახუთში ტოკიოში ნებისმიერ ჯარისკაცს შეეძლო, თხუთმეტ ათას იენად ეყიდა რაბუ — იაპონელი გოგონა და მისთვის რაც უნდოდა, ის ექნა. ამდენივე ღირდა ათამდე ავტოკალამი „პარკერ-51“. იაფია არა?**

იაპონელები ჩვენზე მეტად ღვთისმოსავები არიან და იაპონელ გოგონათა სულების წმინდათაწმიდა არაფრით განსხვავდება ლარის კათოლიკური სალოცავებისაგან.

უნდა მოვუყვე ლარის ტოკიოს შესახებ, იქნებ მიხვდეს, რომ...

მთელი განყოფილება ყვირილმა შესძრა.

ყვირილმა კი არა — გოდებამ.

დერეფანში გავრბივარ. პირდაპირ ჩემკენ ჯოკი მოქრის.

— ღმერთო ჩემო!

კისრისტეხით მივრბივართ დერეფნის შორეულ ბოლოში. საპროცედუროში შევუხვიეთ. ცარიელი აღმოჩნდა. საორდინატორო. იქაც არავინაა. ტუალეტი.

ჯოკი სლუკუნებს...

არტ ბერნსტაინი ფეხის წვერებზე შემდგარა დასაჯდომზე და იღიმება. კისერში ბინტი აქვს წაჭერილი, რომლის ბოლოც მილზეა მიბმული. თავი მკერდზე ჩამოვარდნია. შავ თვალებში ტკივილი, ტანჯვა და მიმქრალი სინათლის ანარეკლი გამოკრთის.

ჯოკს მაკრატელს ვართმევ და ვჭრი ბინტს. ეს სწორედ ის ბინტია, რომელიც გუშინ გორდონის კაბინეტიდან გაქრა.

ბერნსტაინის თავი მკერდზე ეცემა. კანი ცივია.

გვიანია.

კიდევ ერთი.

— მე მხოლოდ... ყავა... — ჩურჩულებს ჯოკი.

რა, მხოლოდ? საერთოდ, რა გესმის შენ, ჯოკ? გეყოფა წუწუნი. არც მე ვარ რკინისა; არც შეშლილი ვარ. უეიკოს სასამართლომ განაჩენში ჩაწერა: „ფსიქიკურად ნორმალურია“ და მანვე მომათავსა აქ „განუსაზღვრელი ვადით“.

განუსაზღვრელი ვადა...

შაბათი ნახვის დღეა. მაკკორმაკი აგვიანებს. მე ვნერვიულობ. უმიზნოდ დავეხეტები დერეფანში იმის მოლოდინში, რომ ჯოკი ჩემს სახელს წამოიძახებს და დარბაზში შემიყვანს. პატ კანდინსკი უკვე წაიყვანეს, სავარძლით გაიყვანეს კონოლი; პალატები ცარიელდება; მალე თორმეტი გახდება. გაშმაგებით ვღეჭავ საღეჭ რეზინს, რომელიც ჯოკმა მომცა, მაგრამ არც ეს მამშვიდებს. ვცდილობ გუშინდელი გაზეთის წაკითხვას, ვათვალიერებ პიკანტურ ფოტოს ნახევრად შიშველი პრინცესასი, ავტოკატასტროფას რომ გადაურჩა, ბოლდუინის ციფრებში ვიკარგები.

— მისტერ ემრიჩ! — კარებში მდგარი ჯოკი მიღიმის და თითით მითითებს მხარს ზემოდან.

როგორც იქნა!

მაკკორმაკმა თავისი ჩვეული ადგილი დაიკავა — როიალთან, სწორედ ფანჯრის ახლოს. ეს ერთგვარი მყუდრო ადგილია, სადაც საუბარში ხელს არავინ შეგვიშლის. დარბაზში თანაბარი, უცვლელი გუგუნი დგას. მოსული ნათესავები ყველანი ერთად ლაპარაკობენ, ძალზე ხშირად იცინიან. ჩვეულებრივზე მეტად უბრწყინავთ თვალები. სალამოთი ავადმყოფების, სულ ცოტა, მეოთხედი იზოლატორში ხვდება. ასეთია საფასური შეხვედრისა და საათნახევრიანი ბედნიერებისა, იგრძნო, რომ ვიღაცას სჭირდები, ვიღაცას უყვარხარ.

შეხვედრის მერე მოვიწყენ ხოლმე, მაგრამ მე ლარი მაინც მყავს.

ამ უბედურებს კი? მათ არავინ ჰყავთ. დღის პირველი საათის შემდეგ მათ რჩებათ მოჩვენებითი მოგონებანი, ქალთა სუნამოების სურნელება ცუდად გაპარსულ ლოყებზე, პატარა პაკეტები ხილითა და ნამცხვრით და ქურკუთებზე უცბად გამშრალი პატარა ლაქები — დედის ცრემლების კვალი.

**ორმოცდახუთში ტოკიოში ნებისმიერ ჯარისკაცს შეეძლო, თხუთმეტ ათას იენად ეყიდა რაბუ — იაპონელი გოგონა და მისთვის რაც უნდოდა, ის ექნა. ამდენივე ღირდა ათამდე ავტოკალამი «პარკერ-51». იაფია არა?**

(გაგრძელება იქნება)

**ТУ-22М3-მა 30 ახალი ფრთოსანი რაკეტით დაბომბეს „ისლამური სახელმწიფოს" მეომრების პოზიციები. სულ კი, როგორც რფ-ის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ განაცხადა, რუსულმა თვითმფრინავებმა 82 საბრძოლო გაფრენა განახორციელეს სირიის ქალაქების — რაკას, დეირ ეზ-ზორის, ალეპოსა და იდლიბის — მიმართულებით და ტერორისტების 80-მდე ბაზა გაანადგურეს.**

პარა ბელუმ!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსებმა სირიაში ტერორისტების პოზიციები ახალი ფრთოსანი რაკეტებით დაბომბეს

**რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა სირიაში „ისლამური სახელმწიფოს" „ბოევიკების" პოზიციების გასანადგურებლად ახალი საბრძოლო ტექნიკა და მასალები ჩართო.**

17 ნოემბერს რუსული შორსმოქმედი ავიაციის თვითმფრინავები **Ту-160, Ту-22М3** და **Ту-95** რუსეთის ქალაქებიდან (ენგელსიდან და მოზდოკიდან) აფრინდნენ ტერორისტთა პოზიციების დასაბომბად. მათ მხარი დაუჭირეს სირიაში ავიაბაზა ჰმეიმიმში ბაზირებულმა საფრონტო ბომბდამშენებმა **Су-24**-ებმა და **Су-34**-ებმა. საჰაერო სივრცეს კი ახალი რუსული გამანადგურებელი **Су-30СМ**-ი იცავდა.

რუსეთის შორსმოქმედი ავიაციის 12 თვითმფრინავი **Ту-22М3**, რომლებიც მოზდოკიდან აფრინდნენ, პირველად მონაწილეობდა სირიაში მიმდინარე საომარ ოპერაციებში. **Ту-22М3-მა** 30 ახალი ფრთოსანი რაკეტით დაბომბეს „ისლამური სახელმწიფოს" მეომრების პოზიციები. სულ კი, როგორც რფ-ის თავდაცვის მინისტრმა **სერგეი შოიგუმ** განაცხადა, რუსულმა თვითმფრინავებმა 82 საბრძოლო გაფრენა განახორციელეს სირიის ქალაქების — რაკას, დეირ ეზ-ზორის, ალეპოსა და იდლიბის — მიმართულებით და ტერორისტების 80-მდე ბაზა გაანადგურეს.

როგორია საბრძოლო ტექნიკა, რომლებიც რუსეთმა ახლახან სირიაში გამოიყენა?

**Ту-22М3** — ეს არის საბჭოთა პერიოდში (1976-1983) შექმნილი რაკეტებიანი ზებგერითი ბომბდამშენი (ნატოს კოდიფიკაციით, Back Fire — „საპასუხო ცეცხლი"), რომლის დანიშნულებაა მიზნების განადგურება დღისითა და ღამით ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში. **Ту-22М3** რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს ომში გამოიყენა. ერთი ასეთი საფრენი აპარატი ქართველმა ჯარისკაცებმა ჩამოაგდეს. მას შემდეგ ეს თვითმფრინავი რუსებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს.

**Ту-95** — ეს არის ლეგენდარული ტურბოხრახნიანი სტრატეგიული ბომბდამშენი (ნატოს კოდიფიკაციით, Bear —"დათვი") რომელიც მსოფლიოში ყველაზე სწრაფია ასეთი ტიპის თვითმფრინავებს შორის. ბორტზე აქვს რაკეტები — X-55.

**Ту-160** — ეს არის რაკეტებიანი ზეზგერითი სტრატეგიული ბომბდამშენი. ყველაზე დიდი, მძლავრი და სწრაფი ზებგერითი საფრენი აპარატი ავიაციის ისტორიაში (ნატოს კოდიფიკაციით, Blackjack — „ბლეკჯეკი"). ბორტზე აქვს ფრთოსანი რაკეტები X-55.

რფ-ის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილია რუსეთის შორეული ავიაციის თვითმფრინავების მიერ სირიაში ახალი ფრთოსანი რაკეტის გამოყენება.სამხედრო სპეციალისტების აზრით, ეს ახალი ფრთოსანი რაკეტა ძალიან ჰგავს ფრთოსან რაკეტა X-101/102-ს.

შექმნა სტრატეგიული რაკეტებისა — X-101/102-ის, რომლებიც ერთმანეთისგან საბრძოლო ნაწილებით განსხვავდება (კონვენციური (საერთო) X-101-ისთვის, ატომური — X-102-ისთვის), 1990-იან წლებში დაიწყო. წინამორბედი რაკეტა X-55-სა და მისი მოდიფიკაციისგან (X-555). რაკეტები X-101/102 განსხვავდება იმით, რომ რადარებისთვის უფრო შეუმჩნეველია და გაცილებით შორ მანძილზე ფრენს — სავარაუდოდ, 5,5 ათას კმ-ის სიშორეზე.


ТУ-22М3


ТУ-95МС


ТУ-160


ფრთოსანი რაკეტა X-101

**17 ნოემბერს რუსული შორსმოქმედი ავიაციის თვითმფრინავები ТУ-160, ТУ-22М3 და ТУ-95 რუსეთის ქალაქებიდან (ენგელსიდან და მოზდოკიდან) აფრინდნენ ტერორისტთა პოზიციების დასაბომბად. მათ მხარი დაუჭირეს სირიაში ავიაბაზა ჰმეიმიმში ბაზირებულმა საფრონტო ბომბდამშენებმა СУ-24-ებმა და СУ-34-ებმა. საჰაერო სივრცეს კი ახალი რუსული გამანადგურებელი СУ-30СМ-ი იცავდა**

**სტრატეგიული ფრთოსანი რაკეტა X-101-ის ტექნიკური მახასიათებლები:**

* სიგრძე — 7,45 მ
* დიამეტრი — 7,42 მმ
* ფრთების სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში — 3 მ
* სასტარტო წონა — 2200-2400 კმ
* საბრძოლო ნაწილის მასა — 400 კგ
* მაქსიმალური სიჩქარე — 250-270 მ/წმ
* მოქმედების სიშორე — 5000-5500 კმ
* სიზუსტე — 5-6 მ

# რატომ დატოვა ამერიკულმა ავიამზიდმა სპარსეთის ყურე?

**ირანის სახელმწიფო რადიოსადგურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ავიამზიდმა „თეოდორ რუზველტმა" დატოვა სპარსეთის ყურე, სადაც ის ამა წლის აპრილიდან იყო დისლოცირებული. 2007 წლიდან პირველად სპარსეთის ყურეში არც ერთი ამერიკული ავიამზიდი აღარ იქნება.**



სპარსეთის ყურეში ყოველთვის იმყოფებოდა აშშ-ის ერთ-ერთი ავიამზიდი. ბოლო ხანს იქ მორიგეობდა „თეოდორ რუზველტი" — აშშ-ის ყველაზე მძლავრი ავიამზიდი, რომელზეც ბაზირებულია სხვადასხვა დანიშნულების 65 თვითმფრინავი. ეს ავიამზიდი, რომელსაც უწოდებენ „სახელმწიფოს ოკეანეში", ქვეყნებს ყოველთვის შეახსენებს, რომ ზონა, სადაც ის ცურავს ან დრეიფობს, ამერიკის ინტერესების სფეროშია.

ამერიკულმა ავიამზიდმა კი სპარსეთის ყურე მოულოდნელად დატოვა. რამ აიძულა აშშ, დროებით მაინც დაევიწყებინა ამერიკული ინტერესები ამ ზონაში?

**მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს რუსეთმა კასპიის ზღვიდან 26 ახალი ფრთოსანი რაკეტა „კალიბრით" დაბომბა „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციები სირიაში, რაკეტებმა დაბალ სიმაღლეზე (3 მ) გადაუფრინეს ირანისა და ერაყის ტერიტორიებს და სირიაში ტერორისტების 1500 კმ-ით დაშორებული 11 ბაზა გაანადგურეს. ამით რუსეთმა ყველას დაანახვა, რომ თავისი ტერიტორიიდან შეუძლია ოპერატიული ამოცანების შესრულება. ამ 26 რაკეტას კი სრულიად თავისუფლად შეეძლო განადგურება ამერიკული ავიამზიდისა, რომელსაც აშშ-ის 26-ე პრეზიდენტის — თეოდორ რუზველტის სახელი ჰქვია.** სწორედ ამიტომ დატოვა ამერიკულმა ავიამზიდმა აშშ-ის „ინტერესების ზონა".

## საიდან ჩადიან სირიაში «ბოევიკები»

### («ისლამური სახელმწიფოს» გაუთვალისწინებლად)




მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ ჭადრაკის ისტორია რამდენიმე ათას წელს ითვლიდა. ვარაუდობდნენ, რომ თამაში ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში არსებობდა, დროთა განმავლობაში მეცნიერებამ უარყო ეს მოსაზრება. კვლევის თანახმად, ჭადრაკის სამშობლოდ მაინც ინდოეთი უნდა მივიჩნიოთ და თამაშის პირველი ფორმის წარმოშობა დაახლოებით მეხუთე საუკუნის პირველი ნახევრით დავათარიღოთ.**

# ზოგი რამ ჭადრაკის შესახებ



**ჭადრაკი ფორმით არის თამაში, შინაარსით — ხელოვნება, ხოლო დაუფლების სირთულით — მეცნიერება, რომელიც გვასწავლის მოწინააღმდეგის პატივისცემას, დამოუკიდებლობას, ობიექტურობასა და სიბეჯითეს. ეს არის ლოგიკური კანონებისა და უსასრულო იმპროვიზაციის შერწყმა, რომელიც ეხმარება მეხსიერების განვითარებას, დამოუკიდებელი აზროვნების უნარის გამომუშავებას, ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას. ის ადამიანის სულის სარკეა. ჭადრაკის თამაშისას თვალნათლივ ჩანს გონების შესაძლებლობა, ნებისყოფა, ხასიათი და ბრძოლისუნარიანობა. ასე აფასებდნენ ჭადრაკს მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნეები, საქართველოში კი ქალს „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკსაც ატანდნენ მზითვად.**



**ჭადრაკი ინტელექტის კოეფიციენტს 15-25%-ით ამაღლებს, ააქტიურებს უმაღლესი მათემატიკის, გეომეტრიისა და უცხო ენების შესწავლის ნიჭს. სპეციალისტების ერთი ნაწილი ირწმუნება, რომ ბავშვობიდან ჭადრაკით გატაცებულების სიცოცხლის ხანგრძლივობაც მატულობს, თანაც —20 წლით**

ჭადრაკი ინდოეთში V-VI საუკუნეში გამოიგონეს. მისი შექმნის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს, მაგრამ ყველაზე გავრცელებული ვერსიით, ჭადრაკი ვინმე ბრძენმა **ბრაჰმან სესამ** გამოიგონა. იმხანად ინდოეთის რაჯა **სჰერამმა**, რომელიც, ისტორიული ცნობების მიხედვით, კარგი მმართველი ნამდვილად არ ყოფილა, თავისი უგუნური გადაწყვეტილებით სამფლობელო დიდ განსაცდელში ჩააგდო. ბრძენს მმართველისთვის შეცდომებზე ოსტატური მინიშნება უნდოდა, ამიტომაც გამოიგონა თამაში, რომელშიც მთავარი ფიგურა მეფეა, მაგრამ სხვა ფიგურების დახმარების გარეშე წარმატებას ვერ აღწევს.

რაჯა კმაყოფილი დარჩენილა ნაბოძებით, მას ჭადრაკში ჩაქსოვილი ბრძოლის სიბრძნე მოსწონებია და გამომგონებლისთვის უთქვამს, აირჩიე, რით დაგასაჩუქრო ამ მშვენიერი გამოგონებისთვისო.

**ჭადრაკის შემქმნელს ჭკუა არავისგან რომ არ ესწავლებოდა, ეს ისედაც ნათელია, და რაჯას უთხრა, მინდა, ხორბლის იმდენი მარცვალი მომცე, რამდენიც მომიწევს ჭადრაკის სათამაშო დაფიდან, თუ პირველ უჯრაზე ერთ მარცვალს დადებენ, მეორეზე — ორს, მესამეზე — ოთხს, მეოთხეზე — რვას, მეხუთეზე — თექვსმეტს, მეექვსეზე — ოცდათორმეტს და ასე შემდეგო (გეომეტრიული პროგრესიის მიხედვით).**

რაჯამ ბრძანა, დაეთვალათ და მიეცათ ბრძენისთვის კუთვნილი ხორბლის მარცვალი. გამოვიდა, რომ მას ეკუთვნოდა 18 446 744 073 709 551 615 (18 კვადრილიონ 446 ტრილიონ 744 ბილიონ 73 მილიარდ 709 მილიონ 551 ათას 615) მარცვალი. რაჯას ამ ასტრონომიულ რიცხვთან ერთად ისიც მოახსენეს, რომ ამ რაოდენობის მარცვალი დედამიწას ხუთსანტიმეტრიანი ფენით დაფარავდა და გადასაზიდავად ათი ათასი უღელი ხარ-კამეჩიც არ ეყოფოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ხორბლის 20 მარცვლის მოცულობა საშუალოდ ერთი კუბური სანტიმეტრია, რაჯას ბრძენისთვის 922 337 203 685 კუბური მეტრის მოცულობის ხორბალი ემართა. ამ რაოდენობის ხორბლის მისაღებად რაჯას დედამიწის ზედაპირი ხორბლის დასათესად რვაჯერ უნდა გადაეხნა და თან ყოველ ჯერზე კარგი მოსავალი უნდა მიეღო.

**დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ ჭადრაკის ისტორია რამდენიმე ათას წელს ითვლიდა. ვარაუდობდნენ, რომ თამაში ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში არსებობდა, დროთა განმავლობაში მეცნიერებამ უარყო ეს მოსაზრება. კვლევის თანახმად, ჭადრაკის სამშობლოდ მაინც ინდოეთი უნდა მივიჩნიოთ და თამაშის პირველი ფორმის წარმოშობა დაახლოებით მეხუთე საუკუნის პირველი ნახევრით დავათარიღოთ.**

ინდოეთში მოგონილ თამაშს **ჩატურანგა** ერქვა. სწორედ ასე მოიხსენიებოდა სანსკრიტზე ჯარი, რომელიც საბრძოლო ეტლებისგან, სპილოებისგან, მხედრებისა და ქვეითებისგან შედგებოდა. თამაში ასახავდა ბრძოლას ოთხი სხვადასხვა ტიპის ჯარისა, რომლებსაც მხედართმთავარნი ხელმძღვანელობდნენ.

შემდეგ თამაში სპარსეთშიც გავრცელდა **ჩატრანგის** სახელწოდებით. მალე სპარსეთი არაბებმა დაიპყრეს და მათთვის ახალ თამაშს **შატრანჯი** უწოდეს. არაბებმა იმხანად მთელი ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი აფრიკა და ესპანეთიც კი დაიპყრეს და შანტრანჯმა ყველგან მოიკიდა ფეხი.

**ჭადრაკი აღმოცენდა, როგორც სამხედრო თამაში. უძველესი ინდური ჭადრაკი — ჩატურანგა — ოთხი სახეობის ჯარის ბრძოლის იმიტაცია იყო („ჩატურ“ — ოთხი, „ანგა“ — რაზმი ან ჯარის ნაწილი). დაფაზე ფიგურების წყობა უძველესი ინდური ჯარის სახეობების განლაგების სქემას წააგავდა: ქვეითი ჯარი, მხედრობა, სპილოები, ეტლები...**

ამ თამაშში ოთხი კაცი მონაწილეობდა და სვლები კეთდებოდა კამათლის გაგორების მიხედვით.

თითოეული მოთამაშის განკარგულებაში 4 ფიგურა (ეტლი, მხედარი, კუ და მეფე) და 4 პაიკი იყო. მეფე და მხედარი მოძრაობდა, როგორც დღევანდელ ჭადრაკში, ხოლო ეტლი და კუ გაცილებით სუსტები იყვნენ. ლაზიერი საერთოდ არ ჰყავდათ და გამარჯვებისთვის აუცილებელი იყო მეტოქის მთელი მხედრიონის განადგურება.

**დაახლოებით VII საუკუნეში ჩატურანგა გავრცელდა არაბეთშიც, სადაც განიცადა ცვლილება: მოთამაშეთა რაოდენობა შემცირდა ორამდე და თითოეულმა მიიღო ჩატურანგას ფიგურების ორი კომპლექტი, ერთი მეფე იქცა ლაზიერად, ხოლო კამათლები საერთოდ გააუქმეს და სვლების გაკეთება დაიწყეს მონაცვლეობით.**

ცვლილება განიცადა თამაშის სახელწოდებამაც — **არაბებთან მას ეწოდებოდა შატრანჯი, ბურიატ-მონღოლებთან — შატარი ან ხიაშატარი, მოგვიანებით კი ტაჯიკებთან მიიღო სახელწოდება შახმატი, რაც ნიშნავს — შაჰი დამარცხებულია.**

პირველი ცნობები შატრანჯას შესახებ ირანში 600 წლით თარიღდება.

ჩატურანგას საბრძოლო ეტლი ირანში შეიცვალა სპარსული მითოლოგიის მტაცებელი ფრინველით, რომელიც ბედისწერას გამოხატავდა, ჯარის მფარველს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ვითარებაში შეეძლო ბრძოლის ბედის გადაწყვეტა.

638 წელს ირანი დაიპყრეს არაბებმა და თამაში სხვა დაპყრობილ ტერიტორიებზეც გაავრცელეს. რადგან ისლამი ადამიანისა და ცხოველის გამოსახვას კრძალავდა, ჭადრაკის ფიგურებმა, რომლებიც მანამდე მინიატურულ სკულპტურებად იყო წარმოდგენილი, მუსლიმანურ სამყაროში აბსტრაქტული ფორმები შეიძინა. ფიგურების დამზადება გამომწვარი თიხისგან დაიწყეს. სიმარტივისა და სიიაფის გამო კი შატრანჯმა უკვე დიდებულთა სასახლეებიდან ბაზრებსა და მდაბიოთა სახლებშიც შეაღწია.

რაც შეეხება შატრანჯას წესებს, ამ თამაშში პაიკს არ ჰქონდა პირველი სვლისას ორ უჯრაზე გადაადგილების უფლება. სამაგიეროდ, მერვე უჯრაზე გასვლის შემდეგ ლაზიერად გადაქცევა შეეძლო. იმხანად ლაზიერი ყველაზე სუსტი ფიგურა იყო, რადგან მხოლოდ დიაგონალურად, ერთი ნაბიჯით გადაადგილდებოდა. კუს, რომელიც სამ უჯრაზე დიაგონალურად გადაადგილდებოდა, მხედრის მსგავსად, ფიგურაზე გადახტომა შეეძლო. არ არსებობდა როქი. მეფე, ეტლი და მხედარი სვლებს თანამედროვე ჭადრაკის წესებისამებრ აკეთებდნენ.

ფიგურათა შეზღუდული დიაპაზონის გამო, თამაში მდორედ მიმდინარეობდა, გამარჯვებას კი არამხოლოდ შამათი, პატი ან მეტოქის ჯარის განადგურებაც (მეფის გარდა) ნიშნავდა. პარტიის დაჩქარების მიზნით შემოიღეს ტაბაი — ერთგვარი სიმეტრიული პოზიცია, რომელიც 15-20 სვლის შემდეგ იქმნებოდა. არსებობდა ოცამდე ტაბაი და არცთუ იშვიათად მათ შთამბეჭდავი სახელები ერქვა.

სხვადასხვა სამხედრო დოქტრინის მრავალი ასპექტი თავისებურად აისახა ჭადრაკის თამაშის განვითარების ისტორიაში. თუკი თავდაპირველად მოგებისათვის საკმარისი იყო მოწინააღმდეგის ყველა ფიგურის განადგურება, შემდეგ, სამხედრო სტრატეგიის შეცვლასთან ერთად, ჭადრაკის თამაშის საბოლოო მიზანიც შეიცვალა. ძველად ომში გამარჯვების საფუძვლად მოწინააღმდეგის რაც შეიძლება მეტი საბრძოლო ერთეულის განადგურება და მისი ტერიტორიის დაპყრობა ითვლებოდა, თანაც ამას აღწევდნენ სამხედრო შენაერთების საკმაოდ ერთფეროვანი მოქმედებით.

დაქუცმაცებული ფეოდალური სამფლობელოებისგან მძლავრი სახელმწიფოების შექმნაში თანდათან მეტ როლს თამაშობდა მთავარსარდალი, უფრო სწორად მეფე — სახელმწიფოს მეთაური. სწორედ წინამძღოლის სიკვდილი (ან მისი ტყვედ ჩავარდნა) ომში ხშირად იგივე იყო, რაც დამარცხება. გარდა ამისა, წარმოქმნილი სახელმწიფოების გაძლიერებასთან ერთად რთულდებოდა არმიის ორგანიზების სისტემაც, იქმნებოდა მუდმივმოქმედი ჯარები, აუცილებელი ხდებოდა ძალების კოორდინაცია, სწრაფი მობილიზაცია. ყოველივე ეს აისახებოდა ჭადრაკის თამაშის ახალ წესებში. **ჭადრაკის მიზანი გახდა მეფის შეპყრობა და არა საბრძოლო ერთეულების განადგურება, გაიზარდა ფიგურების მოქმედების რადიუსი, მათი საბრძოლო შესაძლებლობები.**

XI საუკუნეში თამაშს ევროპაც გაეცნო და XI-XII საუკუნეებში ჭადრაკმა ევროპაში ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ რაინდული აღზრდის პროგრამაშიც კი შეიტანეს.

რომის კათოლიკური ეკლესია გარკვეული პერიოდის განმავლობაში კრძალავდა ჭადრაკს, რადგან მას ეშმაკისეულ თამაშად მიიჩნევდა, მაგრამ ჭადრაკისადმი ინტერესი უფრო გაცხოველდა და 1400 წელს ეს თამაში კვლავ დაუშვეს. მეტიც, ეკლესია ჭადრაკის მეთოდებს ქადაგებასა და ღვთისმეტყველებაშიც იყენებდა.

1119 წელს შედგა პირველი პარტია მიწერ-მოწერით ინგლისის მეფე ანრი პირველსა და საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო VI შორის. 1173 წელს ფრანგულ მანუსკრიპტში პირველად გამოიყენეს ალგებრული საჭადრაკო ნოტაცია.

**1283 წელს კასტილიისა და ლეონის მეფის — ალფონს X ბრძენის ბრძანებით სევილიაში დამზადდა ილუსტრირებული მანუსკრიპტი სახელწოდებით ,,თამაშთა წიგნი“. მასში მოყვანილია ჭადრაკის სხვადასხვა ვარიაციები და 103 ამოცანა დაშამათებაზე სვლათა გარკვეულ რაოდენობაში (ეს იყო პირველი წიგნი საჭადრაკო კომპოზიციის შესახებ).**

პოპულარობასთან ერთად ჭადრაკმა ევროპაში ტრანსფორმაციაც განიცადა. იცვლებოდა თამაშის წესები, რითაც იგი სულ უფრო ემსგავსებოდა თანამედროვე ჭადრაკს. გამოჩნდნენ მოჭადრაკეები, რომლებიც მუშაობდნენ თეორიაზე და თავიანთ იდეებს დებდნენ საჭადრაკო პარტიებში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა იტალია. იტალიელი მოჭადრაკის — **ჯოაკინო გრეკოს** საჭადრაკო სახელმძღვანელო თითქმის 100 წელი ითვლებოდა საუკეთესოდ.

XV—XVI საუკუნეებში თამაშში ევროპელებმა ცვლილებები შეიტანეს — დაფა შავთეთრი გახდა, მანამდე აღმოსავლეთში ერთი ფერის იყო. შემოიღეს ახალი წესებიც: საწყისი პოზიციიდან პაიკის ორ უჯრაზე გადაადგილება, აგრეთვე, როქი. ლაზიერი და კუ უფრო ძლიერი ფიგურები გახდნენ — ამიერიდან მათ მთელ დიაგონალზე გადაადგილება შეეძლოთ. გარდა ამისა, ლაზიერი ჭადრაკის ყველაზე ძლიერ ფიგურად იქცა.

*** XVI საუკუნიდან ჩამოყალიბდა ჭადრაკის მოყვარულთა საზოგადოებები, ტარდებოდა ტურნირები.** ▶

**ანდრია დადიანი პირველი ქართველი მოჭადრაკეა, რომელიც გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. იგი თანამშრომლობდა საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთებთან. 1892 წელს ინგლისურმა საჭდრაკო ჟურნალმა „ჩესს მანსლმა“ (№6-7) თითქმის მთელი ნომერი დადიანის პიროვნებას და მის შემოქმედებას მიუძღვნა. ჭადრაკთან მეგობრობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვანო მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა გამოჩენილი ქართველები.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

***1550 წელს იტალიაში შეიქმნა პირველი საჭადრაკო კლუბი. 1575 წელს კი გაიმართა პირველი საჭადრაკო ტურნირი ესპანეთის სამეფო კარზე.**

*** XVIII საუკუნეში ევროპის საჭადრაკო ცენტრმა საფრანგეთში გადაინაცვლა. 1749 წელს პარიზში გამოვიდა ფრანსუა ანდრე ფილიდორის წიგნი „ფილიდორას დაცვა“.**

***1779 წელს ბენჟამინ ფრანკლინმა დაწერა პირველი სტატია ჭადრაკის შესახებ.**

XIX საუკუნეში ძლიერი საჭადრაკო სკოლა ჩამოყალიბდა ინგლისში, გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთსა და პოლონეთში. იმის გამო, რომ იმდროინდელი მოჭადრაკეები ბევრს მუშაობდნენ საჭადრაკო იდეებზე და ეს იდეები ხორცშესხმას მოითხოვდა, ჭადრაკი უფრო და უფრო იღებდა სპორტის სახეს. 1886 წელს მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონიც მოევლინა — ავსტრიელი მოჭადრაკე **ვილჰელმ სტეინიცი.**

1888 წელს პირველი საჭადრაკო ტურნირი ჩატარდა მიმოწერით ჭადრაკში, 1897 წელს კი პირველი ქალთა საერთაშორისო ტურნირი მოიგო **ვერა მენჩიკმა.** 1905 წელს ოსტენდში გამართულ ტურნირზე პირველად გამოიყენეს ცნება დიდოსტატი. **1927-ში გამოვლინდა პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი — ჩეხი ვერა მენჩიკი.** 1947 წელს ბულგარეთში გამოუშვეს პირველი საჭადრაკო მარკა, იმავე წელს შეიქმნა პირველი კომპიუტერული საჭადრაკო პროგრამა. 1970 წელს ჩატარდა პირველი საჭადრაკო ტურნირი კომპიუტერებს შორის, ხოლო 1974-ში — პირველი მსოფლიო ჩემპიონატი საჭადრაკო პროგრამებს შორის.

**თანამედროვე ჭადრაკის პარტიას თამაშობს ორი პარტნიორი „თეთრი“ და „შავი“ ფიგურებით კვადრატულ, მუქი და ღია ფერის 64-უჯრედიან დაფაზე (ქვემო თეთრი უჯრედი მოთამაშის მარჯვენა მხარეს უნდა იყოს). ყოველ პარტნიორს ფიგურების ნაკრებში ჰყავს მეფე, ლაზიერი, ორი ეტლი, ორი მხედარი, ორი კუ და 8 პაიკი.**

ჭადრაკის თამაშში უჯრიდან უჯრაზე ფიგურის გადაადგილებას სვლა ეწოდება. სვლები კეთდება თანამიმდევრობით. როგორც აღვნიშნეთ, პირველ სვლას აკეთებენ თეთრები, თუ ვინ ითამაშებს თეთრებით, ადგენენ კენჭისყრის საშუალებით. სვლა კეთდება ერთი ფიგურით (გარდა ერთი გამონაკლისისა). ის არ შეიძლება დაიდგას უჯრაზე, სადაც უკვე დგას მისივე ფერის სხვა ფიგურა. ხოლო უჯრაზე თუ სხვა ფერის ფიგურაა, მაშინ შეგიძლიათ აიყვანოთ იგი და მის ადგილას თქვენი დასვათ. ამ პროცესს აყვანას ან მოკვლას უწოდებენ. აყვანილი ფიგურა თამაშიდან გამოსულად ითვლება და მას დაფიდან იღებენ.

ყოველი ფიგურა გარკვეული წესების შესაბამისად გადაადგილდება დაფაზე და მისი აყვანა შეიძლება (გარდა მეფისა) მოწინააღმდეგის ფიგურით. ფიგურის აყვანა სავალდებულო არ არის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სვლით შეუძლებელია შეტევისგან მეფის დაცვა.

**პარტიას იწყებენ „თეთრები“, სვლები კეთდება რიგრიგობით. თამაშის მიზანია მეტოქის მეფის დაშამათება, ანუ მისი ისეთ უიმედო მდგომარეობაში ჩაგდება, როდესაც აღარ შეიძლება მეფის სხვა, უსაფრთხო უჯრედზე გადაყვანა ან სხვა ფიგურით მოიერიშე ფიგურისაგან მისი დაცვა.**

ოფიციალურ შეჯიბრებებში სვლების გასაკეთებელი დრო მკაცრად რეგლამენტირებულია და მისი კონტროლი ხორციელდება საგანგებო საჭადრაკო საათით. თუ მოთამაშემ გადააჭარბა სვლების გადაკეთებლად გამოყოფილ გარკვეულ დროს, მას წაგება ეთვლება.

ჭადრაკში მთავარი ფიგურა არის **მეფე** და მისი დატყვევება, დაშამათება თამაშის დამთავრებას ნიშნავს. იგებს ის, ვინც მოახერხებს მოწინააღმდეგის მეფის დაშამათებას. მეფის სვლები, სხვა ფიგურებთან შედარებით, ძალზე შეზღუდულია. მას შეუძლია გადაადგილდეს ნებისმიერ მეზობელ უჯრაზე.

**ლაზიერი,** ანუ დედოფალი ჭადრაკის ყველაზე ძლიერი ფიგურაა. ჭადრაკის პარტიის დაწყებისას თითოეულ მოთამაშეს ერთი ლაზიერი აქვს. ლაზიერი დაახლოებით ორი ეტლის ან სამი მსუბუქი (მხედარი, კუ) ფიგურის ტოლფასია.

თამაშის მსვლელობისას ლაზიერს შეუძლია ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად და დიაგონალურად ნებისმიერი რაოდენობის უჯრაზე გადაადგილება იმ პირობით, თუ მის გზაზე სხვა ფიგურა არ დგას. ასევე, ყველა მიმართულებით შეუძლია აიყვანოს მეტოქის ნებისმიერი ფიგურა.

**ეტლი** სიძლიერით მეორე ფიგურაა ლაზიერის შემდეგ. ჭადრაკის პარტიის დაწყებისას თითოეულ მოთამაშეს ორი ეტლი ჰყავს. ეტლი მოძრაობს ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად უჯრათა ნებისმიერ რაოდენობაზე, მეტოქის ფიგურას იღებს ასევე ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზებზე.

**კუ** მსუბუქი ფიგურა. ის სიძლიერით დაახლოებით მხედრის ან სამი პაიკის ტოლფასია. ჭადრაკის პარტიის დაწყებისას თითოეულ მოთამაშეს ორი კუ ჰყავს. ოთხი კუდან ორი თეთრ უჯრედებზე გადაადგილდება, ორიც — შავ უჯრედებზე. კუ მოძრაობს უჯრების ნებისმიერ რაოდენობაზე მხოლოდ იმ ფერის დიაგონალებზე, რომელი ფერის უჯრაზეც დგას.

**მხედარი** მსუბუქი ფიგურაა. სიძლიერით დაახლოებით კუს ან სამი პაიკის ტოლფასია. ჭადრაკის პარტიის დაწყებისას თითოეულ მოთამაშეს ორი მხედარი ჰყავს. მხედარი ერთდერთი ფიგურაა, რომელსაც შეუძლია, გადაახტეს როგორც თავის, ასევე მეტოქის ფიგურებს. მხედარი მოძრაობს რუსული „Г“-ს ფორმით — თავდაპირველად ორი უჯრა ჰორიზინტალურად ან ვერტიკალურად და მერე ერთი უჯრა ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად.

**პაიკი** ყველაზე სუსტი, მაგრამ უშიშარი მებრძოლია. იგი მოძრაობს მხოლოდ ვერტიკალურად ერთ უჯრაზე, საწყისი პოზიციიდან კი ერთ ან ორ უჯრაზე გადადის. პაიკს უკან სვლა არ შეუძლია. პაიკი მეტოქის ფიგურას კლავს დიაგონალურად წინ ერთ უჯრაზე მარცხნივ ან მარჯვნივ. პაიკს აქვს ბევრი კარგი თვისება, რომელთა შორისაა გავლით აყვანა და ფიგურის გაცოცხლება. გავლით აყვანა შეიძლება მხოლოდ მეტოქის პაიკის ორ უჯრაზე გადაადგილების საპასუხო სვლით. მომდევნო სვლიდან გავლით აყვანა აღარ შეიძლება. როდესაც თეთრი პაიკი მიაღწევს მერვე ჰორიზონტალს, ხოლო შავი პაიკი — პირველს, მაშინ შესაძლებელია პაიკის გაცოცხლება ლაზიერად, ეტლად, კუდ ან მხედრად.

**ჭადრაკის თეორია შეისწავლის საჭადრაკო პარტიის დასაწყისის (დებიუტი), შუა თამაშისა (მიტელშპილი) და დაბოლოების (ენდშპილი) გათამაშების ტიპურ ხერხებსა და სქემებს.**

**ჭადრაკი საქართველოში, სავარაუდოდ, ინდოელი ვაჭრების ან სპარსელების შემოტანილი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ის ჩვენთვის არაბთა შემოსევამდე იყო ცნობილი. ჭადრაკი მოხსენიებულია მრავალ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროსა და ძეგლში. პირველად მოხსენიებულია ბასილი დიდის თხზულებაში „ექუსთა დღეთა“, რომელიც XI საუკუნის საეკლესიო მოღვაწემ გიორგი ათონელმა გადმოაქართულა. ჭადრაკმა თანდათან დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართველი კაცის ცხოვრებაში, ისეთი საპატიო, რომ მას ქალს მზითვად „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ატანდნენ.**

სამწუხაროდ, XIX საუკუნემდე არ არის შემორჩენილი ცნობები ქართველ მოჭადრაკეთა შესახებ, თუმცა ასეთები რომ იყვნენ, ისიც ადასტურებს, რომ ნაპოვნია XII, XV და XVII საუკუნეების ქართული ჭადრაკის კომპლექტები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჭადრაკზე მეტი ცნობები მოიპოვება. „შახმატნი ლისტოკის“ 1878 წლის პირველი ნომერი იტყობინებოდა: **„შარშანდელი წლის სექტემბრიდან თბილისში დაარსდა ჭადრაკის მოყვარულთა წრე, რომელიც კვირაში ერთხელ იკრიბება დამფუძნებელთა ბინებში“. იგივე ნომერი იუწყებოდა, რომ მოეწყო მატჩი თბილისელ ა. სმიტენსა და მოსკოველ ოსტატ ა. სოლოვცოვს შორის. იგივე ჟურნალი (1978 წ. №5-6) წერდა, რომ თბილისში გაიმართა მატჩი ა. სმიტენსა და ა. დადიანს შორის, რომელიც დადიანის გამარჯვებით დასრულებულა. ამის შემდეგ დადიანს სოლოვცევისთვისაც მოუგია მატჩი.**

**ანდრია დადიანი** პირველი ქართველი მოჭადრაკეა, რომელიც გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. იგი თანამშრომლობდა საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთებთან. 1892 წელს ინგლისურმა საჭდრაკო ჟურნალმა „ჩესს მანსლმა“ (№6-7) თითქმის მთელი ნომერი დადიანის პიროვნებას და მის შემოქმედებას მიუძღვნა. ჭადრაკთან მეგობრობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვანო მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა გამოჩენილი ქართველები. ილიას „ივერია“ ხშირად წერდა ჭადრაკზე, ხოლო ჩიგორინ-ტარაშის მატჩის შემაჯამებელი სტატია თვითონ ილიამ დაწერა.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ჭადრაკი სახალხო თამაში გახდა. **გახშირდა ტურნირები, მატჩები. თბილისში ხშირად ჩამოდიოდნენ ცნობილი რუსი ოსტატები. 1922 წელს კი გაიმართა თბილისელ მოჭადრაკეთა პირველი ტურნირი. 1923 წელს გაიხსნა თბილისის საჭადრაკო კლუბი.** 1926 წელს თბილისში მოეწყო მასობრივი ტურნირი, რომელშიც 600 კაცი მონაწილეობდა. იმავე წელს გამოვიდა პირველი საჭადრაკო წიგნი ქართულ ენაზე. 1928 წელს ჩატარდა საქართველოს ვაჟთა პირველი ჩემპიონატი. იმავე წელს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პირველი ჩემპიონატიც. 1930 წელს თბილისში გაიმართა **ვიქტორ გოგლიძისა** და მოსკოველი ოსტატის — **ვლადიმერ ნენაროკოვის** მატჩი. გოგლიძემ ეს მატჩი მოიგო (7:4) და ქართველთაგან პირველად სწორედ მას მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

ვაჟებს არც ქალები ჩამორჩნენ. 1927 წელს გაიმართა თბილისის ქალთა პირველი ჩემპიონატი, ხოლო 1935 წელს თბილისმა უკვე საქართველოს პირველ ჩემპიონატს უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა. მსოფლიოს 5-გზის, 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპური ოქროს მედლის მფლობელია **ნონა გაფრინდაშვილი,** ასევე 5-ჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა **მაია ჩიბურდანიძემაც.**

დღეს ყველა მშობელმა იცის, რომ ჭადრაკზე სიარული ბავშვის განვითარებისთვის ძალიან კარგია.

**ჭადრაკი ინტელექტის კოეფიციენტს 15-25%-ით ამაღლებს, ააქტიურებს უმაღლესი მათემატიკის, გეომეტრიისა და უცხო ენების შესწავლის ნიჭს. სპეციალისტების ერთი ნაწილი ირწმუნება, რომ ბავშვობიდან ჭადრაკით გატაცებულების სიცოცხლის ხანგრძლივობაც მატულობს, თანაც —20 წლით.**

ჭადრაკი წესების დაცვას ასწავლის. **ადამიანი ბავშვობიდან უნდა შეეჩვიოს ღირსეულად წაგებას, წესების დაცვას, სხვისი მოქმედების წინასწარ გათვლას. ჭადრაკი ბავშვში ინტელექტუალური შრომისადმი ინტერესს აღძრავს, აიძულებს, ჯერ დაფიქრდეს, შემდეგ იმოქმედოს. ეს სასარგებლო უნარია, რადგან ბავშვების უმრავლესობა, როგორც წესი, პირიქით იქცევა.**

ჭადრაკი ააქტიურებს ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს, ეხმარება ზუსტი მეცნიერებების ათვისებაში.

23 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს სამმხრივ მემორანდუმს, რომელიც საქართველოს სკოლებში ჭადრაკის ელექტრონული პროგრამის დანერგვას ითვალისწინებს.

აღნიშნული მემორანდუმი საქართველოს მთავრობის დადგენილების „საქართველოში ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ შესაბამისად გაფორმდა, მისი მიზანია სკოლებში ჭადრაკის გავრცელების ხელშეწყობა.





ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ოთახი 39»

**ჩრდილოეთ კორეაში მდებარე „ოთახი 39“ საიდუმლო ორგანიზაციაა, სადაც, გავრცელებული ხმებით, ორგანიზაციის წევრებსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის არაკანონიერი სავაჭრო გარიგებები მიმდინარეობს, მათ შორის ფულის გათეთრება და ნარკოტიკებით ვაჭრობა.** მაგრამ არავინ იცის, კონკრეტულად სად მდებარეობს ეს ოთახი. ერთ-ერთი ვერსიით, „ოთახი 39“ ფხენიანში, მუშათა პარტიის სარდაფშია განთავსებული.




მსოფლიოში არის ადგილები, რომელთა მონახულება თითქმის ყველასთვის აკრძალულია, სოციალური სტატუსისა და ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად.

# ადგილები, რომლებსაც ბევრი ადამიანი ვერასდროს მოინახულებს



## «კოკა-კოლას» სარდაფი, აშშ, ჯორჯიის შტატი

**ას წელიწადზე მეტია, უალკოჰოლო სასმელების ბაზარზე „კოკა-კოლა“ უპირობო ლიდერია. ათწლეულების განმავლობაში კომპანია პოპულარული სასმელის რეცეპტის საიდუმლოს გულმოდგინედ ინახავს.**

სარდაფი, რომელშიც „კოკა-კოლას“ რეცეპტი ინახება, ჯორჯიის შტატში, ატლანტაში მდებარეობს და მსოფლიოში ერთ-ერთ დაცულ ადგილად მიიჩნევა.



## რეზერვაცია «ვალე დო იავარა», ბრაზილია

**„ვალე დო იავარას“ რეზერვაცია ამაზონის ჯუნგლებში მდებარე ზონაა, ასობით წელიწადია, იქ ადგილობრივი ტომები სრულ იზოლაციაში ცხოვრობენ.** რეზერვაციის აღმოჩენა მხოლოდ თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოსურათებით შეიქნა შესაძლებელი. ბრაზილიის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 77 000 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა აკრძალულია.



## უაიტის ჯენტლმენთა კლუბი, ინგლისი

ლონდონში მდებარე უაიტის ჯენტლმენთა კლუბი ყველაზე საიდუმლო თემია, რომელიც 1674 წელს დაარსდა. კლუბის წევრები მხოლოდ საზოგადოების მაღალი ფენისა და ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანები არიან. კლუბის წევრებს შორის ირიცხებიან პრინცი უილიამი, პრინცი ჩარლზი და ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრები.



## პოლიგონი «ვუმერა», ავსტრალია

**მსოფლიოში ყველაზე დიდ პოლიგონზე უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია, რადგან ეს სამხედრო დანიშნულების ობიექტია.** პოლიგონს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ავსტრალიის შეიარაღებული ძალებისთვის, რადგან „ვუმერას“ ტერიტორიაზე სხვადასხვა იარაღს ცდიან.



## ჩრდილოეთ სენტინელის კუნძული, ბენგალიის ყურე

**ჩრდილოეთ სენტინელის კუნძული ინდოეთის ოკეანეში ერთ-ერთი ლამაზი ადგილია, თუმცა იქ მოხვედრა არავის შეუძლია.** კუნძულის მოსახლეობა ცივილიზებულ სამყაროსთან რაიმე სახის კონტაქტზე უარს აცხადებს, ამიტომ იქ ჩასული უცხოელი შეიძლება სიკვდილითაც დასაჯონ.



## კუნძული სურტსეი, ისლანდია

**სურტსეი დაუსახლებელი კუნძულია და ისლანდიის ყველაზე სამხრეთით მდებარე წერტილში მდებარეობს.** სურტსეი 1963 წელს ვულკანის ამოფრქვევის შედეგად წარმოიქმნა. უნიკალური კუნძული იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილი. სურტსეი ულამაზესი ადგილია, თუმცა სეისმური აქტივობის გამო კუნძულზე ჩასვლა შეუძლებელია.



## «პაინ გეპი», ავსტრალია

**„პაინ გეპი“ გასაიდუმლოებული სამხედრო ბაზაა ავსტრალიის უდაბნოებში. ამბობენ, რომ ობიექტის ტერიტორიაზე უპილოტო საფრენი აპარატების ცდები ტარდება.** ბაზა 1970 წელს დაარსდა, ავსტრალიის მთავრობას მასზე საუბარი არ უყვარს. ბაზის ტერიტორიაზე შესვლა სასტიკად აკრძალულია.





## ქალაქი მეჟგორიე, რუსეთი

**რუსეთში, ბაშკირეთში, მდებარე მეჟგორიე დახურული ქალაქია, რადგან იქ ცხოვრობენ საიდუმლო საწარმოებში დასაქმებული ადამიანები.** ნატოში მიიჩნევენ, რომ ქალაქის ისტორია ბირთვული იარაღის წარმოებას უკავშირდება. მეჟგორიეში ჩასვლა მხოლოდ სპეციალური საშვითაა შესაძლებელი.

## გველების კუნძული, ბრაზილია

**ბრაზილიის გველების კუნძულზე ჩასვლას ნამდვილად არ გირჩევთ.** კუნძულზე 4 000-მდე სახეობის შხამიანი გველი ბინადრობს. ადამიანების უსაფრთხოების მიზნით, ბრაზილიის მთავრობამ კუნძულზე ჩასვლა აკრძალა.



## პრიპიატი, უკრაინა

**პრიპიატი უკრაინის ჩრდილოეთით მდებარე მიტოვებული ქალაქია.** ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ ქალაქიდან მოსახლეობის ევაკუაცია მოხდა და მას შემდეგ იქ აღარავინ ცხოვრობს. რადიაციის მაღალი დონის გამო, პრიპიატში ჩასვლა მხოლოდ სპეციალისტების თანხლებით არის დასაშვები.



**ჰენრიეტა გრინი გინესის რეკორდების წიგნში მსოფლიოს ყველაზე ძუნწი ადამიანის სახელით შევიდა. ეცვა ერთადერთი გახუნებული კაბა, რომელსაც არასოდეს რეცხავდა. გაცრეცილ თეთრეულს კი მხოლოდ მაშინ იცვლიდა, როდესაც იხეოდა. გრინის სახლში საპონიც არ ჰქონდა, რადგან არასოდეს იბანდა.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# უდიდესი «საოჯახო ბიზნესი»

**საქვეყნოდ ცნობილი და წამყვანი კომპანიების უკან ხშირად ერთი ოჯახი დგას. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ კომპანიის წარმატებას სწორედ ოჯახური ერთიანობა განაპირობებს.**

უდიდესი საოჯახო ბიზნესის ტოპათეულში ოთხი ამერიკული კომპანიაა, დანარჩენი პოზიციები კი გერმანულ, შვეიცარულ, ბრიტანულ, რუსულ და ტაივანურ ოჯახებს ეკუთვნით. ათეულის სათავეში მსოფლიოს უმსხვილესი სავაჭრო კომპანია „ვოლმარტის“ მმართველი **სემ უოლტონის** ოჯახია, რომელმაც ეს კომპანია 1962 წელს დააფუძნა. გასული წლის მონაცემებით, კომპანიის კაპიტალი 476 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

„ვოლმარტის“ კაპიტალი ჩამონათვალში გაცილებით აღემატება მის უახლოეს მდევარს — გერმანულ „ფოლკსვაგენს“, რომელსაც **პორშესა** და **პიეხების** ოჯახი ფლობს. გერმანული გიგანტის კაპიტალბრუნვამ 2014 წელს 262 მილიარდი დოლარი შეადგინა.

სამეულს ასრულებს ინგლისურ-შვეიცარიული სავაჭრო კომპანია **„გლენკორი“**, რომელიც **მარკ რიჩმა** დააარსა და მისმა ბრუნვამ გასულ წელს 233 მილიარდ დოლარს მიაღწია.

რაც შეეხება რეიტინგის სხვა წევრებს, მეოთხე ადგილზეა **„სამსუნგი“ — ლი ბენჩხოლის** მიერ დაარსებულ კომპანიას ამჟერად მისი შთამომავლები მართავენ. მეხუთეზეა **ფილიპსების ოჯახი**, რომელიც განკარგავს წარმატებულ ჰოლანდიურ კომპანია **„ფილიპსს“**; შემდეგ მოდიან **„ფორდი“** — რა თქმა უნდა, **ჰენრი ფორდის** შთამომავლებით; **„ლუკოილი“** — აზერბაიჯანული წარმოშობის რუსი ბიზნესმენის — **ვაგით ალეკპეროვით** სათავეში; ფარმაცევტული **„მაკ'კესონი“** — ამავე გვარის ოჯახით მმართველობაში და ტაივანური **„ფოქსკონი“**, რომლის დამფუძნებელი და მმართველი არის **ტერი გოუ.** ეს კომპანია ამჟამად აწარმოებს ისეთ ცნობილ ტექნიკას, როგორიცაა BlackBerry, iPad, iPhone, Kindle, PlayStation 4 და Xbox One.

# პლანეტის ყველაზე გრძელფეხება ქალი

**ფლორიდელი მომხიბვლელი გოგონა ჰოლი ბერტი „პლანეტის ყველაზე გრძელი ფეხების“ ტიტულის მფლობელი გახდა. მას ეს ტიტული ამერიკულმა პრესამ მიაკუთვნა.**

გოგონას ფეხების სიგრძე 125,7 სანტიმეტრია. მან მოახერხა წინა რეკორდის მოხსნა, რომელიც 26 წლის ტეხასელ მოელ ლორენ უილიამსს ეკუთვნოდა — მისი ფეხების სიგრძე 124,4 სანტიმეტრია. ჰოლი ბერტის სიმაღლე 195 სანტიმეტრია. ცოტა ხნის წინათ გოგონა საცხოვრებლად ნიუ იორკში გადავიდა. იქ ის დიზაინის სკოლაში სწავლობს.



# ყველაზე ძუნწი ქალი

**მილიონების მფლობელი ქალი ცხელ წყალსა და გათბობას არასდროს რთავდა, ყიდდა წაკითხულ გაზეთებს, არ იბანდა ხელებს, არ რეცხავდა, ჭამდა მხოლოდ ცივ შვრიის ფაფას და წვნიანს. შვილისთვის საოპერაციოდ ფული ვერ გაიმეტა, რაც განგრენითა და ფეხის ამპუტაციით დასრულდა.**



**ჰენრიეტა გრინი** გინესის რეკორდების წიგნში მსოფლიოს ყველაზე ძუნწი ადამიანის სახელით შევიდა. ეცვა ერთადერთი გახუნებული კაბა, რომელსაც არასოდეს რეცხავდა. გაცრეცილ თეთრეულს კი მხოლოდ მაშინ იცვლიდა, როდესაც იხეოდა. გრინის სახლში საპონიც არ ჰქონდა, რადგან არასოდეს იბანდა.

ის გამუდმებით ღეჭავდა ხახვს, ავად რომ არ გამხდარიყო. თუმცა, როდესაც აფთიაქში ვიზიტი გარდაუვალი იყო, წამლის ჩასასხმელად თავისი ფლაკონით მიდიოდა, რადგან ზედმეტი 5 ცენტის გადახდა არ სურდა.

თეთრეულს და ბავშვების ტანსაცმელს მეძველმანეებთან ყიდულობდა და თითოეულ ცენტზე გულის შეღონებამდე ევაჭრებოდა.

ასეთივე ვაჭრობას მართავდა პურის მაღაზიაში, სადაც ყველაზე გამხმარ პურსა და დაფშვნილ ნამცხვარს ყიდულობდა. ბონუსის სახით კი ძვალს ითხოვდა ძაღლისთვის, რომელსაც პატრონის მსგავსი საშინელი ხასიათი ჰქონდა. სასადილოებში ნამდვილ წარმოდგენებს მართავდა: წვნიანში კენჭებს ყრიდა და გრანდიოზულ სკანდალს აწყობდა, რათა საფასური აენაზღაურებინათ.

**XX საუკუნის დასაწყისში (გრინი 1834 წელს დაიბადა და 1916 წელს გარდაიცვალა) მისი ქონება 100-დან 200 მილიონამდე დოლარს აღწევდა, რაც დღეს მილიარდებს უდრის.**

„დაზოგე ცენტი, — ნიშნავს, გამოიმუშაო ის“, — ხშირად უმეორებდა ჰენრიეტა შვილებს. და დადგა მომენტი, როდესაც მან საკუთარი შვილის ჯანმრთელობაზეც კი დაზოგა ფული.

გარდა იმისა, რომ შვილების რაციონში ვიტამინებისა და კალორიების ნასახიც არ იყო, მილიონერის ქალიშვილს, სილვიას, უჭმელობისგან თვალთ დააკლდა. საშინელი სიძუნწის აპოთეოზი კი ოჯახის ტრაგედიად იქცა.

11 წლის ნედმა ციგურებზე სრიალისას მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. იმის ნაცვლად, რომ შვილი ნორმალურ ჰოსპიტალში მიეყვანა, ჰენრიეტამ უპოვართა საავადმყოფოს მიმართა უფასო სამედიცინო დახმარების მისაღებად.

საავადმყოფოში ამერიკის უმდიდრესი ქალი იცნეს და უარი უთხრეს ნედის მომსახურებაზე, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროებოდა. გრინმა შვილი შინ წაიყვანა და თვითმკურნალობას მიჰყო ხელი, რის შედეგადაც ბიჭუნას განგრენა განუვითარდა და ფეხი მოსაკვეთი გაუხდა.

ამპუტაციის საფასური მამამ გადაიხადა, რომელმაც შემთხვევით შეიტყო შვილის უბედურების შესახებ.

ამ მწარე გაკვეთილმაც არაფერი ასწავლა ქალს: ნედი პროთეზის რიგში უპოვართა საავადმყოფოში ჩაწერეს, ბიჭუნა ნახევარ წელიწადს ელოდა იაფფასიან ხელოვნურ ფეხს.

გრინს თუკი გულწრფელად ვინმე ჰყვარებია, ეს მისი ძაღლი დევი იყო. „ის კუდს აქიცინებს და ერთგული თვალებით მიყურებს არა იმიტომ, რომ მილიონები მაქვს, არამედ ძალიან ვუყვარვარ“, — ხშირად იმეორებდა ჰენრიეტა, როდესაც ურჩევდნენ, თავიდან მოეშორებინა ძაღლი, სტუმრის ან კოლეგის მორიგი დაკბენის შემდეგ.

ჰენრიეტას ეკონომიურობას, შვილების გარდა, ნათესავებიც შეეწირნენ: ბიძაშვილმა 10 წლის გოგონა და 8 წლის ვაჟიშვილი დაუტოვა რამდენიმე ხნით გრინს, თავად კი ქმართან ერთად ევროპაში გაემგზავრა.

დაბრუნებულს გაძვალტყავებული და ფეხზე ძლივს მდგარი შვილები დახვდა. „უოლ სტრიტის ალქაჯმა“, გარდა იმისა, რომ ბავშვებს არ აჭმევდა, ისინი უახლოეს სამრეცხაოში გაამწესა, სადაც დღეში 14 საათი უწევდათ მუშაობა.

გადატანილი კოშმარების გამო ბავშვები დეპრესიამ შეიპყრო და ლაპარაკი შეწყვიტეს.

რაღა თქმა უნდა, ფინანსური სამყაროს დედოფალი ყველანაირად ცდილობდა, თავი აერიდებინა გადასახადებისთვის. თავგზას უბნევდა საგადასახადო ინსპექტორებს: ქირაობდა ოთახს იაფფასიან სასტუმროში და გამოგონილი სახელით სახლდებოდა. არც საკუთარი სახლი და არც ოფისი (ისევ და ისევ ეკონომიის მიზნით) მას არ ჰქონდა.

ქალი ბანკებში, საბროკერო კანტორებსა და ფინანსურ კომპანიებში დაწანწალებდა და ეხვეწებოდა, დაეთმოთ სამუშაო მაგიდა და სკამი.

ჰენრიეტას საოცარი ინტუიცია ჰქონდა ბაზარზე ფულის მიმოქცევაზე, აქციებსა და ფასიან ქაღალდებზე. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ აქციებს ყიდულობს ქალი, ოქროს ფასი ჰქონდა.

1913 წელს ამერიკაში საგადასახადო სისტემა შეიცვალა, რამაც ჰენრიეტას ჯანმრთელობა შეურყია.

ჰენრიეტა გრინი 1916 წელს აპოპლექსური დარტყმით გარდაიცვალა, რძის ფასზე ვაჭრობისა და ჩხუბის დროს. მისმა ვაჟიშვილმა მემკვიდრეობა უმალვე გაანიავა, ქალიშვილმა კი თავისი წილი ქველმოქმედებას მოახმარა.

# 400 წლის წინათ ჩაძირული ეკლესია წყლის ზემოთ ამოვიდა

**მექსიკის შტატ ჩიაპასის ერთ-ერთი წყალსაცავის ზედაპირზე გამოჩნდა 400 წლის წინათ აშენებული ეკლესია. აღმოსავლეთიდან მოსულმა მტვერმა ქალაქში წყლის დონე თითქმის 24 მეტრით დაბლა დაწია, რის შედეგადაც გამოჩნდა ჩაძირული ნანგრევების დიდი ნაწილი.**



არქიტექტორების შეფასებით, ეკლესია მეთექვსმეტე საუკუნეში ააგეს ესპანელმა კოლონიზატორებმა. წყლის ზედაპირზე გამოჩნდა კედლები, რომელთა სიმაღლეც ზოგ ადგილებში 10 მეტრს აღწევს. აღმოჩენილი შენობის სიგრძე დაახლოებით 61 მეტრს, ხოლო სიგანე — 14 მეტრს შეადგენს. ეკლესია გასული ასწლეულის 60-იან წლებში ჩაიძირა წყალსაცავის მშენებლობის გამო. ადგილობრივებმა შენობაში უკვე მოაწყვეს ექსკურსიები.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1867 წლის 25 ნოემბერს შვედმა ქიმიკოსმა და ინჟინერმა ალფრედ ნობელმა**, რომელმაც თავისი უზარმაზარი ქონება ჩადო მისი სახელობის პრემიის დასაწესებლად, **დააპატენტა დინამიტი** — ასაფეთქებელი ნაერთი ნიტროგლიცერინისა და სხვა ქიმიური ნივთიერებებისგან, რომლის ამოქმედებაც დეტონატორის საშუალებით შეიძლება.

# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 1897 წლის 25 ნოემბერს წალენჯიხაში დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი ტერენტი გრანელი (ნამდვილი გვარი — კვირკველია).**

ტერენტი გრანელს წიგნების სიყვარული გაუღვივა ზუგდიდის მაზრაში ცნობილმა მწიგნობარმა იაკობ შანავამ. სწორედ მის ბიბლიოთეკაში ეზიარა პოეტი კლასიკური ლიტერატურის შედევრებს.

1918 წლიდან ცხოვრობდა თბილისში, მუშაობდა რკინიგზაზე, გაზეთების რედაქციებში, სწავლობდა შალვა ნუცუბიძის მიერ თბილისის უნივერსიტეტთან დაარსებულ კურსებზე, რომელიც 1920 წელს დაამთავრა.

თბილისშივე დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა (1917-1918). ტერენტი გრანელის ლექსები ხასიათდება სევდითა და მისტიციზმით (კრებულები: „სამგლოვიარო ზარები“, 1921 წ; „სულიდან საფლავები“, 1922; „Memento mori“, 1924; „ტერენტი გრანელი,“ 1926), რის გამოც მისი შემოქმედება დიდხანს რჩებოდა უყურადღებოდ. 1926 წლიდან ტერენტი გრანელს თითქმის არც ერთი გაზეთი არ უბეჭდავდა ლექსებს. 1930 წელს ის მოათავსეს სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც გამოიქცა და თბილისში ე.წ. არამიანცის საავადმყოფოში გარდაიცვალა 1934 წელს.

1980-იანი წლებიდან ამ უთვალსაჩინოესი ლირიკოსის შემოქმედება ღირსეულად დაფასდა. გამოიცა მისი ლექსების სრული კრებულები.




*** 1942 წლის 25 ნოემბერს** მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მოჭიდავე (ბერძნულ-რომაული სტილი), 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ოთხგზისა (1966, 1967, 1969, 1970) და სსრკ-ის 3-გზის ჩემპიონი, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი (1984-1985) და სსრკ-ის ნაკრების მწვრთნელი (1984-1987), სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი **რომან რურუა.**



*** 1943 წლის 28 ნოემბერს დაიწყო სამი ქვეყნის — სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის — ლიდერების — იოსებ სტალინის, ფრანკლინ რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის კონფერენცია თეირანში (დასრულდა 1943 წლის 1 დეკემბერს).**

წითელი არმიის გამარჯვებებმა სტალინგრადთან და კურსკთან ძირეული გარდატეხა შეიტანა მეორე მსოფლიო ომში და მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, სამომავლო გეგმებზე ესაუბრათ. სტალინი ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას ითხოვდა, ამერიკელებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იაპონიასთან ბრძოლა იყო, დიდი ბრიტანეთი კი შიშობდა, რომ შეიძლებოდა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებში მონაწილეობის გარეშე დარჩენილიყო.

საბჭოთა კავშირმა პირობა დადო, რომ იაპონიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს დაიწყებდა გერმანიის საბოლოო დამარცხებიდან სამ თვეში, სამაგიეროდ მოითხოვა, სახალინის სამხრეთ ნაწილისა და კურილიის კუნძულების დაბრუნება.



*** 180 წლის წინათ, 1835 წლის 30 ნოემბერს, დაიბადა ამერიკელი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მარკ ტვენი (ნამდვილი გვარი სემუელ ლენგჰორნ კლემენსი).** მისი შემოქმედება მოიცავს უამრავ ჟანრს — იუმორს, სატირას, ფილოსოფიურ ფანტასტიკას და სხვ.

უილიამ ფოლკნერი წერდა, რომ მარკ ტვენი იყო „პირველი ნამდვილი ამერიკელი მწერალი და მას შემდეგ ყველა მწერალი მისი მემკვიდრეა“, ერნესტ ჰემინგუეი კი თვლიდა, რომ თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა შეიქმნა მარკ ტვენის ერთი წიგნიდან, რომლის სახელწოდებაა „ჰეკლშერი ფინის თავგადასავალი“.

მარკ ტვენის ნაწარმოებიდან, რომლებიც ძალიან პოპულარულია მსოფლიოში, აღსანიშნავია „ტომ სოიერის თავგადასავლები“, „პრინცი და მათხოვარი“, „ცხოვრება მისისიპიზე“, „გარიგება ეშმაკთან“, „ევას დღიური“ და სხვ.

მარკ ტვენი გარდაიცვალა 1910 წელს.



*** 1874 წლის 30 ნოემბერს დაიბადა** გამოჩენილი ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლებში, სამხედრო პირი, ჟურნალისტი და მწერალი, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი **უინსტონ ჩერჩილი** (უინსტონ ლეონარდ სპენსერ-ჩერჩილი). გარდაიცვალა 1965 წლის 24 იანვარს.




*** 1947 წლის 29 ნოემბერს გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ №181-ე რეზოლუციით მიიღო გადაწყვეტილება, პალესტინის ტერიტორიაზე შექმნილიყო ორი სახელმწიფო: ებრაული და არაბული.**
იერუსალიმი, გაეროს გადაწყვეტილების თანახმად, საერთაშორისო კონტროლის დაქვემდებარებული ტერიტორია უნდა ყოფილიყო. 1948 წლის 14 მაისს კი შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო.



*** 1881 წლის 28 ნოემბერს ვენაში დაიბადა გამოჩენილი ავსტრიელი მწერალი, უამრავი ნოველისა და ბელეტრისტიკული ბიოგრაფიის ავტორი შტეფან ცვაიგი.**

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „ამოკი“, „უცნობი ქალის წერილი“, „საჭადრაკო ნოველა“, „სახლი ზღვასთან“, „ფანტასტიკური ღამე“, „შიში“, „მარიამ სტიუარტი“ და სხვ.



*** 1667 წლის 30 ნოემბერს** დუბლინში (ირლანდია) დაიბადა ირლანდიელ-ინგლისელი მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ჯონათან სვიფტი,** რომელიც მსოფლიოში ცნობილია ფანტასტიკური ტეტრალოგიით „გულივერის მოგზაურობა“.

ჯონათან სვიფტი გარდაიცვალა 1745 წელს.



*** 1701 წლის 27 ნოემბერს** შვედეთის ქალაქ უფსალაში დაიბადა შვედი ასტრონომი, გეოლოგი და მეტეოროლოგი (XVIII საუკუნეში გეოლოგია და მეტეოროლოგია ასტრონომიის ნაწილად ითვლებოდა) **ანდერს ცელსიუსი,** რომელმაც შექმნა ტემპერატურის სკალა.

გარდაიცვალა 1744 წელს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**26 ნოემბერს სავსემთვარეობაა — რთული პერიოდი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მქონეთათვის. მაღალია წყალდიდობებისა და ავარიების ალბათობა. გაუმართლებთ სასწორის, მორიელისა და თევზების ნიშნებით დაბადებულებს.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**25 ნოემბ. - 1 დეკ. ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

შეიძლება აღმოჩნდეთ მატერიალური პრობლემების წინაშე, მაგრამ შემოსავლების მომატება გადაფარავს თქვენ მიერ გაწეულ ხარჯს, რომელსაც ბინის კეთილმოსაწყობად ან ავეჯის შესაძენად გაიღებთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში დაიწყება ახალი ეტაპი, რომელიც ხელს შეუწყობს გრძნობების გაღრმავებას და საუკეთესო თვისებების გამოვლენას.

მაღალია თავის ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 1 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 ნოემბერი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

სამსახურში შესაძლოა, უთანხმოება შეგექმნათ კოლეგებთან და ეს თქვენი დაუდევრობით მოხდება. შეეცადეთ, თავი აარიდოთ დაპირისპირებას და ადამიანებისადმი კეთილგანწყობა გამოავლინოთ.

ამ პერიოდში საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა თავდაპირველად მშვიდად წარიმართება, მაგრამ ეს სიმშვიდე მოჩვენებითი იქნება — შეიძლება, დაგრიგილმა წყენამ ამოხეთქოს და ამ შემთხვევაში კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ.

დიდია იმუნიტეტის დაქვეითების ალბათობა. მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 26 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 ნოემბერი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

ნუ ჩაიკეტებით საკუთარ ნაჭუჭში და შეეცადეთ, აქტიურად ჩაერთოთ კოლექტიურ საქმიანობაში, რადგან კოლეგებისა და ახლობლების დახმარებით ყველაფერი გამოგივათ, რასაც კი ხელს მოჰკიდებთ.

მარტოხელა ტყუპების მცდელობა, აღადგინონ განყვეტილი სასიყვარულო ურთიერთობა, უშედეგოდ დასრულდება. სჯობს, დაშვებული შეცდომები გააანალიზონ და მომავალ ურთიერთობებზე იფიქრონ.

მაღალია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 30 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 25 ნოემბერი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

ენერგიულობისა და აქტიურობის წყალობით მოახერხებთ რამდენიმე საქმის ერთდროულად შესრულებას, მაგრამ ამისათვის ბევრ რამეზე მოგიწევთ უარის თქმა, რადგან თავისუფალი დრო თითქმის აღარ დაგრჩებათ.

გულმოდგინე მუშაობისთვის ხელმძღვანელობამ შეიძლება პრემიით წაგახალისოთ.

საყვარელ ადამიანთან უთანხმოება თავიდან რომ აიცილოთ, მისი მოთხოვნები გაითვალისწინეთ და გადაწყვეტილებები ერთობლივად მიიღეთ.

მაღალია ინფექციური სნეულებით დაავადების ალბათობა.

**დადებითი დღე: 28 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 ნოემბერი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

რთული პერიოდია. მოვლენები შეიძლება ისე განვითარდეს, რომ იმედი გაგიცრუვდეთ. ფული ეკონომიურად ხარჯეთ, რადგან შესაძლოა, გაუთვალისწინებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ.

თავი აარიდეთ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში მონაწილეობას, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა.

მოსალოდნელია უთანხმოება ნათესავებთან უძრავი ქონების საკითხზე. საქმეში იურისტების ჩარევა შეიძლება დაგჭირდეთ.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 1 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 25 ნოემბერი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

თავშეუკავებლობამ და ემოციების ამოფრქვევამ შეიძლება ძალიან დაგაზარალოთ.

ნუ შეეჭიდებით ერთდროულად რამდენიმე საქმეს, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი აარჩიეთ და მისი შესრულება დაიწყეთ.

შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ იმ ადამიანების გარემოცვაში, რომლებსაც პატივს სცემთ და რომლებისგანაც თავდაჯერებულობა და ოპტიმიზმი გამოსჭვივის.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებს.

მაღალია გაციებისა და ზედა სასუნთქი გზების დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 25 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 1 დეკემბერი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

ამ პერიოდში ბევრი სასიხარულო და ემოციური მოვლენაა მოსალოდნელი. სამსახურში და პირად ცხოვრებაშიც ყველაფერი ისე განვითარდება, როგორც გსურთ. გაიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობასაც.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ ოჯახის ბიუჯეტის განაწილების საკითხზე შეთანხმდებით.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი საკვები.

**დადებითი დღე: 30 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 25 ნოემბერი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

მოგიწევთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. დასახულ მიზნებს მხოლოდ მუხლჩაუხრელი შრომით მიაღწევთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ინტუიციით მიიღეთ.

შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელიც თქვენი იდეებით დაინტერესდება და მათ განხორციელებაში დაგეხმარებათ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ და არც ოჯახის უმცროსი წევრები დაივიწყოთ.

გააკონტროლეთ ემოციები და თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს.

**დადებითი დღე: 28 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 ნოემბერი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

ძალების მოზღვავებას იგრძნობთ და შეეცდებით, ერთდროულად რამდენიმე საქმეს შეეჭიდოთ. ამ შემთხვევაში არჩევნის წინაშე დადგებით — ან სამსახურში მუხლჩაუხრელი შრომა, ან — ოჯახური სიმყუდროვე. შეეცადეთ, დრო ისე გაანაწილოთ, რომ არც კოლეგები გაანაწყენოთ და არც — ოჯახის წევრები.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ. მოუწყვეთ მას სასიამოვნო სიურპრიზი — წადით სადმე სამოგზაუროდ ან შინ მოიწვიეთ ახლობლები და მათ გარემოცვაში დრო მხიარულად გაატარეთ.

მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს, აგრეთვე, ცხიმიან და მარილიან საკვებს.

**დადებითი დღე: 1 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 25 ნოემბერი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

თქვენი გულმოდგინება და მიზანდასახულობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება — შეიძლება დაგაწინაურონ ან პრემიით დაგაჯილდოვონ.

ამ პერიოდში რეკომენდებული არ არის იურიდიული დოკუმენტების გაფორმება.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ ყველა საკითხზე ჯიუტად არ დაიცავთ თქვენს პოზიციას.

კარგი პერიოდია ორგანიზმის გასაწმენდად მავნე ნივთიერებებისგან. შეეცადეთ, დაიცვათ დიეტა. რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი კერძები.

**დადებითი დღე: 28 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 ნოემბერი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ, მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებისგან თავი შეიკავეთ, განსაკუთრებით — პირად ცხოვრებაში. თუ ემოციებს აჰყვებით, ვერ მიიღებთ იმ შედეგს, რომელსაც ელოდით.

შეეცადეთ, გააღრმავოთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან, ოჯახის ხანდაზმული წევრების მიმართ კი მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ.

ფიზიკური ფორმის გასაუმჯობესებლად შეეცადეთ, შეასრულოთ სავარჯიშოები ან დაკავდეთ სპორტის რომელიმე სახეობით.

**დადებითი დღე: 27 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 ნოემბერი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

სასიკეთო პერიოდია იმ თევზებისთვის, რომლებიც გაბედულად იმოქმედებენ დადებითი შედეგის მისაღწევად. წამოიწყებთ საკუთარ საქმე ან ჩადებთ ფული პერსპექტიულ პროექტში, ფინანსურ მოგებას პრაქტიკულად ყველა კომერციული გარიგება მოგიტანთ.

გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, თავისუფალი დრო თითქმის აღარ დაგრჩებათ და საყვარელ ადამიანთან, შესაძლოა, პრობლემა შეგექმნათ.

შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას და ვიტამინებით მდიდარი საკვებით გაიმყაროთ იმუნიტეტი.

**დადებითი დღე: 30 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 25 ნოემბერი.**

# ნონა გაფრინდაშვილი კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი

**ქართველი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, 74 წლის ნონა გაფრინდაშვილი იტალიის ქალაქ აკვი ტერმეში გამართულ სენიორების 25-ე მსოფლიო ჩემპიონატზე 65 წელს ზევით ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა.**



ნონა ბოლო ტურში ქართველ მოჭადრაკეს — თამარ ხმიადაშვილს შეხვდა, რომელთანაც პარტია ფრედ დაასრულა, თუმცა ეს ფრე საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქულათა რაოდენობით პირველ ადგილზე გასულიყო.

ჩემპიონატი 10 ნოემბერს გაიხსნა და 21 ნოემბერს დასრულდა. 65 წელს ზევით მოთამაშეთა შორის პირველობისთვის 10 მოჭადრაკე იბრძოდა, ორი მოჭადრაკე ქალი საქართველოდან, ოთხი — რუსეთიდან, ისრაელიდან და ყაზახეთიდან.

**ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია ჭადრაკში (1962; 1965; 1969, 1972, 1975).** მან ტიტული დათმო ქართველ მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძესთან 1978 წელს (6,5:8,5). საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ქალთა შორის მან 1976 წელს მოიპოვა, 1978 წელს ჭადრაკის ისტორიაში პირველად კი — მამაკაცთა შორისაც. ნონა გაფრინდაშვილი არის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის ჩემპიონი.




# ნაცისტური სიმბოლოები ნიუ იორკის მეტროპოლიტენში

**ნიუ-იორკის მცხოვრებნი, რომლებიც გასულ შაბათ-კვირას მეტროპოლიტენში ჩავიდნენ, აღაშფოთა Amazon-ი მიერ მოწყობილმა სარეკლამო კამპანიამ, რომელიც ახალ სამეცნიერო-ფანტასტიკურ სერიალს ეძღვნებოდა.** რამდენიმე ვაგონის მგზავრები არჩევანის წინაშე დააყენეს — დამჯდარიყვნენ ვაგონის იმ ნაწილში, სადაც სკამებზე ნაცისტური არწივი იყო გამოსახული, ან — იაპონიის იმპერიის დროშები.



# ფერეიდნელმა ქართველებმა ირანში ქართული ანბანის ძეგლი დადგეს



**„დემოგრაფიული განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელის — ზვიად ტომარაძის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, ირანში ფერეიდნელმა ქართველებმა ფერეიდუნშაჰრის მთავარ მოედანზე ქართული ანბანის ძეგლი დადგეს.**

ტომარაძე ამბობს, რომ „ქართველები ძეგლს მთელი ღამე ყარაულობდნენ, რადგან ჰგონიათ, რომ ირანის უშიშროება დაანგრევს. როგორც ფერეიდნელი ქართველი ანდრო ნაგელიანი წერს, ქალაქში უშიშროების თანამშრომლები არიან. მთელი ქალაქი ფეხზე დგას და ქართველობის დასაცავად მზად არიან... ძეგლის დაცვის მოთხოვნით, ტომარაძე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართავს.



# არგენტინის საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციონერმა მაურისიო მაკრიმ გაიმარჯვა

**არგენტინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციონერმა კანდიდატმა მაურისიო მაკრიმ გაიმარჯვა.** ბიულეტენების 75%-ის დათვლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ლიბერალურ-კონსერვატიული ძალების კანდიდატმა, 56 წლის მაკრიმ, არჩევნებში მონაწილეთა ხმების 56% მიიღო, მის მთავარ მეტოქეს, მმართველი კოალიციის წარმომადგენელ დანიელ სციოლის, 47%-მა დაუჭირა მხარი. სციოლიმ დამარცხება უკვე აღიარა.


## ს ი ა ხ ლ ე !

## ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გაძნელებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

☎ 599-54-18-30, 0790-98-63-33

## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)
მის: აღმაშენებლის 154 «მწვანე ოფისი»

## სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი


საქართველო და მსოფლიო ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894